მ. გ. ჯანაშვილი

თ ა მ ა რ მ ე ფ ე

სიუხვით ზღვებრი,
სიმაღლით ცებრი.
შავთელი

გ ა მ ო ც ე მ ა
ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოებისა.

ტ ფ ი ლ ი ს ი
მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა ვ. ა. რუხაძისა, გაბაევის შესახ. №1.
1917

თ ა მ ა რ მ ე ფ ე

შესავალი.

წინასიტყვაობა

I. **თამარის დაბადებითგან დავით სოსლანის მოწვევამდე** 1 გვ.
1. დაბადება და აღზრდა.
2. დაგვირგვინება.
3. სახელმწიფო გამგეობა.
ა) საეკლესიო კრება.
ბ) ხელისუფალთა გამწესება.
გ) ისნის კარავ9.
4 . თამარის პირველი ქმარი და მისი მომხრეები.
II. **თამარ მეფის ოჯახი.** . . . 17 „
1. დავით სოსლანი.
2. თამარის შვილები.
3. შინაური ცხოვრება.
4. სამეფო სასახლეები.

III. **თამარის ლაშქრობანი.** . . . 30 „
1. ა) თამარის მშვიდობის მოყვარეობა.
ბ) მუქარა მტრების მხრივ.
გ) ლაშქრის რაოდენობა.

დ) საომრო იარაღები.
ე) ციხეები და სიმაგრეები.
ვ) სამხედრო გზები.
ზ) ლაშქრის შესაკრებელი.
2. საქართველოს მეზობლები.
ა) საქართველოს საზღვრები.
ბ) ბარდავ-არანი.
გ) შარვანი.
დ) ხაზარეთ-ყიფჩაღეთი.
ე) ოსეთი.
ვ) პონტო.
ზ) თურქები.
ᲗᲔ) სელჩუკიანთ სასულთნოები და საათაბაგოები.
იკონია (რუმი),
ალეპო (ქალები),
ბაღდადის სახალიფო,
ყარამანია,
გორიდები,
ხოვარეზმი.
თ) მოლიდები-ასასინები (ქაჯთა სამეფო).
3. თამარ მეფის ომები.
ლაშქრობანი 1186–1188 წ.
ლაშქრობანი 1192–1196 წ.
ლაშქრობანი 1195–6 წ.
დვინის დაპყრობა 1202–3 წ.
ტრაპიზონის აღება და პონტოს იმპერიის დაარ-
სება 1204 წ.
ქელათის დაპყრობა 1204–5 წ.
ბოლოსტიკეს ომი 1205 წ.
კარის (ყარსის) დაპყრობა 1207 წ.
არჯიშის აღებ) I208–9 წ.
არდებილის დარბევა 1210 წ.

V

შესევა სპარსეთს 1210 – 4 წ.
შოთა რუსთაველის მონაწილ. თამარის ომებში.
დაპყრობილ ადგილების გამგეობა!
ფხოელთა და დიდოთ საქმეების მოწესრიგება.

IV. **თამარ მეფის გარდაცვალება .** . 72 გვ.

V. **გავლილ მეფობის საზოგადო განხილვა.** . 74 „

ისნის კარავი და „მაგნა ხარტა ლიბერტატუმ“-ი.
განათლება.
ხელოვნება.
ხუროთმოძღვრება.
სამკაული.
მუსიკა.
სამართალი.
ქურდობა. ავაზაკობის ამოგდება.
ვაჭრობა.

სატახტო ქალაქი.
კალენდარი.
ფული.
მეურნეობა.
ქალის კულტი.
პირად-ღირსება.
ქველმოქმედება.
მეფე ღვთისა მიერი.
ქართველთა ზათქი და ზაჰმი აღმოსავლეთში.
თამარის მეხოტბე ერი.
თამარის მადიდებელი მგოსნები.
მშობლურ ცის სიტკბოება.
ეპოქის სამარადისო ცხოველობა.

VI

დ ა მ ა ტ ე ბ ა

I. **ზეპირგადმოცემანი** (ტექსტები) . . 101 გვ.

1. თამარის დედის სიზმარი და კასპიის ზღვის დაპყრობა.
2. დაიღუპოს თუ ცუდი განზრახვა უდევს გულში.
3. ერის სულით ჩაესახაო თამარს ნაყოფი.
4. დატირება ოქროს კუბოში მდებარე თამარისა.

II. **თამარ მეფის ანდერძი** . . . 108 გვ.

III. **თამარ მეფე სახალხო პოეზიაში** . . 110 „

IV. **თამარ მეფე მგოსნების დახასიათებით** . 113 „

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

სწორედ 14 წლის წინად ვწერდი („მოამბე“ 1902-3 წლ.): „სულ ცხრა წელიწადი წინ გვიდევს 700 წლის შესრულებამდე თამარ მეფის სიკვდილის დღიდამ. დროა ახლავე იმ დიად დღისთვის შევემზადნეთ: ქართულ, ბერძნულ, სომხურ, მაჰმადიანურ და სხ. წყაროებიდამ შევადგინოთ თამარის ბრწყინვალე მეფობის შესაფერი წიგნი და გამოვცეთ სურათებითა და პალეოგრაფიულ ნიმუშებით. მრავალი ჩინებული შენაძენი დაიკარგა, მრავალი დაიპარეს, მრავალი შემუსრეს, მრავალს ამტვრევენ, ანგრევენ და ამ ნანგრევებში იმარხება მდიდარი წარსული. მაშ საქმეს შევუდგეთ!“

ესეთი ჩვენი მოწოდება დარჩა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა. მოვიდა თვით საიუბელეო 700 წელიწადიც. კვლავ დავბეჭდეთ („სახ. გაზეთში" №305) წერილი „700 წლის ქალი" და მოვაგონებდით საზოგადოებას, რომ თამარის აქეთ 700 წელიწადი სრულდებაო 18 იანვარს 1913 წელს. ჩვენს

მოწოდებას უცხოეთიდამ მოსცეს ხმა ნ. ყიფიანმა და თ. სა-
ხოკიამ. უკანასკნელი თავის წერილში „თამარ მეფის 700 წლის
იუბილე“ უსაყვედურებდა საზოგადოებას, რომ უყურადღებოდ
ეპყრობა აღძრულ კითხვას და არ ზრუნავსო ღირსეულად აღ-
ნიშნოს თამარის დღესასწაული და ესეც მაშინ, „როდესაც
გარშემო ყველანი იმას-ღა ცდილობენ, რომ დაგვავიწყონ ჩვე-
ნი წარსული, მოსპონ მისი ხსენება". ხმა ამოიღეს სხვებმაც,
მაგრამ საქმე ვერ მოგვარდა.

VIII

დღეს ეს საქმე იტვირთეს ჩვენმა ბანოვანებმა, მართალია,
მცირე გეგმით, მაგრამ გულის სიწრფელით. კვლავ, რაღა თქმა
უნდა, ზეიმი უფრო შესაბამი იქნება იმისი, რომელიც 700
წლის განმავლობაში უნათებს მთელს საქართველოს, ვით რაი-
მე მთიები, ვით სხივოსანი კანდელი.

—

თამარ მეფის შესახებ ცნობები მოიპოვება ქართლის-ცხოვ-
რებაში, აგრეთვე თანამედროვე მგოსნების ნაწერებში; ზოგი
რამ დიდებული მეფის შესახებ შეუნახავს ზეპირგადმოცემასაც,
მეტადრე სახალხო პოეზიას, სიგელ-გუჯრებს და უცხოელთა
მწერლებს. ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა მის შესახებ
ჯერ არ დაწერილა, თუმცა მისი ცხოვრების განხილვა უკვე
შეტანილია მ. ბროსეს „საქართველოს ისტორიაში“, ი. ჯავა-
ხიშვილის „ქართველ ერის ისტორიაში" და აგრეთვე ჩვენს
გამოცემაშიაც („საქართველოს ისტორია“), თ. ჟორდანიას
ქრონიკებში, კარიჭაშვილის და ქვარიანის სახელმძღვანელო-
ებში, ხოლო მოკლე დახასიათებანი თამარისა და მის მეფო-
ბისა გვხვდება აგრეთვე თხზულებებში ვახუშტისა, არჩილ მე-
ფისა († 1712 წ.) ანტონ კათალიკოზისა და სხ. ამათი
დახასიათებანი და ნაამბი ფრიად საყურადღებოა, რადგან
ისტორიულ სიმართლეს ფეხდაფეხ მისდევენ, ადგილ-ადგილ
კიდეც შეავსებენ მატიანის მიერ მოკლედ ანუ ყრუდ გამო-
თქმულ ამბავს. უმეტესად საგულისხმოა ვრცელი გალექსვა
თამარის ომებისა არჩილ მეფის მიერ, ვინაითგან ამას ეს
ცნობები, როგორც თვითონვე იუწყება, ამოუღია მის ხელ-
ში მყოფ ქართლის ცხოვრების ნუსხიდამ. იგი ასწერს თამარ
მეფის ყველა ომებს და აღნიშნავს – თამარის რომელსა და რო-
მელს ლაშქრობაში მიუღია მონაწილეობა მგოსანს შოთა რუს-
თაველს. ანტონ კათალიკოზის მიერ თამარის დახასიათებაში
იქცევს ყურადღებას შედარება ამ დედოფლისა კლეოპატრას-
თან, აგრეთვე სემირამიდასა და ანტონიასთან, მაგრამ ესენიო,
დაასკვნის ჩვენი ავქსონი, იყვნენო „ოდენ კვამლებრ ნაცხად-

ნი: გუშინ ჩნდენ და დღეს განქარდენ, დასცხრენ ყოფით“,
ხოლო თამარის საქმენი სამარადისონიაო არათუ მარტო ჩვენ-
ში, არამედ დიდება მისი სადიდებელი შეიქმნაო შორის მრა-

ვალ ერებისა, ბრძენ ბერძნებისა, სომხებისა, სირიელებისა, სპარსთა და სხ.

თამარ მეფისა და მის ქმარ-შვილის სახე-სურათები დარჩენილა ვარძიაში, რომელიც, როგორც ვიცით, მანვე გამოჰკვეთა კლდეში პალატებითა და საქულბაქეებით. მისივე სახე შენახულა ბეთანიას. ქვემოთ მოგვყავს გრ. ორბელიანის შესანიშნავი ლექსი, გამოთქმული ამ ბეთანიის სახის წინ.

შენახულა მშვენიერი ლეგენდები, რომლებშიაც თამარი წმიდანად დასახულია. ქვემოთ ვურთავთ ასეთ ლეგენდასაც. ქართულ წყაროებს შეავსებენ არაბთა მწერლებიც: აბულ-ფედა, იბნ-ქალდუნი, იბნ-ალ-ათირი; აგრეთვე სომხის მწერლებიც იძლევიან თითო-ოროლა ცნობას. ზოგი რამ ცნობა გვხვდება მსოფლიო ისტორიაშიაც, მაგ. გიბბონისა, შლოსსერისა, ვებერისა და აგრეთვე პანარეტის ქრონიკაში.

მიუხედავად ყველა ამგვარ ცნობებისა და მასალებისა, უმთავრეს წყაროდ მაინც რჩება ჩვენი დიდი ძეგლი „ქართლის-ცხოვრება“, რომელში შეტანილი თამარის მატიანე დაწერილია თანამედროვისაგან.

მ. ჯანაშვილი.

1916 წ. 1 მაისს.

თამარ მეფე

I. დაბადებიდგან დავით სოსლანის მოწვევამდე.

1. დაბადება და აღზრდა.

თამარი დაიბადა იმ წელიწადს, რომელსაც გამეფდა მისი მამა გიორგი III, ე. ი. 1156 წელს.

ეს გიორგი, შვილი დავით აღმაშენებელის ძის დიმიტრისა, იყო ახოვანი, ტან-ლომი ვაშკაცი, შვენიერი, გულოვანი, მოწყალე, უხვი, სვიანი, ბრძენი, მორჭმული და სვე-დოვლათითა გამდიდრებული, კეთილად მსახური ღვთისა, შეცოდებისა უკადრი, გლახაკთა და ქვრივთა მოწყალე, ერთგულთათვის უხვი და მბოძებელი (ქ. ცხ. 264).

V თამარის დედა იყო ბურდუხანი, ასული ოსეთის მეფის ხუდდანისა. ეს ქალი „ჰმატდა სიკეთითა ყოველთა დედათა; მისებრი სძალი ჯერეთ არა ეხილვა ქართლისა თემსა“, ამბობს მემატიანე (გვ. 265), იგი იყოო შესატყვისი თვისის პირ-მზე და ტან-ლომ ქმრისა, თვითც მზეთა-მზე შვენებითა და მიმფენობითაცა, კეთილი და ტურფა. მის ქებად ისიც საკმაოაო, რომ შეიქმნაო დედად ნათელ-შემოსილის ასულისა თამარის, რომელმაც საქართველოს დიდებულ მეფეების ტახტი დაამშვენაო (გვ. 265, 275).

მშობლები თავიანთ ტკბილს შვილს სათუთად ზრდიდნენ.

23 წლისა რომ შეიქმნა თამარი, მისმა მშობელმა მიიწვია

2

საზაფხულო სასახლეში ნაჭარმაგევს (აწინდელ კარალეთს) დიდებულნი „შვიდთავე სამეფოთგან“, აგრეთვე დედოფალი ბურდუხან, ბრძენი და გონიერი, მოელაპარაკა ყველას და მეფედ გამოაცხადა თამარი. მატიანე იუწყება (გვ. 274):

ყველას გამორჩევითა და განზრახვით და უფრო კი „განგებითა ზენის" მშობელმა „თამარი, ნათელი და ბრწყინვალეზა თვალთა მათთა, გვირგვინი და მანიაკი ყოველთა მეფეთა და ხელმწიფეთა მეფე-ჰყო თანადგომითა პატრიარქთა და ყოველთა ეპისკოპოსთა, დიდებულთა, იმერთა და ამერთა, ვაზირთა, სპასპეტთა და სპასალართა, და დასვა მარჯვენით თვისსა მეფე და დედოფალი, შემკული და შემოსილი პირად-პირადად ფესვედითა ოქროვანითა, ბისონითა და ზეზითა, და დაადგა თავსა მისსა გვირგვინი ოქროისა მის ოფაზისა, აღმკული იაკინთითა და სამარაგდოთა მიერ“. შემდეგ ამისა „მდი--დარნი ერისანი ლიტანიობდეს წინაშე პირსა მისსა“, ხოლო თვით მამა-მეფემ ახლად გამეფებულ ასულს შეჰფიცა ერთგულობა და ერთსულობა, ცრემლით შეჰვედრა იგი ღმერთსა, აკურთხა კურთხევითა აბრამიანითა (იქვე 274). ეს იყო 1179 წელს.

ამის შემდეგ მეფე გიორგი წავიდა იმერეთს და თამარი თავის დედით დარჩნენ ტფილისს. ჯერ ისევ მეფედ კურთხევის ლხინსა და ზეიმში იყვნენ, რომ ბურდუხან დედოფალი ავად გახდა და გარდაიცვალა. ვაება დაეცა თამარს. ფიცხლავ შეატყობინა მამას, რომელიც მაშინ იყო გეგუთს, იმერეთში. მალე მოვიდა ისიც, დიდებით დამარხეს ბურდუხანი, და მთელი წელიწადი იგლოვეს.

დედის დამარხვის 4 წლის თავზე, 1184 წელს აღდგომის მზგეფსს*), თამარს გარდაეცვალა მამაც. მაშინ თამარი და მისი მამა სცხოვრობდნენ ტფილისს, ისნის სასახლეში, ხოლო მისი გამზდელი მამიდა რუსუდანი იმყოფებოდა სამშვილდეში.

*) მზგეფსი=მგზებსი. ერთი გზობის გავლა შვიდეულისა, სიტყვიდამ გზა. სვან. ნა-გზი=მ-გზეფსი (გზ=ზგ : გაგზავნა=ინგ. გაზგავნა; მსგავსი=მგზავსი=მზგავსი), ე. ი. ერთი კვირა.

3

მეფის სიკვდილის მისამძიმრადა და მის მოსაყვანად სამშვილდეს წავიდნენ პატრიარქი მიქელ და დიდებულნი. რუსუდანიც მოიყვანეს. შევიდა რა სამეფო პალატში მძიმე ძაძით მოსილი, გადაეხვია თამარს. შეიქმნა თავზარ დამცემი ტირილი საერთო, ვაება დიდი. გულამოჯდომით გმინავდა ყველა: პატრიარქი, ეპისკოპოსები, ვაზირი ანტონი, ამირსპასალარი ყუბასარ და სხვა მოხელეები, ვითარცა მეჭურჭლეთ-უხუცესი ვარდან, მდივანი ჩუნჩერახი ჭიაბერ, მეჯინიბეთ-უხუკესი აფრიდონ, მსახურთ-უხუცეის იოანე, დიდებულნი. აზნაურნი,

მონანი, მოყმენი. ყველა ესენი დასტიროდნენ წინ გაშლილს სამეფო ნიშნებს – პორფირს, გვირგვინს, საჭურვლებს. ამათ ბანს აძლევდნენ პალატში მოგროვილი მეომრები, მდგომარენი რაზმ-რაზმად, აგრეთვე მოქალაქენი, მეციხოვნენი და სხ. ასე რომ „ყოვლითურთ სამოთხისა მსგავსი იგი სამყოფი მეფისა იქმნა მსგავს ჯოჯოხეთისა: შვებათა წილ და მუსიკობათა აღხდეს ხმანი ვაებისა და ტყებისანი, ხოლო თამარი, პირი იგი ეთეროვანი და უკიმირო*) ჰაერი და უმრუმო**) ნათელი, შეიზღუდა ბნელითა, და დამფხვრელი თმათა იხოკდის ღაწვთა მულღაზაროვანთა***), და წყარო სისხლისა უსწრობდა ნაკადულსა ცრემლთასა“. დაიტირეს და დიდებულად დამარხეს გიორგი მეფე. დარჩნენ ობლად და მგლოვარედ თამარი და მისი გამზრდელი რუსუდან და აგრეთვე მეორე რუსუდანიც, სულთნის ცოლყოფილი. სხვა ბაგრატიონი აქ აღარავინ დაშთა.

2. დ ა გ ვ ი რ გ ვ ი ნ ე ბ ა.

თამარი ჯერ ისევ იგლოვდა მშობელს, რომ ქართველ დიდებულებმა რუსუდანის პირით შეუთვალეს: საქართველო უმეფოდ დარჩა, ჯარი – უწინამძღვროდ, იკმარე გლოობა, მე-

*) უბნელო. **) უშავო.***) ამულ-ღაზაროვანი, ე. ი. საამურ-მოხატული (მეგრ. ღაზურუა=ხაზვა, მოხაზვა, მოხატვა).

ფედ დაგვირგვინდიო. თამარს ფრიად ემძიმებოდა დიდის საქმის ტვირთვა, მაგრამ ერის წარმომადგენლების განზრახვამ და რჩევამ „ძლით დაარწმუნეს იგი აღსლვად და ამაღლებად საყ დართა და საჯდომთა მამაპაპურთა“.

შვიდთავე სამეფოს მთავრებმა, დიდებულებმა, პატრიარქმა, ყველა ეპისკოპოზისა და მღვდლების კრემულმა „აღსვეს და აღამაღლეს საყდართა ზედა სამეფოთა მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა ელვარება, და მზეებრ მაშუქებელი სხივ-კამკამებათა“. გვირგვინი რომ მოიტანეს, „მგალობელთა აღიმაღლეს ხმა ძლევით-გვირგვინოსნობისა და მძლედ მფლობელობისა“. გალობაში მოიხსენებდნენ ზეთისხილის მთას, კოსტანტინე მეფის ზე ჯვრის გამოჩინებას. ამ შესხმა-გალობით დაადგეს თავსა გვირგვინი ქუთათელმა ანტონი საღირისძემ და რაჭისა და თავკვერის ერისთავმა კახაბერ კვირიკესძემ, ხოლო სრულ-ყვეს-რა კურთხევის წესი, ვარდანისძეთა, საღირისძეთა და ამანელისძეთ მოიტანეს ხრმალი და შემოარტყეს გვირგვინოსანს. ახლა კი ჰკრეს სამუსიკო იარაღებს., სპილენძჭურთ, ბუკთ, ქოსთ, წინწილათა. შეიქმნა ზარი და ზეიმი ქალაქში, სიხარული, შვება და გამოსვენება, და იმედი უიმედო ქმნილთა, და სასოება უსასო ქმნილთა თაყვანი-სცეს, დალოცეს და ადიდეს სპათა შვიდთავე სამეფოსათა, და დაიშალნენ.

ხოლო თამარმა „იწყო განგებად ვითარ იგი მოჰბერვიდა სული“.

უპირველეს ყოვლისა თავის დაგვირგვინების დღის აღსანიშნავად უხვებით მიჰფინა წყალობა და შეწყალებანი: უამრავი საუნჯე გაუგზავნა იერუსალიმისა და ათონის ქართულ მონასტრებს, აგრეთვე საქართველოს საყდრებსა და სამღვდელოებას. მოვალენი იხსნა ვალთაგან, ქვრივ-ობლებს უწყალობა კმა-საყოფელი, ობლობისა და სიღარიბისა გამო დაუქორწინებელად დარჩენილებს მიუბოძა სახსარი დასაქორწინებელი, „ღონიერ ყვნა გლახაკნი და ღონიერნი მდიდარ“. შვიდსავე სამეფოში არ დასტოვა მთხოვნელი, რომელსა ზედა არა მიჰფინა უხვებით წყალობა და სამართალი.

3. სახელმწიფო გამგეობა.

ა) საეკლესიო კრება.

გამეფებისავე უმალ თამარმა მიაქცია ყურადღება საეკლესიო საქმეებს. მრავალი უწესოება დამკვიდრებულ იყო სჯულის საქმეში და სასულიერო მოხელეობაში. ბევრ უღირსს მისდა შეუფერებელი ადგილი დაეკავაო, და ყველა ამის გამო წმიდა მარითლმადიდებლობა მცირდებოდაო. გაითვალისწინა რა ესეთი ყოფა თამარმა, ბძანა მოწვეულიყო ადგილობრივი სასულიერო კრება. მაგრამ უწინარეს ყოვლისა იერუსალიმიდამ დაიბარა სახელგანთქმული მეცნიერი ნიკოლოზ გულაბრისძე და იგი დაინიშნა ხსენებულ კრების პირველად, ე. ი. თავმჯდომარედ, ხოლო მის თანაშემწედ – ქუთათელი ანტონი საღირისძე, დიდათ განთქმული სათნოებათა შინა და ძლიერი სიტყვით და საქმით. ეს ნიკოლოზ გულაბრისძე წინად ყოფილიყო საქართველოს კათალიკოზად, მაგრამ თავის თავმდაბლობისაგამო ეჯმნა კათალიკოზობისაგან და იერუსალიმს წასულიყო იქაურ ქართულ მონასტრებში სალოცავადა და საცხოვრებლად.

გულაბრისძე რომ მოვიდა, იგი შეკრებილ ეპისკოპოსებითურთ გამოეცხადა თამარს. მიეგება მათ დედოფალი, მიიწვია ერთ სადგომში, დასხა საყდრებზე და კრება გახსნა ამ სიტყვებით:

„Ჰ წმიდანო მამანო! თქვენ ღვთისა მიერ განჩინებულ ხართ მოძღვრად ჩვენდა და მმართებელად წმიდათა ეკლესიათა, და თანაგაცთ სიტყვის მიგებად სულთათვის ჩვენთა; გამოიძიეთ ყოველი კეთილად, დაამტკიცეთ მართალი და განხადეთ ყოველი გვლარძნილი. იწყეთ პირველად ჩემზედა, რამეთუ შარავანდედი ესე მეფობისა არს და არა ღვთის მბრძოლობისა. ნუ თვალ-ახვამთ მთავართა სიდიდისათვის, ნუცა გლახაკთა უდებყოფთ სიმცირისათვის. თქვენ სიტყვით, ხოლო მე საქმით; თქვენ სწავლით, ხოლო მე განსწავლით, თქვენ წვრთით, ხოლო მე განსწვრთვით. ზოგად ხელ-მივცეთ დაც-

ვად სჯულთა საღმრთოთა შეუშინებლად, რათა არა ზოგად ვიზღვივნეთ: თქვენ ვითარცა მღდელნი, ხოლო მე ვითარცა

მეფე, თქვენ ვითარცა მნენი, ხოლო მე ვითარცა ებგური".

დაასრულა-რა თვისი სეფე სიტყვა თამარმა, იქვე დაჯდა ცალკე, მერე აბრძანდა. ეპისკოპოსებმა მადლობა მოახსენეს, დალოცეს. თამარი გამოეთხოვა, პალატად წაბძანდა.

კრება დალაგდა აღიძრა კითხვა მაშინდელ კათალიკოზის მიქელის ანუ მიქაელის შესახებ. იგი არ დაესწრო კრებას, რადგან „წინა-უკმო იყოო საეკლესიო წესთაგან და ჭყონდიდელ-მაწყვერელობა და მწიგნობართ-უხეცესობაც მოეხვეჭაო“. კრებამ მოინდომა მისი დამხობა, მაგრამ დასნეულებული იყო და მალე დროში მიიცვალა. შესცვალეს ზოგი ერთი სხვა ეპისკოპოსებიც, აგრეთვე განმართეს ზოგი საეკლესიო წესებიც.

მატიანის გადმოცემით, ამით დაბოლოვდა საეკლესიო კრება. საეჭო კია კრებას არა ეზრუნა-რა თანამედროვე საასულიერო განათლებასა და სკოლებზე, მით უმეტეს, რომ ამ სკოლების გონიერი წარმართვა ხელს შეუწყობდა თვით ეკლესიის წესიერებასა და ჩინებას. და ეს კი იყო თვით თამარის მუდმივი საზრუნავი.

ბ) ხელისუფალთა გამწესება.

სასულიერო კრება დათავდა თუ არა, დაიწყო მოძრაობა ზოგიერთ დიდებულთა და ხელისუფალთა შორის. ჩიოდნენ, ძველ ხელისუფალთ ვეღარ დავემორჩილებითო, მათს მბრძანებლობაში ყოფნას ვეღარ მოვითმენთო: უგვარო და უხამსი კაცები გაგვიბატონდნენო დიდგვარიანებს, დაგვძარცვესო და პატივი მოგვაკლესო. უმეტესად უწყრებოდნენ ყუბასარს, რომელიც მეფეთაგან გაზრდილი იყო, და მაშინ ხელთ ეკავა ამირსპასალარობა და მანდატურ-უხუცესობა და ლორესაც ჰფლობდა. თან ძლიერ ავად იყო: ფილენჯისაგან მიჰღებოდა ენა, ხელი, ფეხი. თამარმა იგი გადააყენა და ლორეც

ჩამოართვა. შემდეგ ამისა ლაშქრის ნებითა და განზრახვით დაიმხო აფრიდონი, რომელიც ღვთის მობაძავისა მოწყალებით აზნაურის ყმობისაგან მსახურთ-უხუცესობამდე ამაღლებულიყო და თმოგვის ციხესაც ჰპატრონობდა.

დიდებულთა შორის გაჩაღდა ბრძოლა ხელისუფლობისთვის.

გ) ისნის კარავი.

საჭირო იყო დიდი ჭკუა და მოხერხება, რომ ხელისუფლობისთვის ბრძოლას დიდკაცთა შორის სამეფოში არ ჩამოეგდო ძველანდელებრივი განხეთქილება, ქვეყნის დაქუცმაცება სამთავრო-სამეფოებად. როგორც ვიცით, დიდებულმა მეფე ბაგრატ მესამემ († 1014 წ.) თითქმის ყველა წვრილი სამთავროები მოსპო, მეფე-მთავრები ამოჟლიტა ანუ განდევნა

და ამნაირად ჩაჰყარა ის მკვიდრი საფუძველი, რომელზედაც შემდეგში დავით აღმაშენებელმა ააგო დიდი შენობა საქართველოს გაერთიანებისა ზღვიდგან ზღვამდე.

დროთა განმავლობაში სხვა და სხვა დამსახურების გამო მეფეთა წინაშე წინანდელ სამთავროებში ესა თუ ის მოხელე გამძლავრდა, ფეოდალური ხურუში ძლიერ გაუდიდდა და მოინდომა თვითმპყრობელობის თუ არ დამხობა, დაძაბუნება მაინც. მეფის ერთგულობის მანტიით მობლარდნილი ზოგი ერთი სხვა ერისთავებიცა თუ დიდებულები ქვე-ქვე გამოიმზირებოდნენ და არ ჰკარგავდნენ შემთხვევას, უთანხმოება დაებადათ, რომ ამღვრეულს წყალში ბლომა თევზი დაეჭირათ, განუკითხავად ებატონათ თავიანთ სახელო კუთხეებში. ქალი რომ გამეფდა, მათ ეგონათ, ახლა კი თავისუფლება მოგვეცაო და როგორც გვსურს, ისე წარვმართავთო ჩვენს საქმეებს. ამ ბანაკში, უეჭველია, იქნებოდნენ ისინიც, რომელნიც ემხრობოდნენ თამარის მამის გიორგის მოწინააღმდეგე დიმიტრი დავითისძეს, საქართველოს ტახტის მემკვიდრეს, მაგრამ რომელნიც დიმიტრითურთ დაამხო გიორგიმ და თვითონ გამეფ-

და. უპირველეს მოთავედ თვითმპყრობელობის შეზღუდვისა კი არა, არამედ ფეოდალების უფლების გაფართოება-განდიდებისა გამოვიდა ყუთლუ-ასლან ჯაყელი.

წინაპარი ამ ჯაყელებისა იყო ბეშკენი († 1045 წ.) იგინი მეათე-მეთერთმეტე საუკუნიდგან ერისთაობდნენ სამცხე-კლარჯეთს, სახელდობრ, არტანუჯსა და ყველს, აგრეთვე ახალციხის მხარეს – ჯაყისმანს. ამ ჯაყის მფლობელობისა გამო გაუგვარდათ ჯაყელობა. კორიდეთის სახარების წარწერებში იხსენიება მთელი რიგი ჯაყელებისა, სახელდობრ, მურვან I ბეშქენისძე † 1070 წლ. ახლო ხანს (ქ. ცხ. 212), ბეშქენ II მურვანისძე † 1118 წ., მურვან II და მისი შვილი ზემოხსენებული ყუთლუ-ასლანი.

ამ ყუთლუ ასლანმაო მოისურვა პარლამენტისებური წესწყობილება შემოეღო, მაგრამ ვერ განახორციელა (იხ. დაწვრილებით მე-V თავში).

დააშოშმინა-რა ყუთლუს მიერ აღძრული მოძრაობა, თამარმა ამირსპასალარად დანიშნა სარგის მხარგრძელი, ჩამომავლობით კაცი გვარიანი და აღზრდილი ლაშქრობათა შინა და ჭაბუკობათა (საგმირო საქმეებში გაწვრთნილიყო) და უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო. პატივი მიანიჭა მის შვილებსაც ზაქარიას და იოანეს (ამათგან ზაქარია იყო სჯულით სომეხი, ხოლო იოანე მართლმადიდებელი).

ჭიაბერს უბოძა მანდატურთ-უხუცესობა და მისცა არგანი ოქროისა ხელსა და ჩააცვეს საკრამანგი, ე. ი. ძვირფასად მოოქრულ-მომარგალიტებული საცმელი.

მეჭურჭლეთ-უხუცესობა მისცა დიდგვარიანს კახაბერ ვარდანისძეს, მსახურთ-უხუცესობა – ვარდან დადიანს, ჩუნჩერახოზა – მარუშიან ჩუნჩერახისძეს, ამილახორობა თორელ გამრე-

კელს.

ერისთავებად დაადგინა: სვანეთისა – ბარამ ვარდანისძე; რაჭისა – კახაბერი კახაბერისძე; ცხუმისა – დოთაღოს შარვაშისძე; ოდიშისა – ბედიანი: ლიხთ-იმერით ქართლისა – რატი სურამელი;

კახეთისა – ბაკურ ძაგანისძე; ჴერეთისა – ასათ გრიგოლისძე: სამცხის ერისთავად და სპასალარად – ბოცო ჯაყელი. განაწესა სხვა მოხელეებიც.

დარბაზობის დროს ყველა ესენი სხდებოდნენ სამეფო ტახტის მარცხნივ და მარჯვნივ ოქრო-ჭედილ სელებზე (ქ. ცხ. 282).

ასრე გაიმარჯვა თამარმა ამ ხელად, მაგრამ ეს გამარჯვება მის გარდაცვალების შემდეგ ძვირად დაუჯდა საქართველოს: იმავე ჯაყელებმა საქართველოს ხელმწიფოებრიობას მოსწყვიტეს მესამედი ქართველთ მიწა-წყლისა – სამცხე-საათაბაგო ანუ მესხეთ-კლარჯეთი, ესრევე მოიქცნენ თამარის მოხელეთა შთამომავალნი აფხაზეთისა, ოდიშ-სამეგრელოსი, სვანეთისა, კახეთისა, ჴერეთისა და უმთავრესად კი სარგის მხარგრძელისა რომლის შვილის ივანეს ღალატმა საქართველოს აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენა თავის ღალატით მონგოლების შემოსევის დროს.

4. თამარ მეფის პირველი ქმარი (რუსი) და მისი მომხრეები.

თამარ მეფის დაქორწინების ამბავი გამოსარკვევად ძნელ და რთულ კითხვად გვესახება.

ვიცით, რომ მას ორი ქმარი ჰყავდა, პირველად – რუსი (გიორგი?) და მეორედ – დავით სოსლანი.

ვიცით ისიც, რომ პირველ ქმარზე ჯვარდაწერის დროს თამარი უკვე 31 წლის ქალწული იყო.

იბადება კითხვები:

რა მიზეზები მუშაობდნენ, რომ საპატარძლო მეფე-ქალმა ასე შეიბერა თავი, და ისიც მაშინ, როდესაც ბაგრატიონთა სახლის განსაგრძობად საქართველოს ტახტზე საჭირო იყო მემკვიდრე, გვარეულობის აღმაღორძინებელი, და მის მეტი კი აღარავინ სჩანდა ქვეყნის არემარეზე?

რამ დაავიწყა მორწმუნე თამარს ბაგრატიონთა ის გად-

მოცემა, რომ ვითომ იგინი ენათესავებიან დავით მეფე-წინასწარმეტყველსა და ღვთისმშობელს და რომ მათ იგულისხმებს დავითის წინასწარმეტყველება „ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა, და არა შეურაცჰხყოს იგი: ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა? (უნდა დავიხსოვოთ, რომ ეს სიტყვები დავითნისა (ფს. 131, 11) ბაგრატიონების სამეფო

ნიშანს (გერბს) წარწერილი აქვს გარეშემო შიდა არშიაზე).

ჩვენ ვფიქრობთ, ყველა ამის მიზეზი იყო მაშინდელ უმაღლეს მოხელეთა და მთავარ-მართველთა სურვილი, რომ თამარს ისეთი ქმარი არ შეერთო, რომელიც მათ ალაგმავდა, მათ თავგასულობას შეზღუდავდა. ასეთ კაცად კი, სჩანს, მათ მიაჩნდათ დავით სოსლანი, ე. ი. ის, რომელიც თამართან ერთად ყმაწვილობითგანვე აღზრდილიყო და რომლისთვისაც, როგორც გამოსჭვირს სხვა და სხვა ცნობებიდამ, თამარს მეუღლეობის პირობა მიეცა.

მოხელეობა-მთავრობა დავით სოსლანს უგვარო კაცად სთვლიდა და გაიძახოდა, თამარს შეჰფერის ისეთი გმირი, ვითარიც იყვნენ ბუმბერაზი ამირან ხვარეშანისთვის, ხოსრო შანშა-ბანუმისთვის, მზეჭაბუკ ხაზართა მზისათვის, პოლემპი იპოდამისთვის, პლატონი პერსეფონისთვის, რამინი ვისისთვის, შარიარი ოსნაოზისთვის, შატბერ (თამარიანი, 43) ანალათისთვის, იაკობ რაქაელისთვის, იოსებ ასანათესთვის, დავით მეფე ბერსაბესთვის. მაგრამ ამისთანა საქმროები დღეს აღარ არიანო.

ასეთი მათი სჯა რომ გულწრფელი ყოფილიყო, თამარი უქმროდ უნდა დაეტოვებინათ, რადგან მისი ღირსი საქმრო ვითომ არ იყო მსოფლიოში. მაგრამ „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“ რომ იტყვიან ხოლმე, ეს სწორედ აქ გამართლდა. თამარისთვის გმირ-ბუმბერაზ საქმროს მძებნელებმა არავითარი ანგარიში არ გაუწიეს თავის დედოფლის გულსა და გრძნობას, რომლის მბრძანებლობით თამარი აგერ უკვე 31-ის წლის ქალი ვერ თხოვდებოდა, თავის საგულო დავით სოს-

ლანს ვერ სთმობდა, ვერ ღალატობდა. სოსლანის მოწინააღმდეგეთა დასაყოლიებლად ამაო შეიქმნა თამარის სიკერპეც და თვით სოსლანის მომხრეთა ღაღადისიც, რომ დავითი დასაწუნი არ არისო, რომ იგი ჩამომავლობით არისო დიდგვარიანეფრემიანი: იგი „თვისობსო ეფრემს, სიმხნითა ისობს (ჩახ. 34) „ეფრემის ძირთა ისართა მთლელი“ (75), რომ თამარის მოტრფიალე დავითი არისო ..მეხებრ ძლიერი, მხნე, უძლეველი, ლომი აბესალომი (80), „ნებროთს სჯობსო ძალად, დებორს ახოვნებით (93), ეს ლომი-დავით თამარისთვის აღეგოო კეთილ-სახმარედ (შავთ. 21), „იოსებს თვალად, სამსონს ძალად, სჯობსო ნებროთს გულად“ (შავთ. 46), რომ თამარის შუბისა და ფარ-შიმშერის ხმარება ჰშვენისო ლომს დავით (შოთა 3; 1573).

ვიმეორებთ, ყოველი ეს არ შეისმინა საქართველოს უმაღლეს მოხელეობა-მთავრობამ, მაგრამ სამეფოსთვის საჭირო იყო მემკვიდრე, ლაშქრისთვის – წინამძღოლი. მოხელე-მთავრებმა ეს იცოდნენ და, უნდოდათ თუ არა, თავის დედოფლისთვის ქმარი უნდა შეერთოთ. მაგრამ, ვიმეორებთ, არა ისეთი, რომელიც ემსგავსებოდა მათ მიერ ზემო ჩამოთვლილ გმირებსა და ბუმბერაზებს და როგორიც იყო დავით სოსლანი, არამედ ისე-

თი, რომელიც იქნებოდა მათი მოხელქვეითე, მათი მორჩილი მონა-ყმა.

ამ უმაღლეს მოხელე-მართველთა შორის განთქმული და უმეტეს განდიდებული იყო ერისთავთ ერისთავი აბულასანი, „ამირთ-ამირა ქართლისა და ტფილისისა, რუსთავისა და შვიდთა მთეულთა პატრონი, ძმა ქართლის მთავარეპისკოპოზის ვასილისა და მამაი დავითისა“. (იხ. წარწერა ვერის ანდრია მოციქ. საყდრისა; ქ. ცხ. 284).

ამ აბულასანმა თამარისთვის „გმირ და ბუმბერაზ“ საქმროების მძებნელებს მოახსენა: „მე ვიცი შვილი რუსთა ხელმწიფისა ანდრია დიდისა მეფისა, რომელსა ჰმონებენ 300-ნი მეფენი მის კერძოსანი, და იგი, მცირე დარჩომილი მამისაგან

და ბიძისაგან სავალთად წოდებულისა, ექსორია-ქმნილ დევნილი, გარდმოიხვეწა და არს იგი ყივჩაყთა მეფისა სვიაჯს ქალაქსა შინა“.

ეს იყო და ეს. აღარც იძივ-იკვლიეს, თუ მართლა რუსეთის მეფეს 300 მეფეები ჰმონებდნენ, აღარც ის შეიგნეს, თუ როგორი კაცია გამოგდებული მეფისძე, აღარც დაეკითხნენ თამარს, არამედ ფიცხლავ სვიაჯს გაგზავნეს ტფილელი ვაჭარი ზანქან ზორაბაბელი და მან მოიყვანა. შეხედულობით არა უშავდა-რა. თამარს შეუთვალეს: საქმრო მოგიყვანეთო. „აწვევდეს ქორწინებასა და ასწრაფობდეს ამის პირისათვის“.

სახტად დარჩომილმა თამარმა შეუთვალა ვითომ მისთვის მზრუნავებს:

„კაცნო, ვითარ ღირს შეუტყობლად ესე-ვითარისა საქმისა ქმნად! არ ვიცით კაცისა ამისთვის უცხოსა არცა ქცევა, არცა საქმე, არცა ბუნებისა და ჩვეულებისა, არცა მხედრობისა და სიქველისა; მაცადეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე გინა სიდრკუე მისი“.

პასუხად თვისი დრტვინვა და აღშფოთება მოაგებეს აიამარს: ლაშქრის წინამძღოლი გვინდაო, დრტვინვით „შეაიწრებდის სულსა მისსა“. სახით ლამაზიაო მოყვანილი საქმრო. „სპილოთაებრ არა განიხილვიდეს მისაყრდნობელთა. ესეოდენსა მძიმესა საქმესა მსუბუქად შეეხებოდეს“.

თამარი რომ უარ-ჰყოფდა ქორწინებას, ზოგიერთნი ამბობდნენ, თუ ეგ არ უნდა, მაშ შევრთოთ ბერძენთა მეფის მამის ძმის-წული ალექსი*), რომელიც ეხლა აქ, საქართველოშივე არისო. თამარმა ესეც უარჰყო. მაგრამ აიძულეს და განამზადეს ქორწილი და ჯვარი გადასწერეს თამარსა და გიორგი რუსს (1185-6 წ.). ქორწილის ლხინი გაგრძელდა მთელი კვირა. შემდეგ ამისა გიორგი რუსი წაუძღვა ლაშქარს და

*) ალექსი კომნიანოსი, რომელიც თამარმა პონტოს იმპერატორად დასვა 1204 წელს (იხ. ქვემო).

წავიდა საომრად. მოილაშქრეს ბასიანი, კარისი (=ყარსი), დვინი. ყველგან გაიმარჯვეს. მაგრამ რათ ღირდა ეს გამარჯ-ვებები, როდესაც გიორგი რუსს გამოაჩნდა ბარბაროსული თვისებები და სავსებით აღსრულდა თამარის წინასწარხედვა; „სიმთვრალეთა შინა იწყო (გირგი რუსმა) მრავალთა საძა-გელთა და უშვერთა საქმე ქმნათ, რომელთა ნამეტნავ არს აღწერად“. იგი აღიძრა წყენად თამარისა... „იუდა მყოფელ-მან თავისა მისისამან არღარა იცოდა, რამცა ექმნა“. შვი-დივე ბოროტება ემარჯვებოდა თამარის ქმრად მოწვეულს, ვიდრე სოდომურ ქცევამდე. ორ წელ ნახევრამდე ითმინა თა-მარმა, რა და რა ღონე არ იღონა, რომ იგი პატიოსნების გზაზე დაეყენებინა, მაგრამ ამაოდ. სიტყვისამებრ „ვკურნებ-დით ბაბილოვანსა და არა იყო კურნება“, მაინც არა შეი-გონა-რა. გაბეზრებულმა თამარმა საჯაროდ უთხრა სვე-უბე-დურ გიორგის: „მე არა მიძლავს აჩრდილსა მრუდისა ხისასა გამართვად, და უბრალოდ განვიყრი მტვერსაცა, რომელი აღმეძრა შენ მიერ“. სთქვა, დასტოვა იქვე და წავიდა. ხო-ლო რუსუდანმა და სხვებმა წარგზავნეს სვე-უბედური რუსი შავი ზღვის პირად, იქ ჩასვეს ნავში, მიუბოძეს საკმაო სიმდიდრე და გაისტუმრეს კოსტანტინეპოლს (1188 წ.)

გაისმა ეს ამბავი არათუ მთელს საქართველოში, არამედ მთელს მახლობელს მსოფლიოშიაც. თამარის შერთვა მოინ-დომა მრავალმა დიდებულმა კაცმა. მისთვის ხელდებოდნენ ბერ-მენთ იმპერატორის მანუელის შვილი პოლიკარპოს, ასურას-ტანისა და შუამდინარის მეფისძე, ათაბაგ ილდიგუზის († 1173 წ.) ძის ყიზასლან სულტნის (1186 – 1191) შვილი, ხოლო სალდუხ მეფისძე მუტაფრადინი დიდის დიდებით და მრავა-ლის ძღვენით მოვიდა საქართველოში, რათა ითხოოს ხელი თამარისა. იგი მიიღეს შესაფერ ზეიმით, ანადიმეს, ამხიარუ-ლეს, ანადირეს, ცოლად შერთეს ვიღაც ხარჭისაგან ნაშობი ქალი, „სახელდებული მეფის შვილად“, და გაისტუმრეს შინ, არზრუმს. ვერ გაუმართლდა თამარის შერთვის იმედი შარ-ვან-შა აღსართანსაც.

14

ყველა ეს იმიტომ ასე დატრიალდა, ვიმეორებთ, რომ თამარს სახელმწიფო კაცად და ერთად ერთ თავის საქმროდ თავიდგანვე მიაჩნდა დავით სოსლანი და ახლა, როდესაც ამ დავითის მოწინააღმდეგენი ასე საშინლად დამარცხდნენ უცნობ და უცხო „ხაღან სკვითის შემსგავსებულ“ *) რუსის მოწვე-ვით, თამარმა აასრულა თვისი განზრახვა: დავითი შეიქმნა თამარის ქმრად და საქართველოს მეფედ (1189 წელს, რო-დესაც თამარი 33 წლისა იყო).

ჯვარი გადაიწერეს დიდუბის საყდარში და დიდუბისავე სასახლეში გადაიხადეს ქორწილი. საქორწინო ზეიმს ხელ-მძღვანელობდნენ მეფის და რუსუდანი, რომელსაც, როგორც ვთქვით, აღეზარდა დავით სოსლანი, და კიდევ სხვა რუსუდა-

ნი ბაგრატიონივე, რომელიც ერაყის სულთანზე იყო გა-
თხოვილი, მაგრამ ახლა დაქვრივების გამო საქართველოში
იმყოფებოდა. ნადიმის დროს იმართებოდა სახიობანი, მგოს-
ნები და მუშაითები მოლექსეობდნენ. მრავლად იყო აქ ლაშ-
ქარი. ეკლესიებს, ქვრივ-ობლებს და ყველას ეწყალობებოდა
საჩუქარი მრავალი (ამ ქორწინების ზეიმის სახალხო აღწერი-
ლობას ვურთავთ ბოლოში).

გამეფებით გამეფდა დავითი, მაგრამ მისი წინააღმდეგი
ქვეშუდანობა მალე არ დაილია. დიდუბის ზეიმის წლის თავ-
ზე კოსტანტინეპოლიდან არზრუმს და მერე კლარჯეთს გად-
მოვიდა გაძევებული რუსი (1191 წ.). აღტაცებით მიიღეს
იგი მეფის მიერ შეწყნარებულმა და ტაო-შავშეთ-კლარჯეთის
მთავარ-მართებლად დადგენილმა გუზანმა, რომელსაც მიე-
მხრნენ სამცხის სპასალარი ბოცო ჯაყელი, ორბეთისა და კაე-
ნის მფლობელი და ამათთან ერთად ყველა ლიხთ-იქითელნი,
იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი, გურია, მოიყვანეს
რუსი გეგუთს, სამეფო ტახტზე დასვეს და მეფედ გამოაცხადეს.

---

*) იგულისხმა ის ხაღან სკვითი, რომელიც სპარსებთან შეთანხმე-
ბით 626 წ. ქ. შ. ებრძოდა კოსტანტინეპოლს.

ფიცხლავ თამარის წინ მოგროვდა კახეთ-ჰერეთლობა,
ქართლელობა და ვინც სად ერთგულად თამარისა დარჩენი-
ლიყო. მხეცებრ განძვინდნენ ყველა ესენი, როდესაც ორ-
გულთა ამბავის წვლილადობა გაითვალისწინეს. თამარს სისხ-
ლის დაღვრა არ სწადდა. დაგზავნა სანდო შუაკაცები, მაგ-
რამ მეამბოხეებმა მშვიდობა არ ისურვეს. შეიარაღდნენ, გად-
მოლახეს ლიხი, ამოწყვიტეს და ააოხრეს ქართლის არენი და
მეფის საზაფხულო ნაჭარმაგევის სასახლემდე გამოიარეს. ამავე
დროს დადიან-ბედიანთა წინამძღოლობით მეამბოხეთა მეორე
ნახევარი იმერეთიდამ გადავიდა სამცხეს. დასწვეს ქალაქი
ოძრხე და შეუერთდნენ ბოცო ჯაყელს. სწადდათ დაეპყრათ
ჯავახეთი, თმოგვი, ახალქალაქი, მომხრე სომხითარებთან ერ-
თად აგარისა და ალგეთის მხრით შემორტყმოდნენ ტფილისს,
საცა იმყოფებოდა თამარი. მაგრამ თამარის ბრძანებით მისმა
ერთგულმა ლაშქარმა გრიგალებრ გავლო გზა, ცეცხლებრ
მიენთო დადიან-ბედიან-ბოცოს და გაანიავა მათი ძალა ნია-
ლის მინდორზე, თმოგვსა და ერუშეთს შორის. იგინი გაი-
ქცნენ, ესენი დაბრუნდნენ და შემუსრეს სომხითის მეამბოხე-
ნი. გაეწყო სხვა რაზმი ქართლში შემოსვლების წინააღმდეგ,
მაგრამ ბრძოლა აღარ დასცალდათ, ვინაითგან დაშინებული
მეამბოხენი გალაგდნენ და ერთგულება შემოუთვალეს თამარს
და პატიება და შენდობა ითხოვეს. სვანებმა წარმოუდგინეს
თვით რუსი გიორგიც. მეფე თამარმა ყველას შეუნდო, თვით
რუსსაც, რომელიც უვნებლად გაანთავისუფლა.

გუზან აბულასანისძეც(ქ. ცხ. 286, 297), ტაო-კლარჯე-
თის მმართველი დაემორჩილა თამარს და ერთგულობა აღუ-
თქვა, მაგრამ ამისი ერთგულობა პირფერული გამოდგა. იგი

ისევ განდგა, გაიტანა ტაოსკარი, ვაშლოვანი და სხ. მრავა-
ლი ციხე და წავიდა და მიემხრო შაერმანს, რომელიც მთავ-
რობდა ბასიანის მომიჯნავე აშორნიას. სცნო-რა თამარმა,
ტაო-კლარჯეთის სეფე-შვილად, ე. ი. მეფის მოადგილედ და-
ნიშნა თავისი მეღვინეთუხუცესი, მას თან გააყოლა სარგის

თმოგველი, კახა სამძივარი. სხვა აზნაურთ-შვიღ.,ები და გაი-
სტუმრა. კოლას რომ მივიდნენ, მოეგებნენ ზაქარია ფანას-
კერტელი, ძინიელნი, კალმახელნი და სხვა ჭაბუკები. შეი-
ყარნენ-რა, სცნეს, რომ გუზანს ციხეებში ჩაუყენებია თურ-
ქები, ხოლო გუზანის შვილი შაერმანის ლაშქრით მოსულა
მამის ცოლ-შვილის წასაყვანად. გუზანის ძეს დიდი ლაშქარი
ჰყავდა, სულ 12-ის დროშისანი, თამარის რაზმი კი მცირე
იყო. მიუხედავად ამისა, შეებნენ ამოხოცეს, ზოგნი კი გაი-
ფანტნენ, ხოლო ტყვეთა შორის დაშთნენ გუზანის ცოლ-
შვილნი. დაამშვიდეს იქაურობა და დაბრუნდნენ. გუზანი კი
ყაჩაღად გავარდა კოლის მთებში, საიდანაც ქურდულად ეცე-
მოდა ქრისტიანებს, არბევდა და ხოცავდა. ბოლოს იგი შეი-
პყრეს მთიბავებმა და დავით სოსლანს წარუდგინეს. მან თამა-
რის დაუკითხავად ბრძანება გასცა, გუზანისთვის თვალები
დაეწვათ. ასე დაიღუპა ეს ორგული კაცი (ქ. ცხ. 324).

რუსი გიორგი სპარსთა დახმარებით ერთხელ კიდევ შე-
მოიჭრა განჯის მხრიდამ, დაიჭირა ზოგიერთი სოფლები შიგ-
ნით მინდორში, დაატყვევა ზოგი ქიზიყელობა, მაგრამ ხორ-
ნაბუჯის ერისთავმა საღირმა თავის სამის შვილით და მცირე
რაზმით დაამარცხა იგი, ამოწყვიტა თან-მყოფნი და ორის
მონითღა ძლივს გადარჩა თვითონ რუსი. მის შემდეგ მისი სახ-
სენებელი განქარდა: არავინ იცის, ცამ ჩაყლაპა, თუ დედა-
მიწამ უყო პირი და ჩაიძირა. მხოლოდ ჩახრუხაძე მის შესა-
ხებ ამას ამბობს (44): თამარ მეფეო,

„ხაფად დაგესხენ ქ მ რ ა დ რამე გესხენ,
აწ ძ ვ ა ლ თ ა მათთა დაჰხდეს რა რყევად?“

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თამარის რუს-ქმრის სახელს
არ იხსენიებს არც ქართლის-ცხოვრება და არც სხვა წყაროე-
ბი, გარდა ნაგვიანევ სომხურებისა. თვით რუსთა მემატიანეებ-
მაც არ იციან, რომ ანდრია ბოგოლიუბსკის შვილს ემეფნოს
საქართველოში. აკადემიკოსი ბროსსე, შეეხება-რა ამ კითხვას,
გარმანტავს, რომ ქართლის ცხოვრებაში (285) მოხსენებული

სავალთი არისო რუსთა მთავარი ვსევოლოდი. მაგრამ ეს შე-
საწყნარებელი არ არის. ქართლის ცხოვრება სხვა ადგილას
(302, 304) შენიშნავს, რომ თამარს შამქორის ლაშქრობაში
შველოდაო ყიფჩაღთა ლაშქრით ყიფჩაღეთის მეფის ძმა სე-
ვინჯი – სავალთი. თუ სავალთი ჩავაგდეთ ვსევოლოდად, ისიც
უნდა ვიწამოთ, რომ შამქორის ბრძოლაში თამარ მეფის მშვე-

ლელი რუსი ვსევოლოდიც ყოფილა, და ეს ხომ შეუწყნარებელია! პირიქით, ეს სავალთი ანუ საბალთი ჩვენ მიგვაჩნია შვილად იმ „ხათუნ- ყოფილ მარიამისა, საბალთის დედისა და სულდაის ძმისწულისა“, რომლის შეწირულებას მცხეთის სვეტიცხოველისთვის იხსენიებს მისივე ბრძანებით გამოქანდაკებული არმაზის ქვის წარწერა მე-XII საუკუნისა (საეკლ. ისტ. 30). ამიტომ ეს თამარის საქმროდ მოწვეული ალბად იყო რაიმე დანაშაულობისთვის სვიანჯს გადმოხვეწილი რუსი, რომელიც, ალბად, ბატონიშვილობაზე თავსდებდა.

II. თ ა მ ა რ ი ს ო ჯ ა ხ ი.

ა) დავით სოსლანი.

დავით სოსლანი, როგორც იუწყებიან მემატიანე და თანამედროვე მგოსნები, ჩამომავლობით იყოო ეფრემიანი, ე. ი. იაკობის ძის ეფრემის შთამომავალი. მაგრამ იგი ენათესავებოდაო აგრეთვე ბაგრატიონებს და, რადგან ტახტზე გასამაგრებლად საჭირო შეიქმნა ამის დამტკიცება, კიდეც გამოიკვლიეს და აღმოაჩინეს დავით სოსლანის წინაპარი, საქართველოს მეფე გიორგი I-ის (1014 – 1027 წ.) შვილი დიმიტრი. ამ დიმიტრისაგან იშვაო დავით, დავითისაგან ათონ, ათონისაგან ჯადარონ და ჯადარონისაგან დავით-სოსლანი*). ოსებთან ძველთაგანვე კარგი განწყობილება ჰქონდათ ქართველებს, მეტად-

*) ამათი სახელები გვხვდება ერთ ლექსშიაც (იხ. ქვემოთ).

რე დავით აღმაშენებლისა და თამარის მამის გიორგის დროს. ამას ხომ, როგორც იყო ნათქვამი, ცოლად ჰყავდა თვით ოსთა მეფის ასული. თამარის საქმროდ რომ რუსი მოიწვიეს, მაშინ ტფილისს მოსულიყო ოსთა მეფის ორი ვაჟი, შესახედავად შვენიერნი და კეთილნი მოყმენი! მათი აჯა ის იყო, რომ ეგების ერთ-ერთი თავის ქმრობის ღირსად გაგვხადოსო თამარმა. რუსზე რომ ჯვარი გადასწერეს თამარს, მათ თავზარი დაეცათ, შინისკენ წავიდნენ, მაგრამ ერთმა ძმამ თამარისადმი ცხოველი სიყვარულის ცეცხლს ვეღარ გაუძლო და ნიქოზს გარდაიცვალა დარდ-მწუხარებისაგან. ცოცხლად გადარჩენილი კი, ალბად, იყო სოსლან დავითი.

საფიქრებელია, შინ დაბრუნებული დავითი ხელ-ფეხ მოკეცილი არ იჯდა, არამედ, – თუ თამარს მისთვის მეუღლეობის სიტყვა მიეცა, – თავის მხრით ცდილობდა, რომ თანამგრძნობნი და მომხრენი მოეძებნა, რათა რუსი გიორგი დაემხო და თვითონ შეერთო საყვარელი არსება. პირადათ ჩვენ გვგონია, რომ ეს ესრეც იყო, რომ ორთავენი, თამარიცა და დავით სოსლანიც, ამზადებდნენ ნიადაგს რუსის დასამხობად. ასეთ მსჯელობის საფუძველს ჩვენ გვაძლევს შესწავლა თანა-

მედროვე თხზულებებისა, მეტადრე შოთა რუსთაველის ვეფ-
ხის ტყაოსნისა.

მემატიანეს სიტყვით (292), დავით სოსლანი იყო „ნაკვ-
თად კარგი, ბეჭ-ბრტყელ, პირად ტურფა, ტანად ზომიერი,
ზრდილობით კეთილად ზრდილი და წვრთნილი, მხნე და ძლიე-
რი, რაინდობითა და მშვილდოსნობითა უსწორო შემმართე-
ბელი, ტანითა ახოვანი და ყოვლითურთ სრული სიკეთითა“.
თამარის ცოლად შერთვიდამ „წელიწდისა მოქცევამდის წაე-
ჯობინა ყოველსა მშვილდოსანსა, ცხენოსანსა და მკვირცხლ-
სა, მოასპარეზესა, მწიგნობარსა, ყოველთა ნასწავლთა ხელთა
სიკეთითა" (293). შესაჯდომად მას ჰყვანდა ცხენი ზერდაგი.
ეს ცხენი მის სიძლიერე და სახელგანთქმულობის გამო და-
ვითმა იყიდაო ვახტანგ საჩინელისაგან და ფასად უბოძაო ერ-

თი ციხე და ერთი სოფელი (305). ომსა შინა იყოო მხნე,
უხვი და მდაბალი (327). ასეთი იყო იგი თანამედროვე მგოს-
ნების სიტყვით:

მხედრობს უნესა, გულსა უნესა, სათნოებისა ჭური რჩეული.
ე საც ერია, მეხებრ ერია, რაზმნი შეიქმნეს სულ დალეული.
ქმნის რა ნავარდი მყის განავარდი, ჰფერობს ვით ვარდი თვით
დაცვარული,
იხმარნის მკლავნი, ძაფად მამკლავნი, აღმტაცებელნი გრიგალ-ქარული
(შავთ,. 29).

ვქმნა ქუხილად, თვალთა წეხილად,
რაზმთა ურიცხვთა მეხ-გრიგალ-ქარად (შავთ. 50).
დავით ძლიერი, მხნე საშინელი
უფლებს და მთავრობს ურჩთ შემწველობა (6).
მასთანა შორად ართუა შორად
ელი ამ ოსით ესრომ არამით? (შავთ. 24).
სჩანს ლომებრ ომში შემძახებარე
ოს-დიდმან დავით, დას-დიდმან დავით
ფარეზ შემუსრა წინამგებარე (ჩახ. 32).
ჯაჭვ-ჭურთა მფქველი, გამოჩნდა ქველი
და აქილევთა დაუწყო ძლებად
მიწყივ ომითა დაუშრომითა
თურქნი განასხნა დაუყოვნებად (101).
სხვათა მძლევართა ხარკთა მძლევართა
ზედა სხვა შიში ჰმატს საშინელი:
რომელ დღეს ტაოს მოამატა ოს,
ისპირს და შარვანს მოვლაა ძნელი (74).
მამცქეფრობს დავით ძლიერი, მხნე, უძლეველი (80).
ნებროთს სჯობს ძალად (93).

აი ესეთი ბუმბერაზი კაცი ამოირჩია ქმრად თამარმა და
თან კეთილგონიერად აქამანდა იგი მოსეულ მტერთა შესა-
მუსრავად.

ბ) თამარის შვილები.

თამარი ჯერ ისევ ფეხმძიმედ იყო, რომ ერი მიეცა დიდს სიხარულს. ყველანი ევედრებოდნენ ზენას, რომ მუცლადღებული ვაჟად დაბადებულიყო. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, რაც ჩასახულიყო, მისს სქესს ვერ შესცვლიდა ვერც ვედრება, ვერც ლიტანიობანი: ბუნების კანონს ბუნებრივი მსვლელობავე მიეცემოდა. სასიხარულოდ ქვეყნისა თამარს პირმშოდ დაებადა ვაჟიშვილი (1192-3 წ.), რომელსაც დედამ დაარქვა თავის მამის სახელი – გიორგი. ტახტის მემკვიდრის დაბადებას კვლავ შეეგებნენ ზეიმითა და აღტაცებით. მხურვალე ლოცვას ავლენდნენ ღვთისადმი, რომ გაეზარდა და დღეგრძელობა მიენიჭებინა ახალ-დაბადებულისთვის. მოლოცვები მოდიოდა ყოვლის მხრიდგან, აგრეთვე ძღვნები. თამარს მოულოცეს ბერძენთა იმპერატორმა, თურქთა სულთანმა, ამირებმა და სხ. მოვიდნენ აფხაზთა მომლოცველნიც და, ნახეს-რა შვენიერება ჩჩვილის გიორგისა, წარმოსთქვეს: „ლაშა!|, ხოლო ლ ა შ ა აფხაზურად ნიშნავს ბრწყინვალეს, სოფლის განმანათლებელს. ამის შემდეგ თამარის შვილს დაენათლა ეს სახელიც: ლაშა ანუ ლაშარი. ასე იხსენებენ მას დღესაც ფშავ-ხევსურები, რომელთაც ლაშა მის დედითურთ წმიდანად მიაჩნიათ და მათთვის აუგიათ ნიშები და ყოველწლივ დიდის სასოებით ლოცულობენ „ლაშარის-ჯვარსა" და „თამარს ნეფეს“.

ფრიად საყურადღებო და საგულისხმიეროა პოეტის სიტყვები ლაშა-გიორგის შესახებ თამარისადმი მიმართული:

„დავითის ძემან, უბინდოდ მზემან,
ლაშა ყე გიმზო*) წარმართებულად;
ვიტყვი მას მზესა, ვინ გაუწესა
ღვთისა ღვთისაებრ შეყვარებულად,

*) შენ, თამარო.

ძესა სანდომსა, ვახტანგის ტომს,
რომელ ენატრა მისდა სწრებულად,
ვითა იწადა, რა დაიბადა,
სპარსთა სიმაღლე დაცადებულად“ (ჩახრ. 9).

ლაშა-გიორგის დაბადების წლის თავზე თამარ მეფეს ეყოლა (1193-4 წ.) კიდევ შვილი, ახლა კა ასული, რომელსაც უწოდა სახელი თვისის აღმზდელის მამიდისა – რუსუდანი. ეს ანგელოზებრივ ლამაზი იყო დაბადებიდგანვე. რუსუდანი ჯერ ისევ 3-4 წლისა იყო, რომ თამარის ძლევამოსილობით დაშინებულმა სპარსეთის სულთანმა და ხორაზმის ათაბაგმა მოწიწებით ითხოვა თამარისაგან: შენი ქალის ქმრო-

ბის ღირსი გამხადეთ (იხ. ქვემო).

გ) შინაური ცხოვრება.

თამარი, ჩახრუხაძის სიტყვით რომ ვთქვათ, იყო „წყნარი, შესაწყნარი, პირმცინარი“. მას უყვარდა შინაური მყუდროება, შრომა, გარჯა. ჩვეულებრივ სადად იმოსებოდა, თუმცა გამოჩინება დარბაზობისას გამოეწყობოდა ხოლმე მეფურად, პორფირ-დიადიმითა, ძვირფას სარტყელითა და გვირგვინით.

ფეხთ ეცვა თამარს ძვირფას ქვებით შემკული წუღები, ყელზე უძვირფასეს ქვების მანიაკი (საყელური), ძვირფასადვე აღმკული საგულე. მგოსანი შავთელი მიჰმართავს თამარს შემდეგის სიტყვებით: „შესამოსელნი შესამკობელნი გმიოსიან ტანსა ოქრონემსულნი, გვირგვინ-სკიპტრანი, ბისონ მიტრანი ძოწეულითა თანაშემკულნი. გაქვს-ღა პორფირთა შთაცმა პოდირთა სამარაგდონი ერთგან ექსულნი. დიადი მითა დიადიმითა ზეგარდამო გაქვს წმიდად ექ სულნი“ ტ. 37).

აქ უნებლიედ აგონდება კაცს ერთი შემთხვევა. თამარი ბძანდებოდა ქუთაისში. ღვთისმშობლის დღესასწაული იყო. თამარი ირთვებოდა წირვაზე წასასვლელად. ამ დროს მის

კარს მოადგა ერთი მეტად გაჭირვებული და დავრდომილი მათხოვარა. მოახსენეს, მოწყალებას ითხოვსო. ბრძანა, ცოტა ხანს დაიცადოს, გამოვალ და მე თვითონ დაუამებო. ამასობაში დაუგვიანდა: მიზეზად შეიქმნა მანიაკი, რომელსაც როგორღაც ხერხიანად ვერ იკიდებდა. ვიდრე იგი გამოვიდოდა, გლახა კიდეც წასულიყო. თამარი რომ გამობრძანდა და კარწინ არ დახვდა მთხოვარა, დიდს საგონებელში ჩავარდა: ეს რა მომივიდა, რომ ასე დავიგვიანე და განუკითხავი დამრჩაო გლახაკი. სახარებაში კი ქრისტე ამბობს: ვინც არ განიკითხავს გლახაკს, ის უწინარეს ყოვლისა არ გამიკითხავს მეო. ეს ხომ დიდი ცოდვა-ბრალიაო. აძებნინა გლახაკი, მაგრამ მისი კვალიც აღარ სჩანდა. დიდად დაღონდა, ინანა. რადგან ამის მიზეზად გახდა მისი მანიაკი, ამიტომ მოიხსნა იგი და გაგზავნა გელათს ბრძანებით: „ეს მანიაკი მიართვით მანდაურს ხახულის ღვთისმშობლის ხატსო“. და ჩამოჰკიდეს მასზე. მანიაკი შემკული იყო დიდრონის ძვირფას და ელვარე ქვებით. თვით ის ხახულის ხატიც ისე ძვირფასად მოჭედილ-შემკულია, რომ ღირს რამდენიმე მილიონად, თუმცა აქა-იქ რამდენათმე გაძარცულია.

თამარი მგოსნის შავთელის სიტყვით (ტ. 63) იყო განსაკუთრებული მფარველ-პატრონი ყველა დაჩაგრულ-დაძაბუნებულისა; იგი ამბობს: თამარ მეფეო,

თვალი ხარ ბრმათა,
თვით მზრდელი ყრმათა,
მშიერთა პური,

უსახლთ სართული,
მამა ობოლთა,
მსაჯული ქვრივთა,
შიშველთ სამოსლად
მონიჭებული,
მოხუცებულთა
შრომით რებულთა

სიმტკიცის კვერთხად
მისაყრდნობელი.

ხან-კი ყველას მასწავლებელიო:

მოგვფენ სიბრძნესა,
წერილთ სიღრმესა
თვით განგვიმარტებ,
მადლთა მთხრობელი.

მატიანის მოწმობითაც თამარის საყვარელი სიტყვები იყო საღმთო წერილის გამოთქმა: „მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა“.

ხალსაქმარი თამარს დასახული ჰქონდა თავის სანუკარ საქმედ. ხშირად მთელ ღამეებს სწირავდა საყვარელ ხელსაქმარს, მეტადრე მაშინ, როდესაც შეუდგებოდა სამღვდელოთა შესამოსლებისთვის მატყლის დართვასა და მერე ქსოვასა თუ შეკერვას. „აფთონს ბძავს, ათენს, ესრეთ გაათენს წყვდიადსა ნათლად სხივნი მზისან“, ამბობს თანამედროვე მგოსანი შავთელი (ტ. 23).

მარად ზრუნვა-რუდუნება მისს სტიქიონს შეადგენდა. როდესაც მოიცლიდა, გულს აყოლებდა სეფე-წულებისა და სასახლის ყმაწვილების გართობაში. ხანდახან თვალს მოიტყუებდა ხოლმე სასახლეში მყოფ გაშინაურებულ ბოკვერის (ლომის ლეკვის) ბრდღვინვა-ოინებით.

თამარისა და დავითის მეუღლეობა იყო ტკბილი, გაზეებული. მგოსანი მიჰმართავს მათ (შავთ. 62).

„გვრიტთა მართვისა
თვარ აქვთ მართ ვისა
თქვენებრ სურვილი
მეუღლობისა!“

რაც დღე ჰქონდა, დავით სოსლანს ცოლ-შვილისთვის სიამოვნება არ დაუკლია.

დ) სამეფო სასახლეები.

თამარ მეფეს ბევრი სასახლეები ჰქონდა, და მერე ისიც

სამეფოს ყოველ კუთხეში. წელიწადის რომელსამე დროს იგი ატარებდა ამა თუ იმ სასახლეში, რომ იქაური საქმეები განეგო, თავის თვალით ენახა ერი და დაელხინებინა ადგილობრივ მკვიდრთათვის. მისი სასახლეები იყო: ტფილისს, ტაბახმელას, აზეულას (კოჯორს), აგარანს, დედოფლის-წყაროს, თოღას (ლაგოდეხში), მანავს, თელავს, გრემს, თიანეთს, ჟინვანს, ანანურს, ნაჭარმაგევს, ატენს, ვარძიას, თამარის-ციხეს, გეგუთს, მარტვილს, ცხუმს, სვანეთს, ბათომს და სხ.

თითქმის ყველა სასახლეს ერტყა ძლიერი ციხე-გალავანი ბურჯებითა და სასროლებით, და აგრეთვე ჰქონდათ საკუთარი წყაროცა და სხ. სამსახურებლებიც. ვარძიას მაჰმადიანთა მწერალი ისკანდერ მუნჯი სთვლის ადამიანის ხელთა სასწაულებრივ ნამოქმედრად.

სვანების გადმოცემას დაუცავს ერთი ლექსი, რომელიც ნათელჰფენს იმას, თუ თამარი როგორ მოგზაურობდა ხოლმე სამეფოს თვით დღესაც მიუვალ ყურე-კუთხეებში.

აი ეს ლექსი:

თამარ დედოფალ მობძანდა.
თხემსა ეხურა შას ზუჩი.
ყურებსა ჰქონდა საყურე.
თვალნი ჰქონდა იაკინთის.
კბილნი ჰქონდა მარგალიტის.
ღაწვები ჰქონდა ბრწყინვალე.
ყელზედა ება იაშმი.
ზეიდან ეცვა აბჯარი.
შიგნით – ზეზი – ატლასი.
მხრებზე ჰქონდა სამხრეები,
წვივებს – საწვივეები.
ფეხთა ემოსა წუღები.

<u>25</u>

ცხენზე იჯდა ქვიშა-ფერსა.
უნაგირსა მოჭედილსა.
ამშვენებდა ოქრო მყარი.
საძუედ ჰქონდა კაპარი,
აღვირადა ოქროს ჯაჭვი,
საგულედ ოქროს ბუშტები.

აქვე, ცაგერის ტაძარში ბაქრაძე უჩვენებს თამარ მეფისა და მისი შვილის ლაშას მოხატულობას.

ე) თამარის ციხე.

ეს დიდი შენობა მდებარებს ქუთაისის ახლოს. თამარის აქაურ სასახლის ნანგრევებს მოკლედ ასწერს მოგზაური მურავიოვი: „შენობა დანგრეულია, მაგრამ უნდა დიდი ყოფილიყო. პალატების შუაში გადარჩენილა ნახევრად დანგრელი ოთახი, რომლის ზემო ჯერ კიდევ ჰკიდია. სწორი მაღა-

ლი თაღი. სასახლის გვერდით მოჩანს ნახევრად დაქცეული სასახლის ეკლესია ზოგირამ მოხატულობით. მთელი საკურთხევლის ნაწილი დაუბურია ბრძამლს, რომელიც კედელს აჰკვრია თავამდე და რომელსაც არტახებივით შეუკრავს და შეუმაგრებია დაშთენილი კედლები. ბუნება ადამიანზე მოწყალე გამოჩენილა და დაუცავს დიდის თამარ მეფის სასახლის ნაშთები, რომლის ქვებს ეხლახანს ეზიდებოდნენ ახალის ქალაქის გასაშენებლად. დიახ, აი სად ისვენებდა ხოლმე თამარი თავის დიდ ღვაწლთა შემდეგ!“ (Грузія и Арм., Ш, 215).

აზეულასა და ტაბახმელაში, აგრეთვე აგარანს (სომხითში) ნაჭარმაგევს, თოღას, ჟინვანს და სხ. თამარი ცხოვრობდა ზაფხულობით. სწორეთ ამ ტაბახმელაში ცხოვრობდა თამარი 1194 წელს და აქ დაებადა მას პირმშო შვილი, ლაშაგიორგი. 1212 წელს იყო ნაჭარმაგევს და აქ გამოაჩნდა რაღაც დედობრივი სენი (იხ. ქვემო).

26

ჟინოვნის ციხე-ქალაქი მრავალ მთიულებითურთ თამარ მეფემ 1196 წელს მიუბოძა (ქ. ცხ. 297) თავისს ერთგულს და მეტად დამსახურებულს ჭიაბერს, მანდატურთ უხუცესს. ამ ჭიაბერმა ზოგი-რამ თავის ჟინოვნის მამულიდამ შესწირა, „ღვთისა სწორ“ თამარის ნებართვით, შიომღვიმის მონასტერს. მის შეწირულობის სიგელზე ხელი უწერიათ სხვა და სხვა პირთ, თვით თამარსაც.

„ესე მანდატურთა-ხუცესისაგან შეწირული განაჩენი ჩემგანცა მტკიცეა“. ეს თვითონ თამარის ხელი და წარწერაა. ამას მიჰყვებიან წარწერები ჭიაბერისა, ქართლის კათალიკოზის ანტონისა, შოთასი და სხ. აი თვით შოთას წარწერა: „ქ. მე შოთაი ჩემსა ჟინოვნის ქონებასაც შიგა ამას ვამტკიცებ ვითა ამას შიგა სწერია“.

ძველთაგან დაშთენილი ლექსი ამას ამბობს ჟინოვნის შესახებ:

„ჟინოვნისა საყდარო,
თამარ მეფის სახლ-კარო,
ველირსები განა მე
თქვენსა არეს ვიხარო!“

ქვემოთ მოგვყავს ფრიად საგულისხმიერო ლეგენდა თუ როგორ ჩაესახა თამარს ნაყოფი ერის სულის მობერვით და ეს ლეგენდაც დასტრიალებს ჟინოვნის სასახლეს.

უდიდესი და უბრწყინვალესი სასახლე კი თამარს ჰქონდა ტფილისში, რომელიც შესდგებოდა რამდენიმე უბნისაგან. აკროპოლად ითვლებოდა მეტეხი, საცა თამარ მეფეს ჰქონდა სასახლე. ქალაქის ამ მხარეს ერქვა ისნი ანუ ისანი. მეტეხი სხვანაირად იწოდებოდა კალისად. ეს კალისი დაჰყურებდა თვით ქალაქს, რომელიც ბანის-ბანად შეფენილიყო მტკვრის

მარჯვენა კიდეზე ორთა-ჭალა-აბანოებიდამ სიონის გამოყო-
ლება და ანჩისხატის უბნით თავდებოდა ზედ სოლოლაკიდამ
ჩამოვარდნილ ხევის პირად. მეტეხის პირისპირ სოლოლაკი-
დამ წამოზიდულ გორაკზე იყო სიმაგრე შურისციხე, აშენე-

ბული მე-IV საუკუნეში. ეს ციხეც დაჰყურებდა მთელს ქა-
ლაქს და აბანოებთან ჰკეტავდა მტკვრის პირისპირ მცხეთის-
კენ მიმავალ გზას. ქალაქი გარემოცული იყო ბინებითა და აგა-
რაკებით, რომელნიც სავსე იყო წალკოტებითა და ბაღ-ვენა-
ხებით. ასეთ სააგარაკო უბნებად ითვლებოდნენ სოლოლაკი,
ვერა, კუკია, დიდუბე, ისანი, ავლაბარი, რომელიც ტყით
თავდებოდა. დიდუბის ველზე აღმართული იყო ღვთისმშობლის
ტაძარი და იმავე ველზე იმართებოდა ხოლმე აღლუმები,
ტყვეთა და დავლათა დახედვანი, აგრეთვე დიდი საჯარო
ზეიმ-ნადიმები. აბანოები შეადგენდა ქალაქის უძვირფასესს სამ-
კაულს. ქალაქის აშენებისას ვახტანგ გორგასლის მიერ (VI ს.)
ქალაქის მთელი არე-მარე მოცული იყო უღრანი ტყით.
არაბთა მწერალი ალ-ისტახრი 930 წელს სწერს: „ტფილისის
გარეშემო ორ-რიგი გალავანია შემოვლებული, და სამი კარე-
ბი აქვს. ქალაქი სრულიად აყვავებულია, მდიდარი ხილითა
და ნათესებით. მასში არის აბანოები და ამ აბანოების წყალი
ბუნებითვე ცხელია. აქედგან გააქვთ სავაჭროდ თაფლი, ხორ-
ბალი, ხალები, ნაქსოვები, ბამბა და სხ. თვით არაბებს ტფი-
ლისში ჰქონდათ ობსერვატორია. ძველადგანვე ტფილისი გან-
თქმული იყო ზომიერი ჰაერით. ხალხური ლექსი ამბობს:

ნეტარ ქება როგორ ითქმის ამ ტფილის ქალაქისაო:
ზამთარი არის ბროლისა, ზაფხული ზურმუხტისაო;
გარს ახვევია ბაღები, ჩარხი უბრუნავს წყლისაო;
შიგ წისქვილები უბრუნავს და უვლის ჩქეფი წყლისაო;
ქალაქში აბანოები ბადალი ხმელეთისაო;
აუზები საბანელად ბევრია ბროლის ქვისაო,
მაღლიდამ გადაჭედილი წითელი აგურისაო,
გვერდიდამა სარკმელები სანათურია მზისაო;
ვინცა შევა, აგრე გახდის, როგორცა თოვლი მთისაო;
ქალი და რძალი გამოდის, ვითა ყვავილი ხისაო.
ქულბაქნი ბევრი დამართეს, სასხდომი ვაჭრმბისაო,
ქვეშ ქუჩები დაატანეს, სარბენი არი გზისაო,

წინ ნათხარი ორმოები ნაგები სარდაფისაო.
ხოის ლაინი ბევრია და ფარჩა ბეზირგნისაო.
საყდარიც ბევრი ააგეს აშ თეთრი ქვითკირისაო,
ხატი და ჯვარი შიგ არის, სალოცავია ღვთისაო,
ბერი და მღველი ამდენი, როგორც რომ წვიმა წყლისაო.
ხაზინაები აწყვია, მოჭრილი თამარისაო*).

თვით თამარის ისნის (მეტეხის) სასახლის შემკულობას ასრე აგვიწერს თანამედროვე დიდებული მგოსანი ი. შავთელი (39-44):

თუ ვუქო სრანი შე ამას რანი:
გალავანისა შემკულობანი
მტილ-სამოთხენი თვალთ სამოთხენი,
ზედ ავაზანთა შექმნულობანი,
კართა სტოვანი – ერთა სტოლანი,
იპპოდრომისა განხმულობანი.
სახმრად ლანკანთა თანად პინაკთა
ბალახშნით ხელჰყვეს შექმნულობანი.
ტახტ-საჯდომელნი მკამკამებელნი
სარდიონითა ხურუზმს შეშკულნი;
მისაყრდნობელნი, ძნელსაცნობელნი,
სამოთხით ნაძვნი თვით უდნობელნი.
ოქრო-ვერცხლებრივ, ბრწყინავს ცეცხლებრივ
კედელ-ყურენი, ფიქრით ძერწილნი,
ბივრილიონი, ლიგვრილიონი
ურთიერთობით შორის შთათხილნი.
გვირგვინოსანსა, პორფიროსანსა
უხდების პყრობა სკიპტრისა ხელსა...
ვინც იწყოს რიცხვი, იქმნას ურიცხვი
ლარი მათაგან დანათვალითა,
რიყე თვალისა წინ ნათალისა

*) ნუსხაში: თამაზ-ხნისაო.

წყალნი მგზებარობს შიგან ალითა.
შჩანს მარგალიტი, – ართუ ალიტი –
ოდენ ბურთისა საბურთალითა.
აქვს ზარდახჩანი მას-ყე ბოღჩანი
ლუსკუმებრ მათთვის დასაკრძალითა.
იაგუნდისა სხვა რად უნდისა!
ჯამები იყვის ლალ-ფირუზისა,
იყვის ჭურჭერთა სხვათ უცხოფერთა
სიმრავლით დება თვით ურიცხვისა,
ბევრად ძეს გორი, ერთა საგორი,
ზოდი ოქროსა, მისგან თლილისა.
ისმის მგოსანთა, ვით საფირონთა,
ხმანი ებნისა და წინწილისა“

საგულისხმოა, რომ ადგილ-ადგილ შავთელის სიტყვებით შოთა რუსთაველი ასწერს თინათინისა და ტარიელის სასა-ხლეების შემკულობას, ასე (ტ. 1342):

მუნ იდვა რიყე თვალისა ხელ-წმინდად განათალისა,
ჩნდის მარგალიტი ოდენი ბურთისა საბურთალისა.
ვინცა ჰქმნა რიცხვი ოქროსა, ვერვისგან დანათვალისა!
იგი სახლი ორმოცივე შიგან იყო გატენილი.
ჰპოვეს ერთი ზარადხანა აბჯრისათვის ახლად ქმნილი,
მუნ აბჯარი ყოვლიფერი ისრე იდვა, ვითა მწნილი! (ტ. I527):
იაგუნდისა ჯამები იყვის, ლალისა ჭიქები.
კვლავ უცხოფერთა ჭურჭელთა სხდის უცხო-უცხო სიქები
მუტრიბნი მოდგეს, ყოველგნით ისმოდის ხმა წინწილისა
შეყრით ძეს გორი ოქროთა და ბალახშნისა თლილისა...

III თამარის ლაშქრობანი.

ა) მემატიანე შენიშნავს, თამარ მეფე ბუნებით მშვიდობიანი და მშვიდობის მყოფელი იყო, მტკიცედ ასრულებდაო ცხრა ნეტარებას და ათსავე მცნებას. ვურთავ აქ ამ ნეტარებათ, რომ ცხადად გავითვალისწინოთ თამარის მეფური სულისკვეთება.

ა. ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა,

ბ. ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის ცემულ იქმნენ.

გ. ნუტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა.

დ. ნეტარ იყვნენ რომელთა ჰშიოდეს და სწყურიოდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განსძღენ.

ე. ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.

ვ. ნეტარ იყვნენ წმინდასი გულითა, რამეთუ მათ ღმერთ იხილონ.

ზ. ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისად იწოდნენ.

ᲗᲘ. ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

თ. ნეტარ იყვნეთ თქვენ, რამეთუ გყვედრიდნენ და გდევნიდნენ და თქუან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუით ჩემთვის (მათე 5, 3-11).

ათი მცნებაც ხომ მოითხოვს ერთარსის ღმერთის თაყვანისცემას, დედ-მამის პატივცემას, ექვს სადა დღეს რუდუნება

გარჯას ხოლო მეშვიდე დღეს საქველმოქმედო და სასულიერო ზრუნვას, უკრძალავს ადამიანს კაცის კვლას, აგრეთვე მრუშებას, პარვას, გულის აღიზინებას სახლისათვის მოყვასისა, მის ყანისა, მის მოხნისა, მხევლისა ხარიხა, კარაულისა და ყოვლისა მის საცხოვარისა.

ვიმეორებთ, ამ მცნებებისა და ამ ნეტარებათა აღმასრულებელი იყო თამარი. იგეთი სიბრძნე, მეცნიერება და გო-

ნების სიმშვიდე ჰქონდაო, რომ თავის გამგეობა--ცხოვრების დროს ერთხელაც არ უბრძანებია ვისმესთვის ტაჯგანაგის დაკ-ვრაო, გაჯოხვა. თუმცა თამარს სძაგდა მესისხლეობა, თვალ-თა დაბნელება, მაგრამ ყველას მისი შიში და ზარი ჰქონდა, მთელი მისი საბრძანებელი უძრწოდაო.

საწინასწარმეტყველო ამბობსო (ფსალმუნ. 36, 11) „მშვიდთა დაიმკვიდრონ ქვეყანა, და იშვებდენ მრავლითა მშვიდობითა“, და თამარიც რომ მშვიდ იყო და მყუდრო და მშვიდობისა მყოფელი, ამიტომ თვითონაცა და მის სამფლო-ბელონიც მშვიდობით იშვებენო, ასეთი სიმშვიდე და უვნებ-ლობა ჯერ საქართველოს არ უნახავსო; იცოდაო წყნარად მეტყველებანი, სიბრძნით შეპასუხებანი (ქ. ცხ. 283-284), იყოო მხნე და წყნარი, ნარნარი, ცნობიერი და გონიერი მეფე (288).

ასეთივეა თამარი თანამედროვე მგოსნების მოწმობით. შავთელი ამბობს (59):

„ვხედავ მაგ რტოსა გაშლით მარტოსა
გვართა მთავრობით ზესთ საჩინოსა
კაცთა მ კ ო დ ვ ი ს ა და მ ა მ კ ო დ ვ ი ს ა
შ ე ი წ რ ე ბ ი ს ა ა რ მ ო მ თ მ ი ნ ო ს ა“.

ვიმეორებთ, აგეთი იყო გვარში მარტოდ დარჩენილი თამარი, დანაშთენი მეფეები, თვით მისი მამაც, დავით აღმა-შენებელიც და სხ. კაცთა „კოდვას და მოკოდვას" არ გა-ურბოდნენ!

ბ) მიუხედავად თავის სიმშვიდის მოყვარეობისა თამარი მაინც იძულებული იყო ეწარმოებინა სასტიკი ბრძოლა წი-ნააღმღეგ იმ ველურ და ბრიყვ ძალთა და ურდოთა, რომელ-თაც სურდათ ფეხქვეშ გაეთელათ შემკული საქართველო, რომელთა გულითადი წადილი იყო დათრგუნვა ქრისტიან მა-მაც ერის თავისუფლებისა. თამარი სულ მცირე უნდა ყოფი-

ლიყო, რომ მტრის ასეთი თავხედური მუქარა – კადნიერება მოეთმინა. ქართველი ერი, მხილველი თავის უებრო მეფის დიდებისა და აღტაცებული მის ელვარე საქმეებით, გულის სიღრმიდგან აღმოსთქვამდა: ჩვენი თამარი „სწორად არს მზი-სა, კირჩხიბსა ზისა, მთა ვერად სწორავს არარატისა!“ (შავთ. 13), არს „სიუხვედ ზღვებრი, სიმაღლედ ცებრი“ (ჩახრ. 22), და ამისთანას დაცემა-დათრგუნვა, ვიმეორებთ, ეწადათ მტრებს, სხვა და სხვა სულთნებსა და ათაბაგებს, თვით მაჰმადიანთა მოთავესაც, ხალიფას! მაგრამ მოსტყუვდნენ. ვინც თავისუფ-ლებით გამსჭვალულია და თავისუფლებისათვის იბრძვის, მისი დაძლევა და მით უმეტეს, განადგურება ადვილი საქმე არ არის.

პირიქით, თვით თამარი მტერთათვის შეიქმნა იმ ბიბ-ლიურ ლოდად, რომელმაც შემუსრა და მტვრად აქცია ბალ-ტასარ მეფის სახელმწიფო სახეობა – ანდრიატი, რომელიც შეკოწიწებული იყოო სასაცილოდ: თავი ოქროსი ჰქონდაო, მკერდი, მხრები და მკლავები – ვერცხლისა, მუცელი და თე-

ძოები – სპილენძისა, ბარკალნი – რკინისა, ხოლო ფეხები – თიხისა (დან. 2. 31-33). ჩვენმა მემატიანემაც ჯერ ისევ მეფედ დალოცვის დღესვე უწინასწარმეტყველა (ქ. ცხ. 274) თამარს, შენ მტერთათვის იქნებიო ბალტასარის შემმუსრველ ლოდათ.

„ლოდისა მისებრ დანიელისა, რომელი გამოიკვეთა მთი-საგან, იმატა და მატოს და მერმეცა იმატა ვიდრემდის იქმნა მთა დიდ, და „ლოდ საკიდურ, არა ლოდ შებრკოლებისა“ (I პეტრე, 2,7), და შემუსრნა ყოველნი ხატნი და კერპოვ-ნება ოქროსა, ვერცხლისა, რკინისა და რვალისა და კეცისა, რომელნიმე უხილავთა ძალთა ძეგლები და ანდრიატები, და რომელნიმე ხილულთა მბრძოლთა და წინააღმდეგთა ძლიე-ბანი და სილაღენი“ (ქ. ცხ. 274).

ასე წინასწარმეტყველებდა მემატიანე და აღსრულდა მი-სი წინასწარმეტყველება. თამარ „წყნარს, შესაწყნარს“ მა-ხვილის აღება კაცთა სისხლის დასაღვრელად ეჯავრებოდა,

მაგრამ რადგან მტერმა იძრო მახვილი, მახვილითვე წარწყმ-და, სიტყვისაებრ მოციქულისა: „ყოველთა რომელთა აღიღონ მახვილი მახვილითა წარწყმდენ“ (მათე, 26--52).

გ) აქ გვეძლევა შემთხვევა აეწეროთ თამარ მეფის ომ-ბრძოლანი, მაგრამ მანამდე კი საჭიროა გავითვალისწინოთ თვით თამარის ლაშქრის წეს-წყობილება, მისი რაოდენობა და განაწილება ციხე-სიმაგრეებში და დავასახელოთ ის სახელ-მწიფოები, რომელნიც მაშინ ემეზობლებოდენ საქართველოს.

თამარის დროს მთელი საქართველო იყოფებოდა ცხრა სამხედრო მისადევრად ანუ საერისთაოდ. ეს მისადევრები იყო: რაჭა, სვანეთი, ცხუმი (აფხაზეთი), სამეგრელო, ქართლ-იმე-რეთი, ტაო-კლარჯეთი, სამცხე, ჰერეთი და კახეთი. მისა-დევრის უფროსად იყო ერისთავი, რომელიც ომის დროს გა-მოდიოდა სპასალარად თავის მისადევრის ლაშქრისა. თავის მი-სადევარში იგი ითვლებოდა ყველა დანაშთენ ერისთავების უფროსად და თათბირის დროს პირველობდა.

იმ ლაშქარის გარდა, რომელიც პირველ დაძახების უმალვე უნდა გამოეყვანათ ერისთავ-სპარსალარებს, მეფეს ჰყვანდა მუდმივი ლაშქარი, 80,000 მეომარი, აგრედ-წოდე-ბული როქის სპა, რომელსაც მეფე ასაზრდოებდა სახელმწი-ფო შემოსავლით. ესენი ყველანი ცხენოსნები იყვნენ. ამას ჰმოწმობს რუსთაველიც: „კაცი ოთხმოცი ათასი ჰყვა ცხენე-ბითა ვარგითა“ (1553), „კაცი ოთხმოცი ათასი ყველაი და-კაზმულია, კაცსა და ცხენსა ემოსა აბჯარი ხვარაზმულია“ (1543). ეს როქის სპა იწოდებოდა აგრეთვე მსახურად და მისს უფროსად იყო მსახურთ-უფროსი. ამის მოვალეობა იყო სტრატეგიულს ადგილებსა და ციხეებში ჰყოლოდა ციხისთა-ვები და მეციხოვნე რაზმი, რომელიც ემორჩილებოდა ციხის თავს, და აგრეთვე მეფესთან ტაძრეულნი, რომელთა ვალად ედოთ მეფის სასახლის დაცვა. საზოგადოდ, მსახურთ უხუცე-

სი მუდამ მზათ უნდა ყოფილიყო სალაშქროდ გასასვლელად, იარაღი და სხ. ყველა საჭირო ზომისა უნდა ჰქონოდა.

ლიყო, რომ მტრის ასეთი თავხედური მუქარა – კადნიერება მოეთმინა. ქართველი ერი, მხილველი თავის უებრო მეფის დიდებისა და აღტაცებული მის ელვარე საქმეებით, გულის სიღრმიდგან აღმოსთქვამდა: ჩვენი თამარი „სწორად არს მზისა, კირჩხიბსა ზისა, მთა ვერად სწორავს არარატისა!“ (შავთ. 13), არს „სიუხვედ ზღვებრი, სიმაღლედ ცებრი“ (ჩახრ. 22), და ამისთანას დაცემა-დათრგუნვა, ვიმეორებთ, ეწადათ მტრებს, სხვა და სხვა სულთნებსა და ათაბაგებს, თვით მაჰმადიანთა მოთავესაც, ხალიფას! მაგრამ მოსტყუვდნენ ვინც თავისუფლებით გამსჭვალულია და თავისუფლებისათვის იბრძვის, მისი დაძლევა და მით უმეტეს, განადგურება ადვილი საქმე არ არის.

პირიქით, თვით თამარი მტერთათვის შეიქმნა იმ ბიბლიურ ლოდად, რომელმაც შემუსრა და მტვრად აქცია ბალტასარ მეფის სახელმწიფო სახეობა – ანდრიატი, რომელიც შეკოწიწებული იყოო სასაცილოდ: თავი ოქროსი ჰქონდაო, მკერდი, მხრები და მკლავები – ვერცხლისა, მუცელი და თეძოები – სპილენძისა, ბარკალნი – რკინისა, ხოლო ფეხები – თიხისა (დან. 2. 31-33). ჩვენმა მემატიანემაც ჯერ ისევ მეფედ დალოცვის დღესვე უწინასწარმეტყველა (ქ. ცხ. 274) თამარს, შენ მტერთათვის იქნებიო ბალტასარის შემმუსრველ ლოდათ.

„ლოდისა მისებრ დანიელისა, რომელი გამოიკვეთა მთისაგან, იმატა და მატოს და მერმეცა იმატა ვიდრემდის იქმნა მთა დიდ, და „ლოდ საკიდურ, არა ლოდ შებრკოლებისა“ (1 პეტრე, 2,7), და შემუსრნა ყოველნი ხატნი და კერპოვნება ოქროსა, ვერცხლისა, რკინისა და რვალისა და კეცისა, რომელნიმე უხილავთა ძალთა ძეგლები და ანდრიატები, და რომელნიმე ხილულთა მბრძოლთა და წინააღმდეგთა ძლიეზანი და სილაღენი“ (ქ. ცხ. 274).

ასე წინასწარმეტყველებდა მემატიანე და აღსრულდა მისი წინასწარმეტყველება. თამარ „წყნარს, შესაწყნარს“ მახვილის აღება კაცთა სისხლის დასაღვრელად ეჯავრებოდა,

მაგრამ რადგან მტერმა იძრო მახვილი, მახვილითვე წარწყმდა, სიტყვისაებრ მოციქულისა: „ყოველთა რომელთა აღიღონ მახვილი მახვილითა წარწყმდენ" (მათე, 26 – 52).

გ) აქ გვეძლევა შემთხვევა ავწეროთ თამარ მეფის ომბრძოლანი, მაგრამ მანამდე კი საჭიროა გავითვალისწინოთ თვით თამარის ლაშქრის წეს-წყობილება, მისი რაოდენობა და განაწილება ციხე-სიმაგრეებში და დავასახელოთ ის სახელმწიფოები, რომელნიც მაშინ ემეზობლებოდენ საქართველოს.

თამარის დროს მთელი საქართველო იყოფებოდა ცხრა

სამხედრო მისადევრად ანუ საერისთაოდ. ეს მისადევრები იყო: რაჭა, სვანეთი, ცხუმი (აფხაზეთი), სამეგრელო, ქართლ-იმერეთი, ტაოკლარჯეთი, სამცხე, ჰერეთი და კახეთი. მისადევრის უფროსად იყო ერისთავი, რომელიც ომის დროს გამოდიოდა სპასალარად თავის მისადევრის ლაშქრისა. თავის მისადევარში იგი ითვლებოდა ყველა დანაშთენ ერისთავების უფროსად და თათბირის დროს პირველობდა.

იმ ლაშქრის გარდა, რომელიც პირველ დაძახების უმალვე უნდა გამოეყვანათ ერისთავ-სპარსალარებს, მეფეს ჰყვანდა მუდმივი ლაშქარი, 80,000 მეომარი, აგრედ-წოდებული როქის სპა, რომელსაც მეფე ასაზრდოებდა სახელმწიფო შემოსავლით. ესენი ყველანი ცხენოსნები იყვნენ. ამას ჰმოწმობს რუსთაველიც; „კაცი ოთხმოცი ათასი ჰყვა ცხენებითა ვარგითა“ (1553), „კაცი ოთხმოცი ათასი ყველაი დაკაზმულია, კაცსა და ცხენსა ემოსა აბჯარი ხვარაზმულია (1543). ეს როქის სპა იწოდებოდა აგრეთვე მსახურად და მისს უფროსად იყო მსახურთუფროსი. ამის მოვალეობა იყო სტრატეგიულს ადგილებსა და ციხეებში ჰყოლოდა ციხისთავები და მეციხოვნე რაზმი, რომელიც ემორჩილებოდა ციხის თავს, და აგრეთვე მეფესთან ტაძრეულნი, რომელთა ვალად ედოთ მეფის სასახლის დაცვა. საზოგადოდ, მსახურთ უხუცესი მუდამ მზათ უნდა ყოფილიყო სალაშქროდ გასასვლელად, იარაღი და სხ. ყველა საჭირო ზომისა უნდა ჰქონოდა.

დ) საომრო იარაღები იყო ჯავშანი, ხაფთანი, პოლოტიკნი, საბარკულნი, მუზარადი, ჩაბალახი, ხმალი, ლახტი, ლახვარი, ჩუგლუგი, გურზი ოროლი, შუბი, ხიშტი, მშვილდ-ისარი. ისარი იყო ნაირნაირი: ბოძალი მსხვილ ნადირთათვის, ქეიბური მხეცთათვის, სარჩა და ქიბურჯი წვრილ ნადირთათვის, ხოლო კაპარჭი ანუ საყალნო იხმარებოდა ომბრძოლაში.

ე) ქვეყნის სიმაგრედ ითვლებოდნენ ციხეები, რომელთა გალავნები 10--1-4 ალაბის სიმაღლედ აგებული იყო. ციხეებს ხშირად ბურჯებიც ჰქონდა კუთხეებში. ამ ბურჯებში სხდებოდნენ მსროლელები და იქვე მოწყობილიყო ფილოკავანები ქვების სატყორცად. ამავე ფილოკავნებს ხმარობდნენ მტრის სიმაგრეების გასატეხადაც.

ციხეთა რიცხვი იყო მრავალი*). მათი პირველი რიგი მიჰყვებოდა სამეფოს საზღვრებს, მეორე რიგი გაწყობილიყო მათ მიყოლით უფრო შიგნით, შემდეგ კიდევ იყო სხვა რიგი ციხე სიმაგრეებისა ვიდრე სატახტო ქალაქამდე, რომელსაც აგრეთვე ჰქონდა თავისი ციხე. ასე რომ მთელი საქართველო თითქმის შეადგენდა ერთს უზარმაზარ ციხე-სიმაგრეებიანს სამხედრო ბანაკს.

წესად იყო, რომ ყოველს მთავარს (ერისთავს) ჰქონოდა საკუთარი ციხე-ქალაქი, სიმაგრე. არსებობს ერთი ძველი სიგელი, რომელიც შეეხება სამცხე-საათაბაგოს სამწყსოს. მასში

ნათქვამია, რომ ყოველ დიდგვარიანს თავადიშვილს უნდა ჰქონდესო საკუთარი ეკლესია ანუ მონასტერი, საგვარეულო სასაფლაო. ხშირად ამგვარ თავადებს საკუთარი ციხეებიც ჰქონდათ. მაგრამ არათუ თავადებსა და დიდებულებს, კოშკი თუ ბურჯი ჰქონდათ ცალკე გეარეულობათაც, აგრეთვე მოზრდილ სოფლებსაც. ამ სასოფლო თუ საგვარეულო სიმა-

---

*) ვახუშტის გეოგრაფიით საქართველოში იყო **195 ციხე** (ქართლში 89, კახეთში 25, მესხეთში 21,იმერეთში 60), **68 ქალაქი** (27-12-16-13), **146 მონასტერი** (70-24-25-27).

გრეებს ერქვა კარი. ასეთივე სახელით იხსენებოდა სახელმწიფოს სტრატეგიული სიმაგრეები. ასეთები იყო, მაგ. დარიალანთ-კარი (– აწ დარიალი), რომელიც იღებოდა და იკეტებოდა მეფის ბრძანებით. ზეკარი – ასე ეწოდებოდა ორს ციხეს, ამათგან ერთი იყო რაჭის ზემო ჩრდილოეთისკენ მიმავალ ვიწროებში და ერთიც იმერეთიდამ სამცხეში გადამავალ გზაზე. იყო აგრეთვე ტაოსკარი, ტაშის-კარი, ღართის-კარი და სხ., ანდა კარსანი, არაგვის-კარი, წინამძღვარიანთ-კარი. ასეთი სახელი იმიტომ მიეთვისათ, რომ ჰკრავდნენ რომელიმე ყელს, ხეობაში შესასვლელ გზას, ან ერთი კუთხიდგან მეორეში გადასასვლელ უღელტეხილის ბილიკს.

განაპირა ციხეებად ითვლებოდნენ ხოფი (ჭანეთში), თორთუმი, ბაიბურთი, არტანუჯი, თუხარისი, ოლთისი, არტანი, თმოგვი, ახალქალაქი, ყველი, ოძრახე, ლორი, სამშვილდე, კლდეკარი, ხუნანი. ამათ წინა რიგზე იყვნენ დაპყრობილი სიმაგრეები არზრუმი, დვინი, კარისი, ანისი, შამქორი. შავი ზღვის პირს მიჰყვებოდა გონია, ბათომი, ქაჯეთის-ციხე, ფოთი, ანაკოფია, ცხუმი, კაპპეტის-კარი (ჩრდილოეთისკენ გადამავალი ბილიკები), მური და სხ. ამათ წინ სკანდა, ვარციხე, ციხე-გოჯი, ქუთაისი, მუხური .. იმერეთიდამ მომავალ გზაზე შორაპანი, სურამი, გორი, უფლის ციხე... ასევე მრავალ ციხეებით მოცულიყო მთელი კახეთიც, ხოლო აღმოსავლეთის მიჯნაზე იყო ხილხალი (აწინდელს საუდოში), რომლის უკან იყო ყაბალა, აქეთ შაკიხი (ნუხი), შინი, ქურმუხის-სიმაგრე (აწ ყალა-დერა), ვარდიანი, ფიფინეთი, მაჭი (მაწეხი), ბელაქანი ლაგოდეხი, კაბალი, გრემი, თოღა, კვეტერი, ბახტრიანი...

თვით ქალაქები მარტო ქალაქები კი არ იყვნენ, არამედ ციხე-ქალაქები.

ციხე-კოშკ-კარ-ბურჯებს გარდა ქვეყანას ამაგრებდნენ დიდრონი მთები და მთათა შტოები და გორაკები, რომელთაგან დაყოფილ-დასერილია საქართველო სიგრძე-სიგანეზე.

როდესაც დასახელებული სიმაგრეები ვერ უძლებდნენ მოსეულ მტერს, ჩვენს ხალხს შეიხიზნავდნენ ხოლმე კავკასიო-

ნისა და სხვა მთების მიუვალი ხევები, კალთა-ფერდობები. ასე გადურჩნენ, მაგალ., ამერლები ლანგთემურის შვიდ-გზის შემოსევის მრისხანებას.

ასე რომ კავკასიონი ზღვიდგან ზღვამდე შეადგენდა ერთ საიმედო ზღუდეს, ასეთივე იყო კასპიის ზღვა აღმოსავლეთის მხრით და შავი ზღვა დასავლეთის კედრით. ბუნებით გაუმაგრებელ პირად რჩებოდა მთელი სამხრეთის კედრი, თუ ამისთანად არ ჩავაგდებთ იმ მთებს, რომლებსაც გამოსდიან ჭოროხის ხეობისა და მტკვრის ხეობის წყლები, და აგრეთვე თვით ჩქარს არეზს, რომელიც თამარის დროს ითვლებოდა საქართველოს მიჯნად, მაგრამ მაინც ეს პირი უფრო სუსტი იყო და აქედგან უფრო ხშირად მოაწვებოდა ხოლმე მტერი ჩვენს ქვეყანას.

ვ) უმთავრესი სამხედრო გზა მიჰყვებოდა მტკვრის ხეობას და მიდიოდა არზრუმამდე, მისი განაყოფი გზები გადადიოდნენ იმერეთშიაც, გურიასა და კლარჯეთს, მიიმართებოდა დარალისკენაც. სხვა გზა ფოთიდგან ქუთაის-შორაპნით შემოდიოდა ქართლს. ტფილისიდგან გზები მიდიოდნენ განჯისკენ, კახეთისკენ და სხ. ქ. ცხოვრება იუწყება, რომ ეს გზები (ალბად, არა ყველა) ქვაფენილ ჰყოო დავით აღმაშენებელმა, ალბად, თვით თამარმაც არ მოაკლო მზრუნველობა. იგი სამეფოს ყოველ კუთხეს მიმოვლიდა ხოლმე, უწევდა ცხუმამდე და სვანეთამდისაც, სჩანს, გაკეთებული გზები იყო.

წყობა ქართველთ ლაშქრისა შეფარდებულიყო თვით მცხოვრებთა მოსახლეობის კვალობაზე: სამესხე-კლარჯნი, როგორც წინაპირის მკვიდრნი, დგებოდნენ ლაშქრის თავს, მოწინავედ, იმერნი მარჯვნივ, კახ-სომხითარნი მარცხნივ, ხოლო შუაგულს – ქართლელნი. ამ წესის შეცვლა ხშირად უკმაყოფილობასაც გამოიწვევდა ხოლმე, ლაშქრის შესაკრებელ ასპარეზად დანიშნული იყო დიდუბე. აქ გვაგონდება გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ ნაწყვეტი:

„შეკრბა დიდუბეს ლაშქარი:
კ ა ხ ი ფარ-შუბით, თ უ შ ი ხმლით,
ფ შ ა ვ-ხ ე ვ ს უ რ ს შვენის აბჯარი,
მკლავით ძლიერით ქ ა რ თ ლ ე ლ ი,
ვით ციხე-ბურჯი მაგარი,
ო ს ი ფეხ-მარდი, მ თ ი უ ლ ი
ბრძოლაში შეუპოვარი.
მ ე ს ხ ი სწავლითა ქებული,
გმირი ი მ ე რ ი ზრდილობით
და მშვილდოსნობით ა ფ ხ ა ზ ი ,
გ უ რ უ ლ - ს ვ ა ნ - მ ე გ რ ი მკვირცხლობით“...

მივიდოდნენ-რა ბრძოლის პირს, გაეწყობოდნენ წესისამებრ თემ-თემად და ძახილით: „აბა, ხელნი ხმალსა და სულნი ღმერთსა!" მიესეოდნენ მტერს გრიგალ ქარულად.

6. საქართველოს მეზობელი სახელმწიფოები.

ა) ტორნაუს ისტორიული ატლასი რომ გადავშალოთ, დავინახავთ, რომ მე-XII საუკ. საქართველოს უკავია მიწა-წყალი ორზღვას შუა კავკასიონამდის არეზის გაყოლება კასპიის ზღვამდე და ჭოროხის სათავეებიდამ გონიით შავზღვამდე. ამას იქით კი საქართველოს გარეშემო მოწყობილან თურქთა სახელმწიფოები, გარდა მცირე ზოლისა, ლაზისტანის გაყოლება შავი ზღვის პირპირ, რომელიც ეკუთვნოდა საქართველოს მუდმივს მეზობელს საბერძნეთს.

ბ) მდ. დებედიდამ მტკვრის გაყოლება ხილხალამდი, რომელიც საუდოშია (აწინდ. ნუხის მაზრაში), ვიდრე დარუბანდამდე და კასპიის ზღვამდე უხსოვარ დროიდგან არსებობდა ორი სამთავრო, რანისა ანუ ბარდავისა და შარვანისა. ქართლის-ცხოვრების გადმოცემით, პირველი შეადგენდა ქართლოსის ძმის ბარდოსის წილ-კერძს, მაგრამ აქ ნინოს დროსა და შემდეგ მე-VI საუკ. უფლებდნენ სპარსეთის ხელმწიფეები,

რომელთა პატიახშები და მარზაპნები განაგებდნენ ამ ქვეყანას. მეექვსე საუკუნეში კი ბარდავში იჯდა თვით ყაენის შვილი ხოსრო II. სპარსელების შემდეგ მთელი ეს არემარე დაიპყრეს არაბებმა და ბარდავით უფლებდნენ ტფილისამდე, საცა აგრეთვე იჯდა მათი ემირი. იგი ბოლოს შედიოდა არან-ადერბეჟანის სახელმწიფოში. მცხოვრებთა უმეტესობა აქ იყო სომხობა, თურქობა, სპარსობა.

რან-ბარდავის ჩრდილოეთი ნაწილი ხილხალს,შამახია-შარვანი დარუბანდამდე შეადგენდა ცალკე სამთავროს, საცა უფლებდნენ შარვაშეები ანუ შარვან-შაები (ქ. ცხ. 272), რომელნიც იყვნენ უწინდელ ჰერეთ-ალბანიის მეფეთა მოადგილენი. თამარის დროს აქ მთავრობდა აღსართან შარვაშე, რომელიც იყო თამარ მეფის პაპის დავით აღმაშენებელის ქალის თამარის ქმრის ახისტანის (აღსართანის) შვილის-შვილი (Nist de la gé 360; ქ. ცხ. 245). ეს ახისტან შარვაშე აღმაშენებელის მამის დროს წავიდა სულტან მალიქშას († 1092 წ.) წინაშე ისპაანს და გამაჰმადიანდა. მას და მის მემკვიდრე კვირიკეს სასტიკად ებრძოდა დ. აღმაშენებელი. 1101 წელს დავითმა კვირიკე აღსართანიძეს წაართო ციხე ზედაზენი შემდექს წელს გამეფდა კვირიკეს ძმისწული აღსართან მეორე, მაგრამ ესეც დაატყვევა მეფემ და შემოიერთა კახეთ-ჰერეთი. ივნისის თვეში 1123 წელს აღმაშენებელმა გაილაშქრა შარვანს, აიღო შარვაშეს სატახტო გულისტანი (ქ. ცხ. 251). ხოლო აღსართან შარვანშა თამარ მეფეს „მსახურებდა და მონებდა მონებითა ყმებრივით“ (ქ. ცხ. 287).

რაიც შეეხება რან-განჯის სამფლობელოს, არის ცნობა, რომ ეს მხარეც დაპყრობილი ჰქონდათ დავით აღმაშენებელსა და მის შვილს დიმიტრის. აგრედ-წოდებული დარუბანდის-

კარები, რომელიც გელათშია, მოტანილია განჯიდამ ამ
ქალაქის აღების შემდეგ 1139 წელს (ვახუშტი 184, შენ.)

გ) საქართველოს კავკასიონის გადაღმით ემეზობლებო-
და ხაზარეთი ანუ ყიფჩაღეთი, რომლის მიწა სწვდებოდა მდინარე

დონსა და ატალა (ვოლგა) კასპიის ზღვას. რუსები ყიფჩაღებს
ეძახდნენ კომანებს და პოლოვცებს. მათ ჰყვანდათ საკუთარი
მეფე ანუ ხანი. ეს ერ იყო ძლიერი და ფრიად მეომა-
რი. აქედგან მათი ერთი ნაწილი 1086 წელს გადასახლდა უნ-
გრეთს და 1410 წელს გაქრისტიანდა. ხაზარების უმთავრეს
ქალაქს ერქვა სვიაჯი. ამათ ეწვია დავით აღმაშენებელი 1118
წელს, შეირთო ყიფჩაღთა მეფის შარაგანიძის ასული გურან-
დუხტი, იქიდგან გამოიყვანა 40,000 სახლი ყიფჩაღელი,
მოიყვანა საქართველოში და აქ მეშველ ლაშქრად გაწურთნა.
ამ სვიაჯიდამვე, როგორც იყო ნამქვამი, თამარ მეფისთვის
ქმრად მოიყვანეს რუსი. ყიფჩაღთა მეფის ძმა სევინჯი-სავალ-
თი თამარ მეფეს ძლიერის ლაშქრით შველოდა შამქორის
ბრძოლაში (ქ. ცხ. 302, 304). ამ ქვეყანას იქით იყო თვით
რუსეთიც. ჩახრუხაძემ იცის, რომ თამარის (!) გული

„ატალას მოჰყვის, ქვეყანა მოსცვის, არვისი ჰქონდის შესაყარი,
ხაზარეთს დაჰყვის, რუსეთსაც ჩაჰყვის, ზღვის პირით ჰქროდის
ტაროსა ქარი“ (ტ. 60).

დ) ყიფჩაღეთის დასავლეთით იყო ოსეთი კავკავიდამ იალ-
ბუზისკენ მთა-ღელეებში ჩასახლებული. ოსთა ტალღა ალანთა
სახელწოდებით ერთ დროს მიუწევდა სამურზაყანო-აფხაზე-
თამდე. იქ ეხლაც არიან ქართველი ალანიები. ერთ კლასი-
კურ მწერლის გადმოცემით, ალანები ივერთა ჯგუფისანი
არიანო, მაგრამ მათ საკუთარი ენა აქვთ, რომელიც უახ-
ლოვდება გერმანულს. ოსები უწინდელ დროიდგანვე და-
ახლოვებულ იყვნენ ქართველებთან. მათ ჰყვანდათ საკუ-
თარი მთავრები. ჩვენს მეფეებს მათთან ხშირად მონათესაობა
ჰქონდათ. მომყავს სახალხო ლუქსი, რომელიც ახასიათებს
ოსების მეფეებს და თვით ქვეყნის სიავ-კარგესაც გვაცნობებს
რამდენათმე:

„ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი ჩარჯონიძე--ჭარხილანი:
ო ს-ბ ა ღ ა თ ა რ, დ ა ვ ი თ-ს ო ს ლ ა ნ ოთხ სამეფოთ მებრძოლანი.

ფ ი დ ა რ ო ს, ჯ ა დ ა რ ო ს, ს ა ყ უ რ ი და გიორგი – ყველანი
რისხვითა და მეხის-ტეხითა მტრისა შემხედვარანი.
ჩვენნი ძმანი სამნი ბერნი: ისაკ, რომანოზ და ბასილ
იქმნენ თვისის ცხოვრებითა ქრისტეს ღმერთის კარგნი ყმანი.
ჩვენ გვიჭირავს მიმოსასვლელი ოთხის კუთხის იწრო გზანი
კასარზგ სიმაგრე გვაქვს და აქ გვიჭირავს ხადის კარი
საიქაოს მოიმედე სააქაოს კარგა მდგარი
ოქროის და ვერცხლის მიწა ამდონი გვაქვს ვითა წყალი...

კავკასიონი დავიპყარ, ოთხ სამეფოს გავუმკლავდი.
ქართველს ბატონს და მოვტაცე, არ დავაგდე ჩემი გვარი
მომწვდა, ფიცით მიღალატა, მან დაიდვა ჩემი ბრალო:
ბაღათარ წყალსა მიეცა, აღიხოცა ოსთა ჯარი
ვინცა ესე ლექსი იხილოთ მცირეთ ბრძანეთ შენდობანი!“

აქ მოხსენებული ბაღათარ იყო ვახტანგ გორგასლის თანამედროვე (VI ს.). მან მეფეს და მოსტაცა, მაგრამ ვახტანგმა დაამარცხა, დაც გაანთავისუფლა.

თამარის დროს შეერთ-შენივთდა შვიდთავე ძმათა – ქართლოსის, ბარდოსის, მოვაკანის, ფე-ის, ეგროსის, ლეკანის და კავკასის – წილხვედრი ნაწილები, და ქართველთა მბრძანებელიც იწოდა შვიდთა სამეფოთ ხელმწიფედ. თამარის სიგელ-გუჯრები იწყებოდა ასრე: „თამარისაგან ბაგრატონიანისა ნებითა ღვთისაითა მეფე აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა და დედოფალთ დედოფლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელისა“.

ე) პონტოს გაყოლება, როგორც იყო ნათქვამი, საქართველოს მეზობლობდა საბერძნეთი, ხოლო ამ პონტოს იქით სამხრეთისკენა და აღმოსავლეთისკენ ჩამწკრივებული იყო სელჩუკიანთ თურქების სასულთნო-საათაბაგოები ინდოეთამდე და არალის ზღვის იქით მდინარე ჯეიხუნამდე.

ვ) თურქების თავდაპირვანდელ სამშობლოდ ითვლება შუა-აზია, მეტადრე არალისა და ბუხარის მისადევარი. მათი

ქვეყანა ძველადგანვე იწოდებოდა თურანად, რომელიც უწინარეს დროითგანვე თავის უბოროტეს მტერად სთვლიდა ერანს. ერან-თურანის ბრძოლა-ომებს აწარმოებდნენ იგეთი მძლავრი გმირები, ვით როსტომი, ზურაბი, აფროსიაბი და სხ. მე-V – IV ს. ქრ. წინად მათი დიდი ტალღა მოაწვა დასავლეთს და მან, სხვათა შორის, საქართველოც დაიჭირა მცხეთიდამ მტკვრის თავამდე. იგი განდევნეს ალექსანდრე მაკედონელის ჟამს, მაგრამ მათი ნაშთი აქა-იქ დარჩა სამეფოს კუთხეებში. შემდეგ, მე-VI ს. ქრ. შ. კიდევ მოვიდა მეორე ტალღა ავარებისა და ხუნძების სახელით, და მოედვა თითქმის მთელს კავკასიას. სამუდამოდ კი იგინი დამკვიდრდნენ დაღისტნის ყუმუხ-ხუნძახში.

მე-X საუკუნის ნახევრიდამ ტიგრ-ეფრატის ხეობებსა და სპარსეთ-თურანეთში ინდუსტანამდე გამრავლდნენ აღმოსავლეთ ერთა დინასტიები, რომელთაგან უძლიერესნი იყვნენ ბუიდები. ამათი წარმომადგენელი იბნ-რაჲეკი ხალიფას კარზე ბაღდადს შეიქმნა პირველ ემირ-ალ-ომრად, ე. ი. მთავრად მთავართა. ამან მიითვისა საერო უფლება, რომელიც მანამდე (938 წ.) სასულიეროსთან ერთად ეკუთვნოდა თვით ხალიფას*) (შლოსსერ, 2, 344). შემდეგ გაძლიერდნენ სელჩუკიანთ თურქები.

ღაზნა. თურქმა ალპ-ტეკინმა ავღანისტანში დააარსა (961

წ.) ახალი დინასტია ღაზნელებისა, ციხე-სიმაგრე ღაზნა აქცია უდიდეს ქალაქად, რომელიც უმეტესად გაადიდა ღაზნელ მაჰ-მუდმა. ამან თავის სამეფოს შემოუერთა ჩრდილოეთი ინდუს-ბანი, ხოვარეზმი, აგრეთვე ხორასანი. ასე რომ მისი სამე-

*) ემირებად იყვნენ იბნ-რაᲥეკი († 938 წ.). იყო განათლებული კაცი. მან კუფიურ წერის სანაცვლოდ შემოიღო ჩქარ-საწერი ანბანი, ბარამი († 94I წ.), ობეადალახ, კუტეკან (94I წ.), აბუ-მუჰამედი, ტუ-რუნ თურქი († 943 წ.), ზაᲥრა და სხ. ოსმალეთის სულთნებმა ბოლოს შეერთეს ორთავე – სამოქალაქო და სასულიერო უფლება ხალიფასი და თვით იწოდნენ მაჰმადიანთა ხალიფად.

ფო ერთის მხრით სწვდებოდა ინდოეთს განგამდე და ნახე-ვარკუნძულ უზურეთამდე და მეორე მხრით ადირბეჟანამდე და ეგვიპტემდე. მაგრამ მაჰმუდი რომ მოკვდა 1031 წელს, მისი სამეფო დაიპყრა სელჩუკიანთ სულთანმა თოღრულბეგმა.

სელჩუკიანები, შლოსსერის ცნობით (II, 640), თურქთა ტომის ხალხია, რომელიც თუმცა ეკუთვნის კავკასიის ერთა ნათესაობას, მაგრამ არ შედის ინდიურ-ევროპიულ შტოში, არამედ მის მიყოლით შეადგენს ცალკე კავკასიურ რასას. მი-სი უუძველეს ისტორიას სიცხადე ეძლევა მეათე საუკუნიდამ. ამ საუკუნის ბოლოს იგინი გამოჩნდნენ ყირღიზების მხარეში. მათი წინამძღოლები ხარკს აძლევდნენ დიდს ხანს ბიგუს. 970 წელს მათი წინამძღოლი სელჩუკი დოკაკისძე განთავისუფლდა ბიგუ-ხანის მოხარკეობიდამ და გადასახლდა ბუხარიას მომიᲯ-ნავედ და მაჰმადიანობა ირწმუნა. აქ გამრავლდნენ თათართა ურდოების ნატამალებიდამ. იწყეს გაძლიერება სელჩუკის ძის იზრაელის ანუ არსლანის მოთავეობითა და დაეშენნენ Ჯი-ხუნის აქეთ მხარეს. არსლანის შვილიშვილთა იაბღუს, თოღ-რულბეგის და დაუდ ჰაგრუბეგის მთავრობაში დააწესეს თვისი ძლიერი სელჩუკიანთ სახელმწიფო. Ჯერ ისევ იზრაელმა დაი-პყრო ბუხარია. მაგრამ მალე დროში ეს ბუხარა დაიპყრა ღაზნელ მაჰმუდ I-მა და იზრაელი მის ქვეშევრდომად იქცა. მაჰმუდმა სელჩუკიანები გაჰფანტა, მაგრამ იზრაელმა შემოი-კრიბა იგინი და დაბინავდა ადირბეჟანში. გაიმართა სასტიკი ბრძოლა ღაზნელებსა და სელჩუკიანებს შორის. ღაზნელები დაიყვნენ მრავალ სამთავროებად. იგინი სასტიკად დაამარცხა (1041 წ.) თოღრულბეგმა, რომელიც უკვე იწოდებოდა სულთნად აღმოსავლეთ სპარსეთისა. მან ეს მხარე გადასცა თავის ძმას ჰაგრუბეგს და თვითონ დაბინავდა Ჯერ რეას და მერე ჰამადანს (1045 წ.). ხუთი წლის შემდეგ ღაზნელებს წაართვა ისპაანი. ამასობაში ხალიფას კარზე დიდი ბრძოლა გაიმართა. ხალიფამ მიიწვია თოღრულბეგი. ამან დაიჭირა ბაღდადი, მერე მოსული, საცა თავის მოადგილედ დასტოვა

თავის ძმა იბრაიმ-ინალი და თვითონ მივიდა ბაღდადს და ხა-

ლიფამ იგი გამოაცხადა (1058 წ.) ემირ-ალ-ომრად და ჩა-
აბარა მას თავისი სამოქალაქო უფლებები. მან დაიპყრა სპარ-
სეთი და ერაყი. იგი გარდაიცვალა 1063 წელს უშვილოდ.
გასულთნდა მისი ძმისწული ალპ-არსლანი, მაგრამ ქირმანი და
ფარსისტანი წილად ხვდა თოღრულისავე ძმისწულს ყადერს.
ახალმა სულთანმა დაიპყრა თურქისტანი, ხოვარეზმი და დაუ-
წყო ბრძოლა ქართველებსა და ბერძნებს. დაატყვევა იმპერატო-
რი რომანოზ დიოგენი. იგი მოკლეს 1072 წ. გასულთნდა მი-
სი შვილი მალექ-შა, რომელიც მამაზე ძლიერი ხელმწიფე
იყო. მან საქართველოსკენაც გამოილაშქრა და ბევრი უბე-
დურება დაატეხა თავს. გაჭირებული ჩვენი მეფე გიორგი და-
ვით აღმაშენებლის მამა ეწვია მას და შეაბრალა თავისი სა-
მეფო. მალექ-შა † 1092 წ. მის სახელმწიფოში ითვლებოდა
შვიდი სამეფო. მათ შორის იყო:

იკონია ანუ რუმი. ამ მცირე-აზიის სამფლობელოს საზ-
ღვარი მიუწევდა არზრუმამდე და სირიამდე. მას ეკუთვნოდა
კაპადოკია, კილიკია, ისავრია, კიზიკი, ნიკია. სულთნებად აქ
იყვნენ სოლომან I († 1086 წ.), მისი ძე ყილიχ-ასლანი მა-
სუდი († 1102 წ.). მისი ძმა ქაიხოსრო, რომელსაც ტახტი
წაართვა ყილიχ-ასლანის ძემ როკნ-ედდინმა ანუ ნუქარდანმა,
რომელიც დაამარცხა თამარმა 1203 წელს. ნუქარდანი †
1204 Hist. de la g., 456, შ. 2).

ალეპო=ჰალები=ქალები სირიაში. აქ მეფობდა აღსუნ-
ღული. აგრეთვე თურქმან ორტოკი და მისი ძე ათაბაგი ილ-
ღაზი, ნურ-ედ-დინი (1145-1174 წ.). ამ ნურედდინის დახ-
მარებით ეგვიპტესა და იემენს გასულთნდა სალადინი, რომე-
ლიც ნურედდინის შემდეგ შეიქმნა მეფედ სირიისა, დაამარ-
ცხა ქრისტიანები პალესტინისა (1187 წ.) და დაიპყრა იერუ-
სალმი. თავის სიკვდილის (1193 წ.) წინად სალადინმა სულთ-
ნად გამოაცხადა თავისი შვილი ათზალი და მისცა მას დამას-
კო, სამხრეთი ასურეთი და პალესტინა, მეორე შვილს აზიზ

მისცა ეგვიპტე, მესამეს ზაგირს – ალეპო, ხოლო ძმა ადილი
გაამეფა ყარყრს და შაუმაკს. მალე ადილმა დაამარცხა ათზა-
ლი და შეიქმნა ხელმწიფედ ნუბიიდგან შუაგულ არმენიამდე,
მის სახელს მეჩითებში იხსენიებდნენო საქართველოს პირიდ-
გან ადენის სრუტემდე (ვებერი, VII, 92; შლოსსერ III, 84).

ბაღდადი დააარსა ხალიფა მანსურმა 762 წელს და ამის
შემდეგ ხუთის საუკუნის განმავლობაში ითვლებოდა სატახტო
ქალაქად არაბთა სახელმწიფოისა,

ყარამანია ხორასანსა და სპარსეთის სრუტეს შორის და
ერაყი ქალაქებით ისპაანი და თეჰრანი. ყარამანიაში მთავ-
რობდა ყადერი, მალექ-შამ განდევნა და ტახტზე დასო მისი
შვილი სულტან-შა (1073 წ.) აქეთ იყო გამოთხოვილი თა-
მარ მეფის მამიდა რუსუდანი, ქართ. ცხოვრებით (გვ. 292)
ხვარასნისა და ერაყისა სულტანთა სძლობითა გამეცნიერებუ-
ლი, მუნებრივთა სახიობათა და შვებათა მომქმედი“. 1161

წელს იგი, უკვე ქვრივი, სცხოვრობდა საქართველოში (ქარ. ცხ. 271).

გორიდები თავიანთ თავს სთვლიდნენ ბაქტრიის უძველეს დროის მფლობელების ჩამომავლად. მე-XI საუკ. გასულს ჰუსეინ-ბენ-სამი-მ მოიპოვა ღაზნელ სულთნის ნდობა და შეიქმნა მფლობელად გურა ანუ ჯურა მთა-ზორიანისა, რომელიც ღაზნის ჩრდილოეთით მდებარეზდა. მისმა უფროსმა ვაჟმა შეირთო ბაჰრამის ასული და შემდეგ სიმამრის ტახტიდან ჩამოგდება მოინდომა. ბაჰრამი რომ მოკვდა, გორიდ ჰასანმა გააგდო ბაჰრამის შვილი ხოსროშა, აიკლო ღაზნაც და მუსვრითა და ცეცხლით აღნიშნა თვის მიერ გავლილი გზა (შლოსსერი, 3, გვ. 94). ამ ბაჰრამს ქ. ცხოვრება იხსენიებს (გვ. 254) ბაჰრამ ჯურად, რომელიც სპარსთა შორის ითვლებოდა „მოქმედად უცხოთა და საკვირველთა“.

ადირბეჟანი. აქ გაათაბაგდნენ სელჩუკიანთ სულთნების მოხელეები: უდიდესი მათგანი იყო ათაბაგი ილდიგუზ. მის მომიჯნავედ აშორნას, ბასიანის მეზობლად ბოგინობდა შაერ-

მანი, რომელიც თავის თავს სომეხთა მეფის ტახტზე მჯდომარედ სთვლიდა. თამარის მამამ წაართვა მათ ქალაქი ანი (1161 წ.), დვინი (11წ4 წ.). ილდიგუზი დაუძინებელი მტერი იყო ქართველებისა. იგი შველოდა დიმიტრი ბატონიშვილს, რომელიც სცდილობდა თამარის მამა ჩამოეგდო ტახტიდამ და თვითონ გამეფებულიყო, როგორც კანონიერი მემკვიდრე საქართველოს ტახტისა (იგი იყო გიორგის უფროსი ძმის დავითის შვილი). ილდიგუზი † 1173 წ.

ხოვარეზმი=ხვარაზმი. ასე იწოდებოდა ვრცელი მიწა კასპიის ზღვის იქით ნაპირებიდამ არალის ზღვამდე და მდინ. ჯეიხუნამდე. ესეც შედიოდა ღაზნელების სახელმწიფოში. მალექ-შა რომ გარდაიცვალა (1092 წ.), მას დარჩა ოთხი შვილი, ორი კანონიერ ცოლის ტორხანასაგან და ორიც ხარჭისაგან. ტორხანამ მოინდომა გაემეფებინა თავისი შვილი მაჰმუდი, მაგრამ გერებმა არ უყაბულეს. ასტყდა საშინელი შუღლი და შფოთი. ამ შუღლით ისარგებლა ხოვარეზმის მთავარმა და მან ხოვარეზმი შეჰქმნა უძლიერეს სახელმწიფოდ, რომელმაც სრულიად დაჩრდილა ღაზნელების იმპერიის ძლიერეზა: ამ სახელმწიფოს სულის ჩამდგმელად გამოჩნდა ვიღაც უბირი მონა აშტეკანი, რომლის შვილიშვილი აზიზი უკვე გახდა პირველ მეფედ – ხვარაზმ-შად (1127 – 1156 წ.), და იწყო პყრობა მალექ-შას სამკვიდრო მიწებისა. აზიზის შვილის ილ-არსლანის მეფობაში მალექ-შას შთამომავლების წინანდელ დიდების აჩრდილი-ღა დარჩა. ილ-არსლანის († I172 წ.) შემდეგ ხოვარეზმის ტახტისთვის 20-1 წელიწადს იბრძოდნენ მისი შვილები--ალა-ედდინი და მუჰამედ სულტან-შა, რომელიც დამარცხდა (1192 წ.) და ტახტი დარჩა ალა-ედდინ ტოკაშს († 1200 წ.). შემდეგ გიმეფდა მისი ძე მუჰამედ III კობტ-ედდინი († I221წ.) და მერე მუჰამედის ძე ჯელალ-

ედდინი მანკაბერნი, სწორეთ ის, რომელმაც მონგოლების წინად აიკლო ტფილისი და რომელიც მოკლულ იქმნა ქურთის მიერ 1231 წელს. ეს იყო უკანასკნელი ხვარაზმ-შა (შლოსსერ, III, 93 – 100).

მიაქციეთ ყურადღება, რომ „ვეფხისტყაოსნით“ ინდოეთის ხელმწიფე ფარსადანი, მაშასადამე ღაზნელი სულტანი, თავის ქალის დარეჯანისთვის სასიძოდ იწვევდა ხვარაზმ-შას შვილს, მაგრამ ფარსადანის მოგვარე ტარიელმა მოჰკლა სასიძო: ინდოეთს ვერ შევაჭმევო უცხოელს ! მაშასადამე ეს ამბავი მოხდებოდა არა უწინარეს პირველ ხვარაზმ-შასი (1126 – 1156) და არა უგვიანეს მეოთხისა, რომელიც გამეფდა I200 წელს.

მულიდები ანუ **ასასინები.** იმავე სულთან-შაჰ-ათაბეგეზის დროს აღორძინდა მაჰმადიანობაში სარწმუნოებრივი განდეგილობა, რომელიც ადგილობრივ იწოდებოდა იზმაილისად ანუ მულიდად, ასასინად (პატკანოვი, ისტ. მონგოლ., გამოც. 2, გვ. 113). იზმაელობა დაერქვა შიათა წინასწარმეტყველის ალის შთამომავალის იზმაელის გამო. ამათი სწავლა დამყარებული იყო ალეგორიულ-მისტიურ შემეცნებაზე, რომლის მიხედვთ თავისუფლად შეიძლებოდა ყურანის ჩხრეკა-ძიება და მის სწავლის შეთანხმება ფილოსოფიასთან. მულიდობა მოედო მთელ მაჰმადიანობას. რომელი ხელმწიფეც მას არ თანაუგრძნობდა და მფარველობას არ უწევდ, შეუბრალებლად ჰკლავდნენ, ხოლო რომელიც მის გავრცელებას ხელსუწყობდა, მას უმეტესი დიდება მოელოდა მულიდებისაგან. ასასინ მულიდებს ჰქონდათ საკუთარი სახელმწიფოც, რომლის სატახტო ქალაქი იყო სალს კლდეზე. გაძლიერდა მულიდობა ჰასან ბენ საბაის წინამძღოლობით. მან დაიპყრო 1090 წელს მთის მწვერვალის ალამუტის ციხე დილემში, გამაგრდა შიგ და იწოდა შეიხ-ალ-ჯებელად, ე. ი. მფლობელად მთებისა (შლოსსერ, 2, გვ. 664). მას მისი მიმდევრები თითქმის ღვთიურ კაცად სთვლიდნენ. იგი შიშის ზარს გვრიდა სელჩუკიანთ სულთნებს, რომელნიც სრულიად ვერ უახლოვდებოდნენ ალამუტს, რომლის გარეშემო ჰასანს ეჭირა 50 ციხე. ალამუტი ითარგმნება სიტყვებით „ბუდე არწივისა“ (პატკან. 114). ჰასანი გარდაიცვალა 1125 წელს. მის შემდეგ

ტახტზე ავიდა ყია-კურჩუკი. მათმა მფლოგელოგამ გასტანა 171 წლამდე. როდვანმა ასასინები მიიწვია სირიას და ალეპოს. იგინი გამოადგნენ მას პირად მტრების ამოსაწყვეტად. კირაკოს განძაკეცი ასე ახასიათებს ასასინ-მულიდებს (ისტ. მონგ., 8 – 9):

ეს მულიდები ცხოვრობენ გამაგრებულ ადგილებში. მიიღებენ-რა ბრძანებას თავის მთავრისაგან, რომელსაც ღვთის

თანასწორად სთვლიან, თავის სიცოცხლის საფასე ფულს უტოვებენ ცოლშვილს და თვითონ მიდიან ნაბრძანების შესასრულებლად. გადაცმულები უთვალ-თვალებენ სამსხვერპლოდ გაწირულს იმ დრომდე, ვიდრე არ მოჰკლავენ. ამიტომ ყველა მეფეებს და მთავრებს ეშინიანთ მათი და ხარკს აძლევენ. მათ დახოცეს მრავალი დიდებულები, რომელნიც ხარკს არ აძლევდნენ. სხვათა შორის განძაკში მოჰკლეს ორხანიც (1225 – 1226).

ქართლის სცოვრება მულიდებს სთვლის მკვლელებად და მწამლველებად. იგინი იხსენიებიან თამარ მეფის ცხოვრებაში (გვ. 289), ათაბაგ ილდიგუზის († 1173 წ.) შვილი სულთანი ყიზ-არსლანი მულიდებმა გაამეფესო (1186-1191).

ქართველთა დავით მეფემ (1243 – 1252) და მონგოლებმა იერიში მიიტანეს მულიდების ციხე ალმუთზე. შვიდს წელიწადს ებრძოდნენ. ერთხელ ხელოვანი მულიდი შეიპარა ჩაღატარ ნოინის კარავში, მოჰკლა იგი და გაიპარა. მკვლელობა ქართველებს გადააბრალეს მონგოლებმა და ის იყო უნდა ამოეწყვიტათ ქართველთა მცირე რაზმი, რომ ჩალებიდამ გამოვიდა მულიდი და ხმა-მაღლა დაიძახა: „მე მოვკალი ჩაღატარიო“. ქართველები გადარჩნენ. მონგოლებმა რომ საქმე გაუჭირეს ალმუთლებს, იგინი ეგვიპტისკენ გაიკრიფნენ (ქ. ცხ. 371, 382).

საგულისხმოა, რომ ამ მოლიდებს თავისი სწავლის მოფენა თუ ქადაგება სდომებიათ საქართველოშიაც, მერე ისიც თამარ-დავითის მეფობაში! ი. შავთელი ამბობს (79):

„თქვენგან ქურუმთა მყის აქ ურუმთა
მ ო ლ ი დ თ ა ცუდ-ჰყვეს ბომონთ მოთხრობა“.

აქ მოხსენებული მოლიდები ყოფილან ურუმნი, ე. ი. რუმის=ნიკეის=იკონიის სასულთნოდამ. მათს ქადაგებას ამაოდ ჩაუვლია.

იმავე მოლიდებს შოთა რუსთაველი უწოდებს ქაჯებს და ერთგან ქაჯს ასახელებს მოლიდ. შოთას ქაჯთა ციხეც სალს მიუვალ კლდეზეა აშენებული, ქაჯებიც, ვით მოლიდები, გადაცმულები დამგზავრობდნენ, სხვათა უჩინრად შედიოდნენ ციხე-ქალაქებში და უჩინრად ასრულებდნენ დავალებულს.

ასეთი განსაცვიფრებელი ერთობაა. მაგრამ არის კიდევ არა ერთი წვლილი, რომელიც პირად ჩვენ გვარწმუნებს, რომ შოთა რუსთაველის პოემა აგებულია თანამედროვე ისტორიულ ნასკვზე, მაგრამ ამის გამორკვევა ცალკე კითხვის, ცალკე მოხსენების საგანს შეადგენს და აქ უადგილოა შეჩერება არათუ რუსთაველზე, არამედ თანამედროვე მგოსნებზედაც.

ამით ვათავებთ საქართველოს მომიჯნავე სამეფოების განხილვას, ეს კი უნდა აღვნიშნოთ კიდევ, რომ მეზობლებ შორის ყველანი მაჰმადიანები იყვნენ, გარდა ერთისა და ეს

ერთდ-ერთი ქრისტიანი მეზობელი კი იყო საბერძნეთი, რომელიც, როგორც ვთქვით, საქართველოს ემეზობლებოდა შავი ზღვის პირით ტრაპიზონ-პონტოს გამოყოლება გონიამდე. უნდა ვთქვათ, რომ ამ პონტო-საბერძნეთის მხრივ მე-XI საუკუნითგან სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა ჯვაროსნებისა მაჰმადიანობასთან და ამ ჯვაროსნების გამარჯვებას დიდად ხელს უწყობდნენ ქართველი მეფეებიც, რომელნიც მაჰმადიანთა უამრავ ლაშქარს აბრკოლებდნენ მონაწილეობა მიეღოთ ჯვაროსანთა წინააღმდეგ გაჩაღებულ სასიკვდილ-სისიცოცხლო ბრძოლაში.

7. თამარ მეფის ომები.

გალაღებული დიდი სელჩუკ-თურქ-სპარსთა სულთნები, რომელთაც შთანთქეს არაბთა აზიის მფლობელობა ეგვიპტემდე, გულით და სულით ლამობდნენ დაეპყრათ მცირე საქართველოც და აქ ქრისტიანობის მაგიერ მოეფინათ მაჰმადიანობა. უმეტეს ყოვლისა ასეთი წადილით აღტყინებულ იყო უძლიერესი და გმირი სულტანი მალექ შა. მის მუქარამ შეაშინა მხოლოდ აღმაშენებლის სიძე აღსართან შირვან-შა, რომელიც, როგორც ვთქვით ზემოდ, ეახლა დიდ სულტანს, და გამაჰმადიანდა და დაჯილდოებული დაბრუნდა. მაგრამ ამასაც ჩაუშხამდა სიცოცხლე: აღმაშენებელმა დაატყვევა იგი და აიღო მისი სასახლე გულისტანი. თავისულების ბუდე – საქართველოში შემოსვლა ყოველთვის ძვირად უჯდებოდათ გალაღებულ სულთან-ათაბაგებს, რომელნიც მოსვენებას არ აძლევდნენ საქართველოს ნაპირებს. ქალის გამეფებამ იგინი უფრო გააღიზიანა, გაათამამა, მაგრამ თამარის „სხვილ-ბარკალ" და „არწივებრ გამჭვრეტ“ გმირებმა მტერს მალე თავზარი დასცეს.

8. ლაშქრობანი 1186 – 1188 წლებში.

ა) „დააბეს დროშა სვიანად ხმარებული“, გაიძღოლეს ძელი ცხოვრებისა, „მცველი და მფარველი მეფეთა და ზღუდე ქრისტიანობისა“. და მოილაშქრეს ქვეყანა კარისა და კარნიფოლისა და მოარბიეს ბასიანამდის;

ბ) მოვიდნენ ლაშქარნი რანისა და გელაქუნის თურქებისა და მოარბიეს პალაკაციოს ქვეყანა. იგინი შემუსრა გამრეკელ კახასძემ.

გ) კლარჯეთში შემოიჭრნენ კარნუქალაქელნი (არზრუმელნი), შამელნი (სირიელნი) და თურქნი გარმიანელნი, ცხენოსანნი და ქვეითნი. მათ წინააღმდეგ გამოვიდა გუზან აბულასანისძე. ტაოელნი, ბოცო, მესხნი და სხ. მიესივნენ მტერს, შემუსრეს, დახოცეს, გააქცივეს;

დ) მხარგრძელისძეთ იომეს დვინს. დაბრუნებულებს დაეწივნენ დვინისა და სურმანის ლაშქარნი. შეიქმნა სასტიკი ბრძოლა. ჩვენებს გაემარჯვათ.

ე) თამარის ბრძანებით ქართველთა ლაშქარი კვლავ მიუხტა დვინს და მოარბია პართთა ქვეყანა.

ვ) მერე გაილაშქრეს გელაქუნს, საცა შეყრილიყო „ზღვის ქვიშისა სახედ სიმრავლე თურქმანთა“. დაესხნეს და იავარ ჰყვეს. როშ დაბრუნდნენ, დაეწივნენ თურქმანები შამელ დიდებულების როსტომ და იალღუზ ალფესთა წინამძღოლობით.

ზ) ნუხის მთავრის ასათ გრიგოლისძის წვევით ილაშქრეს განძას ქვემოთ ბალყუნამდის, შემდეგ არეზის პირს არარატამდის.

ყველა ამ ლაშქრობამ აუარებელი დავლა შესძინა საქართველოს.

ლაშვრობანი 1192 – 1196 წლებში.

ა) რუსუდანის დაბადების მოთხრობის შემდეგ ცხ. ასწერს (გვ. 298) ბარდავზე გალაშქრებას ლაშას „ბედსა და სვესა ზედა“. აიღეს ქალაქი და არანიდამა და ბარდავიდამ გამოიღესო იმდენი, რომ აღივსნენო ტყვითა და აურაცხელი საუნჯით, თამარისა და მის ძის დღეგრძელობისთვის გაანთავისუფლეს 30,000 ტყვე.

ბ) აქედგან დაბრუნებულნი თვის თავზე წავიდნენ არზრუმისკენ დავით სოსლანის წინამძღოლობით. მიადგნენ ქალაქის კარს. შეიქმნა „წყობა ძლიერი დახეთქება აბჯართა“ ცისკრიდამ ბინდამდის. ქართველებს დარჩათ აუარებელი ალაფი, ტყვე დი ჯოგები. ციხეში მომწყვდეულები ტირილით მოსთქვამდნენ: „ვინა იქმნა ჩვენზედა ესოდენი შერისხვა? არაოდეს გვიხილავს ჩვენთა სანახებთა ტომი ქრისტიანეთა“! მეორე დღეს დიდის ძალით შემოებრძოლნენ, მაგრამ ქართვე-

ლებმა ციხის კარები დალეწეს, დაამარცხეს მტერი და დიდებით დაბრუნდნენ .

გ) მოლაშქრეს კვლავ გელაქუნი, ქვეყანა ყარყრისა ბალყუნამდის, მოარბიეს არანი, შემოიარეს კარი განძისა.

დ) ლორიდამ რაზმი წავიდა და მოილაშქრა არეზამდე, დაამარცხეს დვინელნი, ბიჯნელნი და ამბერდელნი.

„წაუღე რანი, წაუღ ერანი,
ყელსა დასახენ ჩამომდებარე;
მიუშვენ ოდეს, მიუშვენოდეს
ა მ ბ ე რ დ ა დ. რად ვსთქვნე იგი მე ბარე.
ჩახრუხაძე 33.

ე) დავით მეფემ კვლავ მოილაშქრა გელაქუნი, სპარსი-ბაზარი და გორალუქი, და ხელთ იგდო „ტყვისა, ჯოგისა, აქდუმისა, ზროხისა და ცხვრისა სიმრავლე, შემსგავსებული ზღვი-

სა ქვიშისა“.

შამქორის ომი 1195 – 6 წ.

1191 წელს ღალატით მოჰკლეს ადირბეჟან-აღმოსავლეთის სულთან-ათაბაგი ყიზ-არსლანი, ძე ათაბაგ ილდიგუზისა (1173 წ.), რომელიც დაუძინებელი მტერი იყო ქართველებისა. მისი სამეფო დარჩათ მის ძმის მაჰამედ-ფალავანდის შვილებს: ხუტლუ-ინანჩის, აბუ-ბეკრს (ბობქარს) და ამირ-მირანს; ეს უკანასკნელი იყო ნაშობი ხორასნის მფლობელის ინანჯანის ასულისა, რომელიც მაშინ ცოლად ჰყვანდა ტოღრულ სულტანს*) (ქ. ცხ. 302). ამათ ასე გაიყვეს სასულთნო: ხუტლუს ერგო მიწები ერაყით ხორასნამდის და ბაბილონამდის, აბუ-ბეკრს ადირბეჟანი სომხითამდის, ამირ-მირანს არანი გურგანის ზღვით გელაქუნის ანუ გოგჩის ტბამდე (ქ. ცხ. 301).

---

*) მოღიტ-ედდინ-ტოღრილ-შა, ძე ყიზილ-არსლანისა, ძისა სოლიმანისა.

მრავალ მთავრობამ გამოიწვია ძმათა შორის შუღლი და მტრობა. მალე აბუ-ბეკრმა დაამარცხა უფროსი ძმა და გაათაბაგდა. უმცროსი ძმა შეესიძა აღსართან შარვაშეს, მაგრამ ეს ძმაც დაამარცხა და თვითონ მხოლოდ დარჩა პატრონობა მთელის სასულთნოსი. მაგრამ, როგორც გადმოგვცემენ არაბთა მწერლები, აბუ-ბეკრი მეტად სუსტი ხელმწიფე იყოო, სამეფო საქმეებს ყურადღებას არ აქცევდა და ამით სარგებლობდნენო ქართველები, რომელნიც მაჰმადიანთა მიწებში დანავარდობდნენ და იკლებდნენო ქვეყანას.

ძმის აბუ-ბეკრისაგან დამონებული ამირ-მირანი გამოიქცა შარვანს, სიმამრისას. მაგრამ აქაც უბედურება ეწიათ: მიწის ძვრამ (1192 წ.) დასცა ზღუდენი და ციხენი შემახიისა და ნანგრევებ ქვეშ დაიღუპა მრავალი სული, აგრეთვე თვით შირვან-შას ცოლ-შვილიც. ბუნების რისხვამ ერთის მხრით და ბუბაქარის მუქარამ, მეორეს მხრით, შირვანშა და მისი სიძე ამირ-მირანი სასოებით მოახედეს საქართველოსკენ. მრავალი ვეზირები და დიდებულები გამოგზავნეს თამარის წინაშე დიდძალ ძღვენბითა, ფასდაუდებელ თვალმარგალიტით, მოიკითხეს „ღვთისა სწორი", თაყვანსცეს, ითხოვეს შველა და დახმარება, თან მოახსენებდნენ თამარს: თქვენ შეგიძლიანთ დაიპყროთ მთელი სპარსეთი და იქ დედოფლად დასვათ თქვენი ასული რუსუდან, ნათელი და ბრწყინვალება (ქ. ცხ. 301). თამარმა შემწეობა აღუთქვა, ხოლო ქალის მიცემა სარძლოდ და საპატრონოდ სპარსეთისა არ იკადრა.

ცხადია, ამირ-მირანს სურდა თამარის შემწეობით გასულთანებულიყო სპარსეთში და თამარის ასული რუსუდან ცოლად შეერთო. ამირ-მირანის ვეზირების მოსვლას და მის გასულთნების სურვილს ასე გამოსთქვამს ჩახრუხაძე:

„მან ათაბაგსა ხვარაზმშად მდეგსა კეთილგანრჩევით სჯულთ უდ-
ვა მცნებად,
თვით ბრძენი სწვართა, მით მოიმართა მისდა დიდებად, გასულტანებად:
მოყმე სვიანი იესიანი ლაშა აძებნა ლხინად და შვებად,

შიშითა მკრძალი ვაზირთა ძალი მოგზავნა დიდთა ცხენთ ძღვანებად
უდრი (რუსუდანი) ითხოვა, მზე მოითხოვა ბნელისა კართა ნათელთა
ცებად.“

შარვაშეს და ამი-მირანის მოციქულები სიხარულით
დაბრუნდნე. თამარმა კი ბრძანა ომისთვის მზადება. წარგზავ-
ნეს ყოველ მხრივ შიკრიკნი და მალე-მსრბოლნი ხმობათ ლაშ-
ქრისა. აქვე იყო მაშინ ყიფჩაღის მთავარი სევინჯი – სავალთი
თავის რაზმით. შეიყარა ლაშქარი ალგეთის ხეობაში ტფილი-
სით ყარაღაჯამდის. მოვიდნენ თავის ძალით აღსართანი და
ამირ მირანიც. მოვიდნენ და ეთაყვანნენ თამარს. შვილებრ
მოიკითხა იგინი, ანადიმა. ამირ-მირანი და აღსართან, გაკვირ-
ვებულნი ქართველთა მეომრების სიმკვირცხლითა და ახოვნე-
ბით, ხმამაღლა ამბობდნენ: „გავიმაგროთ გული და დავტო-
ვოთ მწუხარება: ჭეშმარიტად თამარს ძალუძს ჩვენი ხსნა და
კვალად ჩვენსავე მამულს დასხმა... ერაყსა, ადარბადაგანსა და
ერანს ამათებრ (ქართველთაებრ) მობურთალნი არ დარჩომი-
ლარიან“ (გვ. 303).

ამასობაში შეიარაღდა მთელი სპარსელოობა და მთელი
მახლობელი მაჰმადიანობა, ხალიფას ღაზავათი (საღმთო ომი)
გამოაცხადებინეს, შეიყარნენ ინდოეთიდგან სამარყანამდი, ხა-
ლიფას დროშა, რომლის თავს დასმული იყო 1000 ოქროს
საღირალი ოქროსივე ბურთი, წამოიძღოლეს და ბარდავ-შამ-
ქორისკენ წამოვიდნენ, უამრავ-ურიცხვნი ბუბაქარის წინამ-
ძღოლობით.

თამარი მობრძანდა თავის ლაშქრის პირს და აღტაცებით
მის მიმგებელ მხედრობას რქვა „არა დედაკაცურითა" სიტ-
ყვითა, არამედ ვაშკაცურად:

„ძმანო ჩემნო! წუ შეძრწუნდებიან თქვენნი გულნი სი-
მრავლისათვის მათისა და სიმცირისათვის თქვენისა. ღმერთი
ჩვენთანა არს. შეისწრაფეთ მათ ქვეყანაში ყოვლად წმიდის
შეწევნით და უძლეველის ჯვარის ძალით წარმოემართენით“.
თამარი დაბრუნდა. ლაშქარი დიდებულად აბანაკდა და

მალე მიუახლოვდა შამქორს. დავით მეფემ შეუტია. საშინლად
შემუსრა. ბობქარი გაიქცა ერთის მონის ამარა, მაგრამ ვაი
იმ გაქცევას! განჯიდამ გელაქუნამდე ფეხდაფეხ სდევნიდნენ
ქართველნი და, „ვითარცა თაგვთა, მოსრვიდეს, და, ვითარცა
ქათამთა, იპყრობდეს დიდ ამირაებს ბაღდადისასა და მოსულისას,
ავარიელთა და ერაყელებს, ადარბადაგანთა, ერანელებს და სხ.
ადგილებისას, იპყრობდნენ და მოყვანდათ წინაშე დავით სოს-

ლანისა. გაქცეულები ამოწყვეტის შიშით თვითონვე უკან ბრუნდებოდნენ და თავის სიმდიდრით მოდიოდნენ და ნებდებოდნენ მეფეს. ბობქარი ძლივს გადარჩა, ჩამალული სადღაც ხნარცვში. მასთან მოყოლილი დროშა ხალიფასი აგრეთვე დარჩათ ქართველებს, მათი მთელი სალაშქრო სიმდიდრეც.

ზათქი და ზაჰმი იყო დიდებული. საქმე შესრულდა ბუმბერაზული.

ამირ-მირანი აღსართან შარვაშიძე ეთაყვანენ დავით სოსლანს. ქება შეასხეს მრავალგვარი „მადრასათა აღმართეს ეკლესიანი, მყივარითა წილ რეკეს ძელსა, ნაცვლად მუყრთა ღაღადებდა მღდელი“. შამქორელებმა მოართვეს კლიტე ქალაქისა. მეფემ გადასცა ამირ-მირანს.

მეორე დღეს მეფე მიბრძანდა განჯას. გამოეგებნენ დიდებულნი, დიდვაჭარნი, ყადი და მუსლიმი, დამხედ თაყვანისცეს, შეავედრეს ცოლშვილის შეწყალება, შეუქეს მკლავი. გაუღეს ქალაქის კარი და სასულთნო სასახლის კიბემდის მეფე გაატარეს სტავრა-ნახლზე, თან გადაასხმიდეს თავს ოქროსა და ვერცხლისა, დრამასა და დრაჰკანს, შებძანდა მეფე სასულთანო პალატსა და დაჯდა სასულთანო ტახტზე. ცალკე დაისხა ამირ-მირანი და შარვაშე. მოსხდნენ და მოდგნენ, ვისაც ნება ჰქონდა ჯდომისა. გაიმართა დარბაზობა, ნადიმობა. მეფობასთან სულთნობა შეიერთა ქართველთა მეფემ.

ნადიმის შემდეგ მახარობლად თამარ მეფისა მოვიდა ჭიაბერი. თამარი მაშინ იყო ტაბახმელას. მეტის-მეტად გაუხარდა, ღმერთს მადლობა შესწირა და ტფილისს მობრძანდა. მალე

მოვიდა დავითიც აუარებელ სიმდიდრითა, ტყვითა, აქლემჯორითა, ცხენითა და სხ. ტურფითა. ყოველი ნატყვენავი განაწყეს დიდუბის ველზე ავჭალამდის.

იყო: დროშები ხალიფასი და ათაბაგ ბუბაქარისა.

ტყვეები: ხელმწიფე-მთავრები, მოლაშქრენი 12,000.

ავაზა: 40.

საქონელი ძვირფასეულობით კიდებული: ცხენი 20,000, ჯორი 7,000, აქლემი 15,000, ოქრო, ლარი და სხ. სიმდიდრე იყო აურაცხელი, ასევე თვალ მარგალიტი, აბჯარი, მუზარადი, ჭურჭელი, ხრმალი, ნაქსოვი, ოქრო ქსოვილი, მანიაკი, სპილოს ძვალი და სხ. და სხ. ყოველ ამის დასათვალიერებლად გაიყვანეს თამარ მეფე, რომელსაც თაყვანსცეს ტყვე ხელმწიფეებმა და მთავრებმა, მერე დაბრუნდნენ ქალაქს თამარმა ტყვეთა და სიმდიდრეთა ბოძებით აავსო სეფე-აზნაურნი ანაკოფიდგან გულისტანამდე. ყველას ნადავლიდამ წილი ერგო. ხოლო ხალიფას დროშა შალვა ახალციხელის ხელით თამარმა წარგზავნა გელათს ხახულის ღვთის-მშობლის წინ დასადგმელად ზედ წარწერით შემდეგის იამბიკონისა:

ცასა ცათასა დამწყები ღმერთ-მთავრობა:
ძე საუკუნობს პირველი და კალადი,

სულმან ღმერთმან სრულჰყო არ-მოქმედებადი,
სამებით სრულმან ერთითა ღვთაებითა.
მიწითა პირველსა პირმშოსა კაცთასა.
შენ მიერ მისთვის დრკუისა მის განგები
დრკუ მიდრკა უვნები ვნებისადმი,
ივნო და ვნება პირველი უვნებელ ჰყო
შენგან შობილმან ჩვენ ღირს გვყვნა აღმოშობად
ბნელით ნათლისად ნათლითა მხედველობად.
შენგან, ქალწულო, რომელსა შენთვის დავით
როკვიდა ძისა ღვთისა ძედ შენდა ყოფად,
მე, თამარ, მიწა შენი და მიერივე,
ცხებულობასა ღირს მყავ და თვისობასა

56

ედემს ღადირად სამხრით და ჩრდილოეთით
შუა მფლობელი იავარს შენდა ვმრთელობ
ხალიფას დროშას, თანავე მანიაკსა
შევრთე ცრუ სჯულთა მოძღვრისა ღაზოდ მძღვანი,
ვინ დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან,
მოირთხნა, მოსრნა სულტნითა ათაბაგი.
ირანს ებრძოდეს ჩემ მიერ მისთა სპათა
ჩვენნი მხედარნი, მოსავნი შენნი, სძალო,
მოსწყლნეს, მოსწყვიდნეს აგარის ნათესავნი,
მუნით მოხმულთა ნიჭთაგან ერთსა ამას
შენდა შევწირავ, მოხე ძეებრ, ღმერთო!“

საგულისხმიეროა ჩახრუხაძის სიტყვები (74, 77):

„ბობქარ რადა რბის?..
ბობქარ მგოდები, მცდრად ნაწოდები,
დავითის ხლმითა შემარცხვენალი!"

ამ გამარჯვებამ თავზარი დასცა მახლობელ მაჰმადიანობას. ისტორიკოსი ღაღადებს:

მოაკლდებოდა ძალსა მაჰმადიანთასა და მცემელი ებანსა.

ქრისტიანეთა ორღანონი ხმოვანობდეს კიდით კიდემდე.

დაშრტა სასოება მუსურმანთა. ყოვლითურთ უღონონი ღონე ჰყოფდეს, რათა წყალობად მოიზიდონ წყალობის მოყ-ვარე თამარი.

მოწიწებით სთხოვეს ხალიფას ევედროს თამარს ჩააგოს ხმალი ქარქაშს და იკმაროს მარტო ხარკის აღება მათგან.

ხალიფამაც შეასრულა თხოვნა: დიდის ვედრებით და მრავალჯერ ძღვენთა მოგზავნით სთხოვა თამარს დასჯერებო-და ხარკის აღებას და მშვიდობა მიენიჭებინა მაჰმადიანთათვის. თამარმა უპასუხა ხალიფას:

„აღმისრულებიეს თხოვა შენი. რომელთაცა ინებონ მშვიდობა თავთა თვისთა და მოიღონ ხარკი წინაშე ჩემსა, ამათდა მიმინიჭებიეს მეცა ცხოვრება, ვედრებისათვის შენისა“.

57

ამით აღტაცებული მგოსანი შავთელი ამბობს (16): „ა ხალიფასი ახალი ფასი მრავლად მოერთმის თავთა მონებად".

გასახარელიც იყო, ვინაითგან ხალიფას ხარკი ხალიფობის დაარსებიდგან ჯერ არავისთვის არ ეძლია და არც მისი დროშა დაეტყვევებინა რომელსამე ერს!

წ. კ. საზოგადოებას ეკუთვნის ძველი დროის დიდი სურათი, რომელზედაც ჰხატია თამარის სახე და მის წინ გუდებით ხარკის მომტანი მაჰმადიანები.

ვახუშტი (გვ. 208) იუწყება: განძა ამირ-მირანს მისცესო. ქართლის ცხოვრებით კი (გვ. 307) ამირ-მირანმა მიიღო შანქორი და ყოველი მისი შესავალი. მაგრამ იგივე ვახუშტი იქვე ამბობს: განძა ამირ-მირანს წაართვეს და ისევ ბუბაქარს მიუბოძესო. ქართულს წყაროებში (ქ. ცხ. 478) ყრუდ მოთხრობილია ამირ-მირანის მოწამლვა ბუბაქარის მიერ და კიდევ რაღაც ომების ამბავი გარნისს, განძას, სურმანის მხარეს და სხ. რომ მართლაც ადირბეჟან-არანი ისევ ბუბაქარს დარჩენია, ამას ამბობენ არაბელი მწერლებიც (მოამბე №1 1898 წ., გვ. 24). ალ-ფეჰლავანის შვილი აბუ-ბეკრი (=ბუბაქარი=ბობქარი), მფლობელი ადირბეჟანისა და არრანისა, სუსტი ხელმწიფე იყოო. უყვარდაო თამაში და ღვინო და სამეფოს გამგეობას ყურს არ ათხოვებდაო. ამით სარგებლობდნენო ქართვლები და აოხრებდნენო მის სამეფოს. რომ იგინი მოემშვიდაო, შეირთოო (1205-6 წ.) მათი მეფის ქალი და ამის შემდეგ ქართველები აღარ შემოჰსევიანო მის სამეფოს. აქ, ეტყობა, არაბელი მწერლები სცდებიან: ამირ-მირანის მიერ სპარსეთის დედოფლად რუსუდანის მოთხოვნას იგულისხმებენ უკვე შესრულებულ ამბად, და ამ რუსუდანს სთვლიან. აბუ-ბეკრის ცოლად! ძალიან შესაძლებელია, აბუ-ბეკრს ცოლად ჰყოლოდა ვინმე ქართველ დიდებულის ასული და არა მეფის ქალი!

11. დვინის დაპყრობა 1202 – 3 წელს.

არაბელ მწერლების სიტყვით 1202-3 წელს ქართველები შემოერტყნენო ციხე-ქალაქ დვინს და აუტეხესო სასტიკი ბრძოლა. აბუ-ბეკრმა ვერ გაბედა შებრძოლება. ქართველებმა დაიპყრეს ციხე-ქალაქი და ცოცხლად გადარჩენილ მცხოვრებლებს კეთილად მოეპყრნენო. დვინის აღება ვარდან დიდის სიტყვით მოჰხდა 1203 წელს. ამავე საგანზე ცნობებს იძლევიან იბნ-ალ-ათარი, აბულ-ფედა, იბნ-ქალდუნი და სხ. (მოამბე, 1897, XII, 16).

ამავ აბუ-ბეკრის შესახებ არაბელი მწერალი, როგორც უკვე იყო ნათქვამი, იუწყება: „1205-6 წელს აბუ-ბეკრმა შეირთოო ქართველთა მეფის ქალი“. ვინ იყო ეს ქალი, არა სჩანს. ქ. ცხოვრებამ იცის რამდენიმე მაგალითი ქართველ მეფეების დანათესავებისა მაამანდიანთა ხელმწიფეებთან: თამარის მამიდა რუსუდანი ცოლად ჰყავდა ერაყის სულთანს. თამარის და ხარჭისაგან ნაშობი შეირთო მუტაფრადინმა, რომელიც ბროსეს ჰგონია არზრუმის მფლობელის სალდუხის

ძედ მოდ-აფოერ-ედდინად (Hist. de la g 418), 1203 წელს ამირ-მირანი თხოულობდა თამარის ქალს სპარსეთის დედოფლად, მაგრამ თამარმა თხოვნა არ შეიწყნარა. აბუ-ბეკრის ცოლი „გურჯიე“ მიაჩნიათ ივანე ათაბაგის ასულ თაჰმთად, მაგრამ ესეც ცოლად ჰყვანდა არა აბუ-ბეკრს, არამედ მელიქ-ალ-მანსურ-მაჰამედს და მის სიკვდილის შემდეგ მელიქ-აშრაფს (მოამბე, 1898, №1, 30) აბუ-ბეკრის შესახებ იხ. კიდევ ქვემო.

12. ტრაპიზონის აღება და პონტოს იმპერიის დაარსება (1204 წ).

1203 წელს თამარს ეწვივნენ სასულიერო მოღვაწენი პალესტინიდამა, მთა წმინდიდამ, შავიმთით, ანტიოქიით და სხ., და თამარს სთხოვეს დახმარება. უიმისოდაც თამარ მეფე ყო-

ველ წლივ უგზავნიდა დიდძალ საფასურს, მრავალ შესამოსლებს და საუკეთესო ჭურჭელს არათუ მარტო ხსენებულ ადგილების ბერებსა და მოღვაწეთ, არამედ მისი გულუხვობის წვლილი მიდიოდა ბოლგარიასა, მაკედონიას, ელადას, კოსტანტინეპოლს, კვიპრეს, სინას, ალექსანდრიას, პალესტინას და სხ. ძღვენის წამღებლებს თამარი ძლევდა სამგზავრო ბარათს, რომელშიაც ეწერა: „იწყეთ მოკითხვა ეკლესიათა, მონასტერთა და ერთა ელექსანდრიით ყოვლისა თანა ლუბიისა, სინისა, მთისა და მათ კერძოთა“.

ახლაც თამარის ოქრო-ვერცხლით დატვირთული ბერები მის საჩუქარ-შესაწირავებით რომ დაბრუნდნენ და კოსტანტინეპოლს მივიდნენ, ეს აქედგან წაღებული შეწირულობანი ოქრო-ვერცხლი მათ წაართვა იმპერატორმა ალექსი ანგელოსმა, და მაშინ მისთვის ფული კი დიდად საჭირო იყო, რადგან კოსტანტინეპოლში შემოჭრილ ფრანკ ვენეტიკელ ჯვაროსნებისათვის, პირობისამებრ, მას უნდა მიეცა რამდენიმე ასიათასი (შლოსსერი, 3, გვ. 73).

ბერების გაძარცვას ყრუდ აღნიშნავს ათონის ქართველთა ლავრის წიგნიც (ათონ. ივერ. 1074 წლ. ხელნაწერ., გამოც. ჩვენის რედაქ. 1901 წ., გვ. 259): „ოდეს კელანნი დაგვეწვნეს და მონაზონნი აღმოსავლეთს გავგზავნენით, **თამარს** მოეცა ევლოგიად: კ: დუკატი და ორნი დიდნი სტავრანი, რომელნი ოცოცსა დრაჰკანსა სჯობდეს. და კვალად ნიკოლოზ გულაბერიძემან (იხ. ზემო) მოგუცა მისივე: კ: პერპერა რუჲსა წახდომილისა შესაკაზმავად და წისქვილისა და ბოსტნისა შესაქმნელად... მას სხუაჲცა უფროჲსი განეწესა ამის მონასტრისათვის, უკუე თუმცა **ჰავთა ღორთა** კაცთა არ **დაეკლო**“.

ამ წერილის ბოლო სტრიქონი „ავ და ღორ“ კაცების მიერ მთაწმინდისთვის შეწირულობის მოკლებისა, ჩვენის ფიქრით, ნათელს ჰფენს ქ. ცხოვრების უწყებას შესახებ ალექსი იმპერატორის საქციელისა.

ასე თუ ისე, თამარმა ძლიერ იწყინა ასეთი უკადრისობა

იმპერატორის მხრივ. ხსენებულ ბერებს წართმეულის მაგიერი კვლავ მისცა და გაისტუმრა, და მერე შეუდგა იმის მოსაზრებას, თუ როგორ დაესაჯა კადნიერი იმპერატორი. მაგრამ ფიქრს არც დიდი დრო უნდებოდა.

დიდის ხნითგანვე საქართველოს სამეფო გვირგვინის გარშემო მწიფდებოდა აზრი დასაპყრობად ჭანეთისა და დიდი ხნითგანვე ჩვენს სამეფო კარზე იყვნენ ბერძენთა გადაყენებულ საიმპერატორო სახლის – კომნიანოსთა წარმომადგენლები, რომელნიც მახლობელი ნათესავები იყვნენ თამარ მეფისა.

ბაგრატ IV-ეს (1072 წ.) ცოლად ჰყვანდა ბერძენთ ხელმწიფის ქალი; ბაგრატის ასული მარიამი მისთხოვდა იმპერ. მიქელს (107I-1078) და ამ მიქელმა თავისთვის სიმტკიცის მოსაპოებლად ისაკ კომნიანოსს შერთო ირინე, მახლობელი ნათესავი თავის მეუღლის მარიამ ბაგრატის ასულისა, რომელსაც ამასთანავე ეშვილობილა ალექსი 1 კომნიანოსი (1080 – 1118): დავით აღმაშ. ქალი ეკატერინა ცოლად ჰყვანდა ანა კობნენის ვაჟს ბერძენთა წყაროებით (ჩვენი ქართ. მწერ., გვ. 17ნ) ქართველთა დავით მეფეს (ალბად თამარის ძმას დავითს –1155 წ.) ცოლად ჰყვანდა ანდრონიკე კობნიანოსის ქალი თამარი, რომელიც ძალუად ხვდებოდა თამარ მეფესა და ეს კი ძალუად ალექსი კომნიანოსს, რომელიც 1204 წელს თამარის კარზე იყო.

მაგრამ არის სხვა წყაროებიც, რომელნიც გადმოგვცემენ ცნობას შესახებ ანდრონიკაშვილების მოსვლისა საქართველოში, მათ ჩამომავლობისა ბერძენთ იმპერატორ ანდრონიკე კომნიანოსისაგან. ასეთი ცნობები შეუნახავს თავად-აზნაურთა სიას, რომელიც შეადგინა მეფე ერეკლემ, ხოლო საზოგადო ისტორიიდამაც სჩანს (იხ. გიბბონი, აგრეთვე ვებერი (VI, 431), შლოსსერი, 2 გვ. 66-69), რომ ანდრონიკე I საშინელი მტერი იყო ბიზანტიის იმპერატორისა, რომლის დასამხობათ ეს ანდრონიკე მომხრეებს ეძებდა ბოლგარიაში, კიევში, მცირე-აზიაში, ნურედინ სულთანის კარზე რუმს და სა-

ქართველოშიაც. ქართლის ცხოვრებაც (272) გვეუბნება, რომ ეს ანდრონიკე მართლაც მოვიდა საქართველოში თავის შვენიერი მეუღლით და შვილებით და თავის დისწულით, რომ იგი იყოო ძე მანუელ იმპერატორის (1143 – 1180) ბიძისა. იგი ზეიმით მიიღესო და დაასახელესო მომიჯნავედ შარვანისა და ზღვის პირის მეფის აღსართანისა, ე. ი. ქიზიყს, სადა ეხლაც ცხოვრობენ ანდრონიკაშვილები.

რახან ეს ესე იყო და თანაც ეს ტახტის მძებნელი კომნიანოსებიც ანგელოზის დინასტიის იმპერატორების წინააღმდეგნი იყვნენ, თამარმა ყველაზე შესაფერ დროდ სცნო ეხლა-

ვე ჯავრი ამოეყარა და ომის საბაბად ბერების გაძარცვა გამოეცხადებინა. შეუსია მხედრები პონტოს. ქართველებმა დაიპყრეს „ლაზია (– ჭანეთი), ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, (– აწ **სამსუნი**) სინოპი, კერასუნდი,კიტორა,ამასტრია, ირაკლია, ფებლაღონია“ (ქ. ცხ. 325).

„მისცნა ეს ადგილები ნათესავსა თვისსა ალექსის კომონიანოსსა ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვით წინაშე თამარისა შემოხვეწილი“ (იქვე 325).

ამასვე ამბობს ბერძენთ ისტორიკოსი მიქელ ხონიატი. იგი სწერს: .,თამარმა თავის ნათესავს მისცა ღონე ქართველთა ლაშქრით დაეპყრო ტრაპიზონი, ლომნია, ნავების დახმარებით – კერასუნდი, ონოე, სინოპი, კედროსი, ამასტრისი, მთელი პონტო, გარდა სამსუნისა“ – ეს იყო 1204 წ.

ბერძენთ მეორე ისტორიკოსი მიქელ პანარეტი თამარს იხსენიებს ხსენებულ ალექსის ძალუად (ქართ. მწერ., I79, Трапез. хроника М. Панарета, გამოც. ხახანაშვილისა, გვ. 19).

ასე დაარსდა პონტოს იმპერია, რომელიც დაიმხო ოსმალებისაგან მხოლოდ 1462 წელს.

სამწუხაროდ, ამ პონტოს იმპერიაში მოჰყვა ჭანეთის ნაწილიც – ხოფას იქით ტრაპიზონამდე. საქართველოს სიძლიერისთვის უპრიანი იყო შემოერთება ქართველ-ჭანეთით დასა-

ხლებულ განაპირა ჭანეთისა, ვიდრე დაპყრობა უცხო გვარტომით მოსახლე დვინისა და არეზის ნაპირებისა. ეს თამარსაც კარგად გათვალისწინებული ექნებოდა, მაგრამ მან ისიც ალბად იცოდა, რომ ტრაპიზონის შემოერთებით მოიმდურებდა ერთადერთ მეზობელ ქრისტიან ერს – ბერძნებს და მათთან ერთად თვით ევროპიელ ჯვაროსნებსაც, რომელნიც ამ ტრაპიზონის მხრიდამაც სასტიკად აწვებოდნენ წმიდა ქვეყნის – პალესტინის მპყრობელ მაჰმადიანებს. ტრაპიზონის დათმობის სიმწვავეს მაშინ რაოდენათმე გაანელებდა ის გარემოებაც, რომ თამარის მიერ ხელმწიფედ დადგენილი ბერძენი ალექსი ადგილობრივ ჭანებს, უეჭველია, თვით-გამორკვევის უფლებას არ მოაკლებდა. ამით ვხსნით ჩვენ, რომ დღესაც ჭანეთში არ მივიწყებულა ქართული ტრადიციები და ქართული ენაც მეგრულ კილოსი თავისუფლად გაისმის საქართველოს აწინდელ მიჯნიდამ ვიდრე ტრაპიზონის გაღმა კიდევ კარგა მანძილამდე.

13. ქელათის დაპყრობა (1204 – 5 წ.).

არაბთა მწერლები იუწყებიან (იხ. თარგმანი მოამბე, 1898, № 1, 22): „ქართველები მრავალის ჯარით გამოემართნენ ქელათის ქვეყნისკენ. აიკლეს და მრავალი მცხოვრები დახოცეს და ტყვედ წაიყვანეს. მთელს ამ ქვეყანაში ისე დათარეშობდნენ, რომ მათ მოწინააღმდეგედ არავინ გამოჩნდა, და ისინიც დადიოდნენ და იკლებდნენ და ატყვევებდნენ“.

ქაალევის აღებას ასე გამოხატავს ჩახრუხაძე (95):
დავითი
    მცრობს აქა ალევს; მბრძოლთა **ქაალევს**
რა მძლედ ავა, დის მოხსენებანი:
„ახალი ხვასრო (– **თამარ**), ბაღდადით სპარსო
ააევლესო, დასვენ ებანი!“

არაბულ მწერლების სიტყვით, ქართველებმა ქელათის იქით მელაზკერტამდე მიაწიეს. ქელათის ხელმწიფეს შემწეობას აძლევდა არზრუმის მეფე ტოღრილ-სულთანიც. მათი გა-

დმოცემით, ქართველები აქა-იქ დაუმარცხებიათ, თუმცა მათი „უსაზღვროდ ეშინოდათო“, მოსლიმინებმა ერთ შეტაკებაში მოჰკლესო მათი წინამძღოლი ზაქარია-უმცროსი და აიკლესო მისი სარჩო-საბადებელი (გვ. 22).

14. ბოლოს ტეკეს ომი (1205 წ.)

ქართველთა გამარჯვება შამქორს ელდას ჰგვრიდა რუმიკონიის სულთანს ნუქარდინს, მეტადრე დიდ სირცხვილად მიაჩნდა თამარისთვის ხარკის ძლევა მაჰმადიანთაგან იგი პირფერულად ძღვენ-მოკითხვებს უგზავნიდა თამარს და ამავე დროს ფარულად ემზადებოდა ქართველებთან საომრად. თვითონ ჰყვანდა 80,000 მეომარი, კიდევ მოიწადა უჯანიდამ 100,000 და აგრეთვე იწვია ქუდზე კაცი, და დიდის ურდოთი მოვიდა ქალაქ სევასტიას, შეუდგა საომარ მანქანების შემზადებას და თან თამარს მოსწერა წერილი:

„მე, ნუქარდინ, სულტანი ყოვლისა ცასა ქვეშისა უმაღლესი, მიმსგავსებული ანგელოსთა, თანამდგომი ღვთისა, მოგიმცნობ ქართველთა მეფესა თამარს: ყოველი დიაცი რეგვენია. შენ გიბრძანებია აღება ხლმისა და დახოცა მაჰმადიანთა, და დაგიხარკია მუსლიმანობა. მოვდივარ ჯავრის ამოსაყრელად. მოგაგებ მოსაგებელს სპარსთა სულთანის დამარცხებისთვის. ვინც თქვენთაგან სწრაფად მოვა და ჩემის კარვის წინ უარჰყოფს ქრისტიანობას და ირწმუნებს მაჰმადს, ცოცხლად ვამყოფებ„ დანარჩენებს კი მოელით გაჟლეტა“. თან მოციქულის პირით ესეც შემოუთვალა: თუ ირწმუნებ მაჰმადს, ჩემ ცოლობის ღირსად გაგხდი, თუ არა და ხარჭად მეყოლებიო!

თამარმა ფიცხლავ შეიყარა ლაშქარი ჯავახეთს, წაუძღვა ვარძიას, შეავედრა ღვთისმშობლის ხატის წინ, ჯვარპატიოსანს აამბორა, ჯვარი გადასახა და გაისტუმრა, თან ნუქარდინს მოციქულებიც გაუგზავნა მოვდივარო. თვითონ მრავალი ეპისკოპოსებით მოვიდა ოძრხეს, თან ჰყვანდა მგოსანი

იოანე შავთელიც, კათალიკოზი თევდორე და სხ. მთელს საქართველოს მონასტრებსა და საყდრებს იყო ლოცვა-ლიტანიობანი ქართველთა გამარჯვებისთვის. მივიდნენ ბასიანს, საცა მტრის უამრავი ლაშქარი იდგა ადგილსა ბოლოსტეკეს უამრავ კარვებითა, სრა ფარდაგებითა, ცხენებითა, ჯორებითა, აქლემებითა. შეუტივეს მტერს მესხეთის მეომრებმა, მათ მიჰყვა დავითი. გაჩაღდა საშინელი ბრძოლა, ჩეხა-კაფა. მალე შედრკა მაჰმადიანობა. გაიქცნენ, ვისაც შეეძლო გაქცევა. დანაშთენი გაჟლიტეს ან დაატყვევეს. უსაზომო ალაფით დაბრუნდნენ თამარის წინაშე. იმდენი ტყვე იყოო, რომ თითო ქრისტიან მეომარზე 100 ტყვე მოდიოდაო.

მემატიანე უმატებს: თავზარ-დაცემულნი თვითონვე იბოჭავდნენ თავს, ერთის საბლით ერთის კაცის მიერ შეიკვრებოდაო ოცი ტყვე. დავლა აქაც აუარებელი დარჩათ. დატვირთულნი ტყვეთა სიმრავლითა, ცხენ-ჯორთა ჯოგებითა, ოქრო-ვერცხლითა და სხ. მოვიდნენ სამცხეს და იქიდგან თამართან ერთად დიდებით შემოვიდნენ ტფილისს. რაღა თქმა უნდა, შეიქმნა სიხარული უზომო. ტყვე დიდებულებიც თამარმა პატივით ისტუმრა, მერე სხვა და სხვა ციხეებში წარგზავნა. მარტო ეზინკის მთავარი შეაგდო ტფილისის ციხეში და მერე გაყიდა და მის ფასად აიღო მხოლოდ ცხენის ნალი.

სახემწიფო საგანძურები აივსო ოქრო-ვერცხლით, ძვირფას ჭურჭლით თვალ-მარგალიტები იმდენი მოიტანეს, რომ მას აღარ თვლიდნენ, არამედ სწყავდნენ. უთვალავი იყო აგრეთვე ოქროქსოვილობა, ფარჩეულობა და სხ. ამის შემდეგ სამეფო პალატში იხმარებოდაო არა ვერცხლის ჭურჭელი, არამედ ოქროსი და ბროლისა, ინდიურ ქვით შემკობილი. თამარმა წიაღ-კალთა აუვსო ღარიბებს, ქვრივ-ობლებს, მრავალი უძღვნა ეკლესიებს და ყველას.

ამ ბრძოლას და ეზინკელ ტყვეს ჩახრუხაძე უძღვნის ორიოდე სტრიქონს (14,18): თამარ, შენ უბრძანე სპათა, გაამხნევე თავი დასდონ სჯულისთვის. დაასკვნეს ომი. წა-

უძღვა ლომი (დავითი) დავითის მიბაძებულად მხნედ და სვიანად აგარიანად. მიუხდეს ზედა ზედიზედა. მათ ივაგლახეს, თავი მცდრადა ქმნეს, ცნობა ვნებულად განიბნივნენ, განდრკენ მეოტნი. შეიქმნა შიში ზარ-აღებულად. თამარო, თქვენგანმან ოცმან ბევრისა მხოცმან სძლო სპარსთა მათთა დამატებულად. არ იცის ერთმან ათასი ერთმა მით წარიქცივნა მიდევნებულად. მაჰმადის ერნი უკრავ, უომნი მოსრნეს, მოსწყვიტეს განქიქებულად. აღივსნეს ტყვითა, ლარ-პირუტყვითა, არ დარჩა კაცი არ შოებულად. **ეზინაკ**ს მფლობი ჰგავს შესწრებულად: უარჰყოფს თნებით: „არ მოვეთ ნებით, ვიყავ უნებლივ მოყვანებულად“.

ასე მართლულობდა .თავს ტყვედ მოყვანილი ეზინკის მფლობელი: ჩემი ნებით კი არა, ნუქარდინმა მალით გამოიყვანაო ქართველთ წინააღმდეგ, მაგრამ მას თამარი ალბად

უწყრებოდა უფრო იმიტომ, რომ მან პირველმა მიიღო კოს-
ტანტინეპოლიდამ 1190 წელს დაბრუნებული რუსი გიორგი
(ქ. ცხ. 293) და მისცა შეძლება შემოსულიყო კლარჯეთ-
იმერეთს და ამბოხება მოეწყო თამარის დასამხობად. ამიტო-
მაც მის სავსებით დასამცრობად თამარმა გაყიდა იგი ნალის
ფასად: ნალზე გასცვალა.

15. კარის (ყარსის) დაპყრობა 1207 წ.

ტრაპიზონის აღებისა და პონტო-ჭანეთის სამეფოს და-
არსების შემდეგ საკმაო მშვიდობა მიეცა საქართველოს. თა-
მარი თავის ქმარ-შვილით ვლიდა სამეფოს ყოველ ყურეს,
თავის თვალით განიცდიდა ადგილობრივ ხალხის მდგომარეო-
ბას, თავის ყურით ისმენდა ყველას აჯა-თხოვნას და იქვე
მიჰფენდა სამართალს, იქვე ულხენდა დასალხინებელს. უმე-
ტესად კი უყვარდა ყოფნა გელათსა და აჯამეთს, საცა მეფე
დავითი ნადირობდა ხოლმე. მერე გადადიოდნენ კოლას, ჯა-
ვახეთს, სომხითს და სხ. ხარკი მოსდიოდათ განჯიდამა და
მის აღმართ ქალაქებიდამ, ნახჭევნიდამ; კოლაში მისულებს

ხარკი მოსდიოდათ კარნუ ქალაქით (არზრუმით), ეზინკით
და სხ.

მხოლოდ აწუხებდა თამარს ის, რომ სიმაგრე კარისი
ჯერ ისევ სპარსელების ხელში იყო. თამარმა გაგზავნა დავით
მეფე და უბრძანა კარისი უსათუოთ დაეპყრა, თვითონაც
ლაშა-გიორგი წაიყვანა და წავიდა ჯავახეთს, რომ თვალ-ყუ-
რი ადევნოს ბრძოლის მსვლელობას.

კარისს რახანია ქართველები შემოსდგომიოდენ გარეშემო
და მარტო ციხე-ღა იყო მტერთა უფლებაში. მივიდა-რა მე-
ფე დავითი, პოვა ციხეში შემდინარე ხევის სადენი, გადასჭრა
იგი და გადუგდო წყალი. უწყლოდ დარჩენილი ხალხი გამო-
ვიდა ციხე-ქალაქიდამ და დანებდა დავითს. ციხელებმაც შე-
მოუთვალეს: მობძანდეს თვით თამარი შვილთთ და ციხის
კლიტეებს მოვიტანთ ლაშა გიორგის წინაშე. მოიყვანეს თა-
მარი. კლიტეები გადმოსცეს და თან ითხოვეს, ნუ დაგვხო-
ცავთო. ლაშა შევიდა და ჩაიბარა ციხე-ქალაქი.

არაბთა მწერლები (მოამბე 1898, № 1, 25): „1206-7
წ. ქართველებმა აიღეს ქელათისაგან დამოკიდებული სიმაგრგე
ყარსი. ვიდრე აიღებდნენ, გარს ერტყნენ დიდხანს. ძალიან
შეავიწროვეს მცხოვრებნი და რამდენიმე წლის განმავლობაში
ხარკს იღებდნენ. მათ საწინააღმდეგო ძალა არსად იყო“.

16. არჯიშის აღება (1208 – 9 წ.).

არაბთა მწერლები (მოამბე 1898, № 11- 26): „ქართ-
ველები დიდძალ ლაშქრით მოვიდნენ ქელათის ქვეყნისკენ და
ქალაქ არჯიშს მიუხტნენ. გარს შემოერტყნენ. მალე მისწუ-

რეს. აიკლეს ყოველი სიმდიდრე და სავაჭრო, რაც კი იყო, დაატყვევეს ყველა მცხოვრებნი. მერე ქალაქი დასწვეს და დაანგრიეს. უდაბნოთ იქცა დიდი და მდიდარი ქალაქი. არჯიში სომხეთშია, მაგრამ სომხეთის მეფე ნეჯმ-ედდინ-აიუბი იმ დროს ქელათში იყო და თუმცა ლაშქარი ბევრი ჰყავდა,

მაგრამ ქართველებს არ შეება. და ამის გამო ქართველებიც დიდძალ დავლით უვნებლად წავიდნენ თავიათ ქვეყანაში.

1210 – 11 წელს ქართველთა ლაშქარი ისევ მოვიდა ქელათისკენ, ეცნენ ქალაქს და შიგ შეიმწყვდიეს მეფე მელიქ-ოჰადი. ამ დროს ქართველთა სარდალი (ივანე მხარგრძელი, რომელიც მთვრალი იყო, მარტო 20 მეომრით ქელათისკენ წამოვიდა, მაგრამ მთვრალი ცხენიდამ ჩამოვარდა, დაატყვევეს და ქელათში შეამწყვდიეს. გარნა მალე იგი გაანთავისუფლეს, რადგან თავისი ქალი (თამთა) ცოლად მისცა ოჰადს და დაუბრუნა რამდენიმე ციხეც და 5000 ტყვეც გაუნთავისუფლა (გვ. 28).

17. არდებილის დარბევა (1210 წ.).

არჯიშის აღების მცირე ხნის შემდეგ გარდაიცვალა დავით სოსლანი. დაქვრივებული თამარი წავიდა გეგუთს, რომ იქ გაეტარებინა დიდ-მარხვა და იქვე ედღესასწაულნა ბრწყინვალე აღდგომა. სწორეთ ამ აღდგომის დღეს არდებილის სულთანი თავისი რაზმით შემოიპარა ქალაქ ანისს, წირვაზე მდგომ სალხს დაესხა, ამოხოცა 12,000 სული, გაძარცვა მცხოვრებნი და საჩქაროდ გაბრუნდა და არდებილს მივიდა (1209 წ.).

დიდათ შეწუხდა თამარი. უბრძანა სპასალარს, შეეკრიბა ლაშქარი ჯავახეთისა, კახეთისა და სომხითისა ჯავრის ამოსაყრელად.

გრიგალ-ქარულად გავლეს ქართველებმა გელაქუნი, ისპიანი, გადავიდნენ ხიდზე და მიესივნენ არდევილს სწორედ იმ დროს, როდესაც მაი მყივარი მაღალ მინარეთიდამ ახარებდა არდავლელებს მაჰმადიანთა აიდის დღესასწაულის გათენებას და მოუწოდებდა სალოცავადა. ქალაქი მყის აიღეს, 12,000 ამოხოცეს, დაარბიეს ქალაქი და აუარებელ ალაფით დატვირთულნი დაბრუნდნენ წინაშე თამარისა, რომელიც მაშინ იდგა კოლას. სამეფო კვლავ აივსო სიმდიდრით.

18. შესევა სპარსეთს (1210 – 11).

თუმცა ქართველები ყველგან იმარჯვებდნენ მოსეულ მტრებზე, მაგრამ იგინი მაინც არ შოშმინდებოდნენ და ხან ერთ და ხან მეორე კუთხეს ქურდულად ეცემოდნენ. მათ დასაშინებლად და ერთხელ და სამუდამოდ ასალაგმავად თა-

მარმა მოინება, სარდლების თხოვნით, გალაშქრება ხორასანს. შეიყარა სამეფოს მთელი ლაშქარი და ზაქარია მხარგრძელის წინამძღოლობით წავიდა სპარსეთისკენ. დროშა გორგასლიან-დავითიანი თამარისაგან ჩაბარებული ჰქონდა იმავე მხარ-გრძელს. იყო შემოდგომა, სთვლის ჟამი. ნახჭევნით გავიდნენ ჯუღას (ჯულფას), დარადუზის ხევით მივიდნენ **მარანდას**, დაშინებული მარანდელები წინათვე გაქცეულიყვნენ და მთებში დამალულიყვნენ. სპასალარმა მათ წინააღმდეგ გაგ-ზავნა თაყიადინ თმოგველი. დაიმორჩილეს იგინი და წავიდ-ნენ **თავრიზს**. ამ ქალაქმაც წინააღმდეგობა ვერ გაუწია ქართ-ველებს, დიდძალ ოქრო-ვერცხლითა და ხარკის მოცემის აღთქმით მოქალაქეებმა მოიპოვეს თავისუფლება. დააყენეს აქ მცველები, გადავლეს ადარბადაგანი და მივიდნენ **მანას**. მა-ნელებმა სასტიკი ბრძოლა აუტეხეს. მაგრამ ქართველებმა მა-ლე გახვრიტეს ციხის ზღუდეები, შეცვივდნენ და აიღეს მანა. გასწიეს **ხორასნისა** და **ყაზვინისკენ**, აიღეს და აივსნენ. მერე მივიდნენ **გურგანს**. ვერავინ ვერ იკადრა წინააღმდეგობა, ვერც ხორასან-ერაყის სულთანმა და ვერც სხვამ. ამას იქით სვლა აღარ შეეძლოთ, რადგან აივსნენ ნადავლით, ურიცხვ ცხენ-აქლემით და სხვა საქონლითა თუ სიმდიდრით. გამო-ბრუნდნენ იმავე გზით, რომლითაც გავლეს. მანას მელიქი შეიპრეს და ტყავი გააძრეს, რადგან მოეკლა იქ დაყენებული ქართველი მეციხოვნეები. ასრე ზარითა და ზეიმით მოვიდნენ ტფილისს.

ტახტზე მჯდომარე თამარს ეახლნენ სპასალარნი, თა-ვადნი და დიდებულნი, ყველანი დასხდნენ წესისამებრ, და

მეფეს მიართვეს ნაალაფევი, რომლის სიდიდეს და ფასს ენა ვერ გამოსთქვამდა. თამარმა კვლავ განიკითხა ქვრივ-ობოლნი და ყველანი.

არან-სპარსეთს გალაშქრების ამბავს გადმოგვცემენ მოს-ნებიც.

გორგასლიანი-დავითიანი დროშა
იახლის მსვრელად მტერთათვის (შავთ. 31)
თამარო
ხარ კეისარი, სარკე, ის არი
სიმდიდრით ლაღი, **ჯიმშედს** (– სპარსეთს) მფლობელი!
ჯუღაც (– ჯულფა) ასე ფქვევ, მოსვრითა სეფქვევ,
ბრჭალი ჰქმენ მათზედ მეოტ მყრობელი (შავთ. 35)
შავთელი აქ მოიხსენიებს-ებს მოსი-ს, ე. ი. მე-ოს ს = ოსს
მ-ოსიმ ახოს მოსიმახოსა
მახვილი თქვენი (თამარის) მტერთა მწყობელი (35).

აქ მგოსანი დავით სოსლანს ადარებს ებრაელ მოსიმა-ხოსს, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის ჯარში ყველა გმირს სჯობნიდა (იხ. იგივე ქ. ცხ. 306).

ჩახრუბაძე (33):

წაუღე რანი, წაუღ ერანი,
ყელსა დასახენ ჩამომდებარე
მიუშვენ ოდეს, მიუშვენოდეს
ამბერდად რად ვთქვნე იგი მე ბარე!

19. შოთა რუსთაველის მონაწილეობა თამარის ომებში.

შოთას მონაწილეობის ამბავი თამარის ლაშქრობა-ომებში არჩილ მეფეს, როგორც თვითვე იუწყება („არჩილიანი", გვი 132), ამოუღია 1681 წელს „საქართველოს ცხოვრებიდამ“.

რომელს ომშიაც რეულა შოთა, იმის ამბავს არჩილი მოგვითხრობს პირველის პირით.

70

1) თურქებთან ბრძოლა შავშეთს: ხმლით, შუბით, ისრით ვიბრძოდით (შოთას სიტყვებია არჩილის ცნობით).

2) გელაქუნის ბრძოლით... მოვედით მეფის წინაშე. გვიქებდა ყმათა ძალებსა.

3) განძასა და მთასა მასისისასა (1192 წ.) გადაგვხდა ჩვენ ომი ძლიერი... გავაქციეთ და მივყევით...

4) იმერთა მეამბოხეების წინააღმდეგ შოთა იბრძოდა როგორც ერთი მომხრე თამარისა (1194 წ.); ადრე დავთმე თავი ჩემი პატრონისთვის მოსახმარათ. მეცა მათი (თამარის მომხრეების) თანამხლებელი... გავვლეთ, მივედით ჯავახეთს... გავედით ხიდსა მტკვრისასა, მივყევით, დევნა ვუყავით, ნიალის ველსა ვეწიეთ, შუბები ხორცთა ვუყავით... მოვედით გამარჯვებულნი.

5) ბარდავის ომი (1195 წ.): ვილაშქრეთ, მოვარბიეთ ბარდავი... მას აქეთ თვეც არ გამოსულა, წავედით, არზრუმსა და კარისაკენ ვიარეთ. მოქალაქეთ ციხის მცველთ ყოფა გავუმწარეთ. გამარჯვებულნი მოვბრუნდით.

6) შამქორის ომი სწარმოებდა შოთას მონაწილეობით.

7) ხორასნის ლაშქრობა შოთას მონაწილეობით... მეც თან ვახლდი. ვიშოვნე მრავალი. წავედით ნახჭევნის გზასა. გავვლეთ, მივედით ჯულასა (ჯაღას=ჯუღას=ჯულფას). საცა მივედით, შიშითა შეიქმოდიან თრთოლასა. 500 სსა რჩეულსა გვიჩინეს (სარდლებმა) მთავრად თმოგველი თაყიადინ. მარანდის მთაზე ავედით.

ბოლოსტიკეს და სხვა ომებში შოთა არ რეულა.

20. დაპყრობილ ადგილების გამგეობა.

აქ ვათავებთ თამარ მეფის ლაშქრობის ამბავს. დაპყრობილ ადგილებში, მეტადრე ციხე-ქალაქებში მეფის ბრძანებით დგებოდა ქართველთა ლაშქარი. მაგ. კარისი რომ დაიჭირეს, მისი გამგეობა ჩააბარა იოანე ახალციხელს და თან მიუბოძა ათაბაგობა (მეფის მომდგილეობა) და ამირათ-ამირაობა. მის

მბრძანებლობას ექვემდებარებოდა გარემო ადგილებიც (ქარ. ცხ. 318).

რაღა თქმა უნდა, ამავე დროს დაპყრობილ ციხეებში ქართველი სამღვდელოებაც იწყებდა მოღვაწეობას, მეტადრე თუ ამ გვარ ციხე-ქალაქში მკვიდრნი ქრისტიანები იყვნენ. ანისში, მაგ., 1216 წელს ამირობდა ბაჰრამი და იქ მაშინ უფლობდა ქართველი კათალიკოზიც, რომელსაც იქ აუგია ეკლესია დბა მის ქვაზე დაუწერი: „...მკვიდრნო ანის ქალა-ქისანო ქართველნო, რომელნი პირველად დიდად პატივცემ-დით მღვდელთა, გიხმს ლოცვაჲ და წირვაჲ. ნუ გეწყინების მათთვის ძალისაებრი მისაცემელი; უფროსად მხიარულებით მისცემდით, თვინიერ დაპირებისა“.

ამგვარად სამოქალაქო და სასულიერო წოდება ერთად და თანხმოვანად განაგებდა დაპყრობილ ადგილებს.

21. ფხოელთა და დიდოთ დამშვიდება (1212 წ.)

ხორასნის ლაშქრობის შემდეგ გარდაიცვალა ზაქარია ამირსპასალარი. მის თანამდებობა თამარმა მიუბოძა მის ძმას ივანეს. მაგრამ ამ ცბიერმა მოითხოვა უმეტესი ჯილდო: დი-დი სულტნები თავიანთ პირველ მოხელეებს ათაბაგობით აჯილდოებენ და მეც მიბოძეთ ათაბაგობაო. სამწუხაროდ, თამარმა უსმინა მას და მისცა ათაბაგობა, რომელიც შემდეგ-ში შეიქმნა მიზეზად საქართველოს უკეთეს კუთხის სამცხე-საათაბაგოს გათიშვა-განდეგილობისა.

ამ ხანს თამარმა მიაქცია ყურადღება ფხოელ-დიდოელე-ბის ცხოვრების მოწესრიგებას. მემატიანე ამბობს: „დიდონი მშთვარსა და უხარშავსა ჭამენ, მრავალნი ძმანი ერთსა დედა-კაცსა მოიყვანებენ, ცოლად, რომელნიმე უჩინარს რასმე ეშ-მაკს თაყვანის-სცემენ და ზოგნი უნიშნოსა შავსა ძაღლსა, და ამას ესე ვითარსა ჰყოფენ. ხოლო ფხოელნი ჯუარის მსა-ხურნი არიან და ქრისტიანობასა იჩემებენ“. აი ამისთანაებმა იწყეს ქურდობა, რბევა, ხოცა. თამარმა უბრძანა ამირსპასა-

ლარს წაეყვანა ერწო-თიანელნი და სხ. მთიელნი და მოეწეს რიგებინა უბადრუკთა ცხოვრება. მივიდა ლაშქარი ივნისს და აგვისტომდე დაასრულაო დავალებული საქმე. მაგრამ საეჭვოა, რომ ამ ლაშქრობას რაიმე ცვილილება შემოეღო ფშავ-ხევ-სურეთ-დიდოეთში: ამ ხალხის ცხოვრება, როგორიც იყო გალაშქრების წინად, იგეთივე ჩანს გიორგი ბრწყინვალისა და ვახუშტის დრო-ჟამსაც, ხოლო ფშავ-ხევსურნი რომ „ჯვრის პატივცემით ქრისტიანობას ჩემულობდნენ“, დღესაც ამ მხრივ არ შეცვლილან: ახლაც იქ გაჩაღებულია თაყვანისცემა კოპა-ლასი, ხახმატისა ზედ-დართვით თვით თამარ მეფის ჯვრისა და მის ძის ლაშა-გიორგის სალოცავისა, ქრისტიანობით კი თა-

ვიანთი თავი უკეთეს ქრისტიანებად მიაჩნიათ. „თამარ-მეფის საჯვარეზე" ეხლა-ხანს ეპისკოპოს ანტონიმ აკურთხა პატარა ეკლესია პატივად წმ. დედოფლის თამარისა.

IV. თამარ მეფის გარდაცვალება.

არაბთა ერთი მწერალი ამბობს: „მაჰმადიანთათვის ქართველთა წინააღმდეგ საბრძოლად შველა აღარ იყო. მაგრამ მოხედა ღმერთმან ისლამს: მოჰკლა ქართველთა დედოფალი, ქართველებში უთანხაოება ჩამოაგდო და დაიფარა მათგან მუსლემლემინნი" (თარგ. მოამბ. № 1, 25).

რაღაც დედობრივი სენი გამოაჩნდა თამარს მაშინ, როდესაც დასასვენებლად ბრძანდებოდა ნაჭარმაგევის სასახლეში. თან ჰყვანდა დიდებულებიც. სატკივარს დიდხანს ჰფარავდა მორცხობის გამო, მაგრამ სატკივარმა კი თავი არ დაიმალა. შეიქმნა დიდი მწუხარება. იწვიეს სამეფოს ყველა გამოჩენილი ექიმები, მაგრამ მათმა ხელოვნებამაც ვერა არგო-რა. ჩააწვინეს დიდებული ავადმყოფი კუბოში. ე. ი. მოაბაში (სატარებელ ტახტში), ასწიეს დი მოიყვანეს ტფილისში, აქედგან წაიყვანეს დასოს, ე. ი. ტყე-ჭალიანს. ეგონათ ჰაერი უშველისო. შეღავათი რომ არ მიეცა, მოიყვანეს თფილ ჰავიან

აგარას ციხეში. მაგრამ ყოველი ცდა ამაო შეიქმნა. ზეცამაც არ შეისმინა მისი განკურნებისთვის აღვლენილი მხურვალე ლოცვა-ვედრებანი გლეხისა და გლახაკისა, ქვრივისა და ობლისა, მამათა და დედათა, დიდებულთა და მცირებულთა, ყოვლის ერისა.

იწყო მზემან დასვლად.

ჰაერმან სხვად ფერად უფერულობა.

ცის კარს დღისასა იხედა იწყეს შემოსად ბნელთა ღრუბელთა!

ღაწვთა მათ ვარდოვანთა იწყეს დაჭნობად.

თვალთა მათ ტბათაებრ მზისა შემცხრომელთა სიმრუდედ მიმართეს.

ხელთა მათ მსახურებისაგან გლახაკთასა არაოდეს დაცხრომილთა იწყეს მოუძლურებად,

ფერხთა მათ მარადის ღვთისათვის მაშვრალთა იწყეს შედრეკად.

ყოველნი ნიშნი ცხოვრებისანი სხვა და სხვად ფერად იხილვებოდეს.

ზოგადმან უღონოებამან მოიცვნა ყოველნი და არა უწყოდეს, თუ რამცა ყვეს.

მთავარნი იცემდეს პირთა.

გლახაკნი იტყებდეს თავთა.

ისხმოდიან თავთა ნაცარსა და მტვერსა.

მოიწია განკითხვის წუთი. ავადმყოფმა პალატში შეიწვია ყველანი, წამოიწია სარეცელზე, გადახედა ყველას. დალო-

ცა, და წარმოსთქვ:ა „ძმანო და შვილნო, აწ მივიწოდები უხილავისა მიერ“, და აღმოუტევა სული წრფელი, მეტყველმან:

„ქრისტე ღმერთო, შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა, და ერსა ამას პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემსა“.

ასრე „აღესრულა მზე ქართლისა“ 18 იანვარს 1213*) წელს ისნის სასახლეში, ტფილისს.

საწუხმლ იქმნაო პირი ქვეყანისა.
ყველამ აღიპარსაო თმა.
ვაების სმისაგან ქვესკნელიც კი შეიძრაო.
ერთან ერთად იგლოვდაო თვით ცა და დედამიწა.

გლოვის შემდეგ მიასვენეს მცხეთას – ერმა თაყვანი სცა. რამდენიმე დღის შემდეგ იქიდგან წაასვენეს გელათს და იქ დამარხეს მამა-პაპათა სამარხავში.

„ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა,
სად როშ დაჰკრძალვენ წმიდათ სხეულსა**).

ასრე გამოეთხოვა ეს ადამიანი საქართველოს, დიდებული და თან, პოეტის თქმისა არ იყოს, „სიმაღლით ცებრი, სიუხვით ზღვებრი“!

V. საზოგადო განხილვა თამარის მეფობისა და დასკვნა.

თამარის ბრწყინვალე მეფობა დაიწყო ერთ უაღრესად დიდმნიშვნელოვან კითხვის აღძვრით მე მოგახსენებთ შესახებ იმ დიად კითხვისა, რომელიც გამოიწვია საქართველოში პარლამენტისებრ წეს-წყობილების შემოღების სურვილმა თამარის მეფობის პირველსავე წელს, მაგრამ რომელიც ვერ განხორციელდა, რადგან სახელწიფოს მამა-პაპურ წეს-წყობილების შეცვლას სარჩულად დაედო კერძო პირთა (ფეოდალებისა, მთავრების) სარგებლობა და არა ყველა წოდებათა და მთელის ქვეყნისა.

თქვენ გაიკვირებთ, რომ აზიაში 1185 წელს პარლამენტის დაწესება სურდათო, ე. ი. მაშინ, როდესაც ჯერ პარლამენტარულ წეს-წყობილების დედა-ბუდე ინგლისშიაც არ

*) სამწუხაროდ, ეს თარიღი ჯერ ხნობით სადავოა, რადგან თამარის სიკვდილის წლად ზოგს მიაჩნია 12I2, ზოგს 1211. არსებობს 1210 წლ. ფული თამარისა.

**) შავთელი 105.

იყოო შემოღებული აგრედ-წოდებული magna charta libertatum-ი („თავისუფლებათა დიდი ქარტა“), განხორციელებული მხოლოდ 1215 წელს! მაგრამ საქმე საქმედ რჩება და

გაკვირვებას რწმენად აქცევს ჭეშმარიტად მომხდარი ამბავი.
ხსენებულ 1185 წელს დიდგვარიან თავადებმა და მთავ-
რებმა თამარს წარუდგინეს მოთხოვნილება, რომ იგინი დამ-
დაბლებულ არიან უგვაროთა და უაზნოთა ამაღლებით და
სათანადოა ისევ დაუბრუნდეთ ძველანდელი უფლებები. ამის-
თანა მოთხოვნილების წარმდგენელთა შორის, როგორც
სჩანს, უნდა ყოფილიყვნენ დიდგვარიანი ქართველები და
ყველა ისინი, რომელნიც მომხრეობდნენ თამარის მამის
გიორგის მეტოქე დემნა ბატონიშვილს – საქართველოს ტახ-
ტის კანონიერ მემკვიდრეს, და რომელნიც სასტიკად დაი-
საჯნენ განდევნითა თუ სხვათა სხვა უფლებათა მოკლებით
და დამდაბლებით იმათთან შედარებით, რომელნიც თავდადე-
ბით ემსახურებოდნენ გიორგი მეფეს დასამხობად მის ძმისწუ-
ლის დეგნასი. აგეთები, სხვათა შორის, იყვნენ ჭიაბერი, ყუ-
ბასარი, აფრიდონი და სხ., რომელთაგან ზოგიერთის გადაყე-
ნება აწ მოითხოვეს თამარისაგან. მაგრამ ეს ცოტაა კიდევ.
უკმაყოფილოთა მოთავე ყუთლუ-ასლან ჯაყელმა მოინდომა
შეეზღუდა თვითმყრობილობაც და თავის თანამგრძნობელებს
ურჩია:

დავდგათო კარავი ისნის ველზე,
თავისუფლად დავსხდეთო მასში:
მივცემდეთო და მოვიღებდეთო,
რომელთამე ვრისხავდეთ, რომელთამე ვწყალობდეთ,
მერე ჩვენს დადგენილებას წარუდგენდეთ თამარს
და იგი დაამტკიცებდეს ჩვენს განგებულს.

სიტყვით, ყუთლუ-ასლანს და მის მიმკერძავებს სურდათ
ხელში ჩაეგდოთ კანონმდებლობა და თამარისთვის დაეტოვე-
ბინათ მხოლოდ აღმასრულებელი უფლება.

ძნელია კაცმა სთქვას, სახელდობრ, ვინ და ვინ იყვნენ
ყუთლუს თანამგრძნობნი.
ინგლისის 1215 წლის „მაგნა ხარტა ლიბერტატუმ“-ის
განმხორციელებელნი იყვნენ მხოლოდ უმაღლეს სამღვდე-
ლოების, ბარონების და აზნაურების წარმომადგენელნი, რო-
მელთაც გამოითხოვეს უფლება: და ამ უფლების ძალით უმა-
თოდ ვისიმე შეპყრობა გაუქმებულად, ჩაითვალა აგრეთვე
მამულის ჩამორთმევაც და გამოსაღების გაწერაც უმათ და-
სტუროდ.
ჩვენშიაც იგივე ელემენტები (უმაღლესი სამღვდელობა,
თავადობა და აზნაურობა) უნდა რეულიყვნენ მეკარვეთა
დასში, ალბად, ნებართვით თვით კათალიკოზის მიქელ მი-
რიანისძისა, რომელსა „ყოველნი სძულობდესო“, შენიშნავს
მემატენე, რომლის გადაყენება მოინდომა თამარის მიერ
იმავე 1185 წელს მოწვეულ სამღვდელოების კრებამ. თვით
ყუთლუ-ასლანს ხომ უმაღლესი ადგილი ეჭირა მმართველო-
ბაში. სახელდობრ მეჭურჭლეთ-უხუცესობა, ე. ი. საფინანსო

მინისტერი იყო, ხოლო მოთხოვნილების წარდგენის შემდეგ ჰფიქრობდა ამირსპასალარობაც ხელთ ეგდო და აგრეთვე ლორეში დამჯდარიყო სომეხთ მეფის ადგილას. მათივე მომხრე უნდა ყოფილიყო ერისთავთ-ერისთავთ ტფილისის ამირთ-ამირა, რუსთავისა და მთიულეთის შვიდ ხეობათ პატრონი აბულასანი, სწორეთ ის, რომელმაც თავისებრ დიდებულებს ურჩია თამარისთვის მოეწვიათ ვიღაც უცნობი ყიფჩაღში გადმოხვეწილი რუსი, რომელიც მართლაც, მოიყვანეს თამარის ნება-დაურთველად.

თამარმა ყველა ეს იწყინა, რადგან „გულისხმა ჰყო მათი **სივერაგე** და **უკეთურება**“ და თავის „ერთგულთა და საკუთართა თანა განზრახვით“ შეიპყრა ყუთლუარსლანი მაგრამ ყუთლუარსლანს უკვე ჰყვანდა თანა-შეფიცულები და რაოდენიმე ლაშქარიც. ესენი წინააღუდგნენ თამარს, გადასწყვიტეს ყუთლუ გააშვებინონ, და მოემზადნენ: შემოადგნენ

ისნის სასახლეს. თამარს ძმათა სისხლის ღვრა არ უნდოდა. ჩამოუგზავნა მეამბოხეებს ორნი დიოფალნი: ქართლის ერისთავის რატის დედა ხვაშაქი ცოქელი და სამზივართა დედა კარავ ჯაყელი. ამათ დაანელეს ამბოხება და მით დასრულდა ქართული „პარლამენტის“ საქმე.

ამისთანა კითხვის აღძვრას, თუმცა მას თვითმყრობელობის შეზღუდვის მომიზეზებით ისეც მძლავრ ფეოდალ მთავრების უფლებათა გაფართოება ედო სარჩულად, ჩვენ მაინც დიად მოვლენად ვთვლით, ვინაითგან მან ჩვენში 30-ის წლით უსწრო თვით ინგლისის პარლამენტის დასაწყისს, ხოლო 80-ის წლით მის პირველ გახსნას ლონდონში (I პარლ. კრება გაიხსნა 1265 წ.).

ჩვენ ვფიქრობთ, თუ ესეთი მაღალხარისხოვანი კითხვა აღეძრათ ერის ჭეშმარიტ თანამგრძნობლებს და არა პირად სარგებლობის მეძიებელთ, დიდებული და ერის კეთილდღეობისთვის თავდადებული თამარ მეფე დაჰყვებოდა მათ სურვილს და შეჰქმნიდა მის სასარგებლო დაწესებულებას. მაგრამ, ვიმეორებთ, პარლამენტის დაწესების მთხოვნელებს გულში ედოთ არა კეთილდღეობა ერისა, არამედ მათ აწუხებდა შიში თავიანთ უფლების უფრო დაკნინებისა, რომელიც მოსდევს ხოლმე სახელმწიფოში მეფეთა ძლევამოსილობას და უაღრეს განდიდებას.

ასეა თუ ისე, ცხადია ერთი: თუ სახელმწიფო წეს-წყობილობის შეცვლის კითხვის აღძვრით პირად სარგებლობის მეძიებელ ფეოდალობა-დიდგვარიანობას თავისი გაეტანა, საქართველო რომელიც ერთ-ჰყო უდიდებულესმა ბაგრატ III-ემ სხვა და სხვა მთავართა და მფლობელთა ამოჟლეტით, ვიმეორებთ, ფეოდალობას თუ გაემარჯვა, ქვეყანა კვლავ დაიყოფებოდა მრავალ სამთავროებად და ესეთი დაყოფა და საწყისი იქნებოდა თვით საქართველოს დაშლა-დანგრევისა. გარეშე ძალა ისე აბობოქრებული იყო და ისეთი ბრაზით

იმუქრებოდა საქართველოს წასალეკად, რომ ამ ძალას დაყო-

ფილ-დანაწილებული საქართველო ვერ გაუძლებდა და, რაღა თქმას უნდა, ვერც განხორციელდებოდა თამარის მეფობა, ეს გვირგვინი ქართველთა „ოქროს საუკუნისა“.

ყოველ შემთხვევაში, აღძრული „საკარავო" კითხვა თუმცა ვერ განხორციელდა, მაგრამ მაინც იგი თავის უვარყოფილობითაც იქნება დამამშვენებელი თამარის მეფობისა და ამასთანავე დაშთება ბრწყინვალე კაბადონად მსოფლიოს საპარლამენტო წეს-წყობილობის ისტორიის დასაწყისისა.

გადავავლებთ-რა თვალს თამარის გავლილ მეფობას, ჩვენ ვხედავთ უზენაეს წარმატებას სახელმწიფოს ცხოვრების ყოველს დარგში და მარჯვე ხელს, რომელსაც უპყრია სამეფოს მოსამართავი საჭე, დიდებულ მეფეს, რომელიც მბრძანებლობს პონტოდამ გურგანამდე, სპერითგან დარუბანდამდე, კავკასიონის ამიერ არეზამდე და იმიერ ხაზარეთამდე და სკვითიამდე (ქ. ცხ. 283).

მამაც ერის თავისუფლების გასაქრობად მოსული მტერი მისდა სავალალოდ მარცხდება, ხოლო საქართველო უმეტესად ფართოვდება, უმეტესად ძლიერდება. და ეს ძლიერება ერს აგნებინებს, რომ ხსნა მტკიცე ერთობაზე ასვენ-აყუდია, რომ სამშობლოს დიდება მოითხოვს – ყველამ ერთისთვის და ერთმა ყველასთვის დასდოს თავი თვისი დაუზოგველად.

ომ-ბრძოლით მოგებული და შინაობაში შეძენილი აუარებელი სიმდიდრე წარამარად-კი არ იხარჯებ-იფლანგება, არამედ ჰხმარდება ერის კეთილდღეობის აღორძინების საქმეს; ხშირად მისი უდიდესი ნაწილი მიეძღვნება მდაბიოთა ცხოვრების გაუმჯობესებას ან-და მთელის წლობით ერის სახელმწიფო გამოსაღებისაგან განთავისუფლებას: „ხარკი ერსა თვისსა უკუნსცის და ყოველი ჭირი დაჭირებული აღიღის მათქან“ (ქ. ცხ. 325). ამავე შემოსავლით სახელმწიფოდ იზრდება სამზღვარ გარეთ ასიოდე ყმაწვილი, თვით საქართველოშიაც მრავალს სკოლებში, იყალთოსა თუ გრებს, მცხეთასა თუ გარეჯას, ხახულს, შატბერდსა თუ ოპიზას, იწურთნება ახალთაობა, ვი-

თარდება და უმაღლეს ხარისხამდე მიაღწევს ხელოვნება, მეცნიერება მჭევრმეტყველება, მგოსნობა და სხ.

მეფობის დასაწყისშივე დიდებული კახელი ნიკოლოზ გულაბერიძე, ერთხანს კათალიკოზად ნამყოფი, აღიმაღლებს ხმას და მოიწვევს საზოგადოებას „ღვთისა და თვისის უძლეველ მკლავის მოსპობის“ გარდა მიაქციოს უაღრესი ყურადღება გონების განვითარების საქმესაც, შეიძინოს „ჩვეულებაჲ ფილოსოფოსობისა და სწავლულობისა გამოძიებითა და ენამჭევრობითა“, გამოიკვლიოს თვისი წარსულის ამბები, ასწეროს ყველა მიუდგომელად და შთამომავლობისთვის გადასაცე-

მად აღბეჭდოს ქარტაზე.

მისი მოწოდება არ რჩება ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.

ქართველობა წინა ჟამებზე უფრო გულმოდგინედ და უფრო მხურვალედ ეწაფება ბერძენთა ფილოსოფიას, მეტადრე ნეოპლატონისმს. მათს ღვთისმეტყველებას, აგრეთვე აღმოსავლეთის ერების პოეზიას, და ესეთი კეთილი მოძრაობა ჰბადებს ისეთ დიდებულ ფილოსოფოს-მგოსნებს, ვით შავთელი, ჩახრუხაძე, რუსთაველი, და იგეთ საჩინო მწერლებს, ვით სარგის თმოგველი, მოსე ხონელი, ანტონი საღირისძე ქუთათელი, „დიდად განთქმული სათნოებათა შინა, ძლიერი სიტყვით და საქმით“, გარესჯის დიდი მოღვაწე ანტონი გლონისთავისძე. რომელიც თამარმა 1189 წელს დანიშნა ვაზირად და ჭყონდიდლად, ჩააბარა მწიგნობართუხუცესობა და მისცა ჭყონდიდი, სამთავისი და კისისხევი. ამ სასულიერო ვაზირის მოვალეობა იყო ზრუნვა შესახებ ერის განათლებისა და მეფისთვის მოხსენება ყველა იმისი, რაც ააყვავებდა სწავლა-განათლების საქმეს. იგივე მოახსენებდა მეფეს ყოველ ღარიბ-ღატაკთა შველისა და ხელის აღპყრობის საჭიროებას.

ამისთანა კეთილმოძრაობამ, ვიმეორებთ, ააყვავა ჩვენში ისტორიოგრაფია, მთარგმნელობა, პოეზია, ხელოვნება და სხ. ჩენმა მწერლემმა უკვე უწყოდნენ ოთხივე სტიქიონი ბუნებისა, ადამიანთა ცხოვრება-ურთიერთობის კანონები, ღირსე-

ბა ტურფისა და ვაგლახისა, ფასი პატიოსან შრომა-რუდუნებისა. მოკლედ რომ ვთქვათ, თამარის მეფობამ გამოსჭედა მეტად სანუკარი სახელმძღვანელო ცხოვრებისა და ეს სახელმძღვანელო შესდგება მხოლოდ ორიოდე სიტყვით:

– „მუშა მიწყივ მუშაკობდეს,
მეომარი – გულოვნობდეს“.

– „ლხინსა ვერ მოიმკი პირველ ჭირთა უმუშაკო“.

– „სიცოცხლესა ნაზრახსა სჯობს სიკვდილი სახელოვანი“.

და რახან ეს დებულებანი შეიგნ-შეიხორცა ერმა, კიდეც, თანამედროვის სიტყვით რომ ვთქვათ, „მოიმუშაკა, ღვაწლით მოიმკო სათნოებათა მჭელეულობა.

საქართველოს ძლიერებამ ფრთა გაშალა და მიაღწია ჯერ აქამდე უნახავ საზღვრამდე: ქართველმა მკლავმა შემუსრა მოსეული მტრის ძალა შამქორს და დაატყვევა თვით „მსოფლიოს“ მპყრობელ ხალიფას დროშაც, ქართველებმა მალე თვისი დროშა ააფრიალეს არა მარტო ანისს, კარისს, ბარდავს, არამედ შარვან-დარუბანდს, ტრაპიზონს, არზრუმს, დვინს, არჯიშს, კავკასიონის მწერვალებზე, და ამითაც არ იკმარეს, თვისი გორგასლიან-დავითიანი დროშის ზათქი და რიხი მოჰფინეს არეზს იქით თავრიზ-ხორასნამდე. „ქართველების საწინააღმდეგო შველა აღარსად იყოო", გაიძახის ერთი არაბელი მწერალი. ხალიფა იძულებული იყოო, დაუმატებს ჩვენი მე-

მატიანე, ეთხოვა თამარისთვის ბრძოლის შეჩერება და შვი-
დობის წილ ხარკი ეღო სულთნებისაგან. მართლაც დაიხარ-
კნენ. „ქრისტიანეთა ორღანონი (მხიარულად) ხმოვანობდეს
კიდით კიდემდე“.

ესე დაგვირგვინდა ზღვათა ქვიშაზე უამრავ მტერთა შე-
მოჭიდება შედარებით პაწია საქართველოსთან. ცხოვრების
სხვა დარგებშიაც გამარჯვებით ვლეს ქართველებმა.
კონდაკოვისა და ბაქრაძის მიერ მდიდრად გამოცემულს
წიგნში (Опись, I890) ჩართულია მრავალი თვალწარმტაცი,
ხელოვნების მხრივ, სურათი ხატებისა, წიგნებისა, ჯვრებისა

და სხ. ამათ შორის არის თვით თამარ მეფის გულზე საკიდი
ჯვარიც, რომელსაც კონდაკოვი სთვლის „უუძვირფასეს სიწ-
მიდედ საქართველოისა“ (გვ. 89). მისი ბუდე საოცრად მო-
მინანქრებულია. იგივე კონდაკოვი დიდის ქებით იხსენიებს
წყაროსთავის დიდ-შვენიერად მორთულ და მოხატულ სახარე-
ბას, რომელიც გადაწერილია 1185 წ. (გვ. 44). უმეტესად
შესანიშნავია ძვირფასად შემკულ-მოხატული ვანის სახარება
იმავე თამარ მეფის დროისა. აქ მოხატულობათ ამშვენებენ:
ზეიდან ჩამორბის ცხოველი წყაროს წყალი მრავალ ტოტად
გაყოფილ შადრევნად. წყლის დასალევად მოფრინვენ ფრინ-
ველები, მორბიან მოწყურებული სპილო და ლომი, ტურები
და მგლები, ფასკუნჯი და დევი ებანით (ქნარით), ხარი, მეხ-
რე აქლემით. აქეთ-იქით სამფსონი ხლეჩავს ლომს, ხოლო მი-
სი მხლებელი შუბს განაწონს დათვს. სვეტის თავები და
კვარცხლბეკები მორთულია თვეების გამოსახულობით, ასე:
მარტი – მხედარი, აპრილი – ჭაბუკი, რომელსაც უკავია ღო-
რი, მაისი – სარკინოზი სომს წყალს მინის წითელ ჭიქით,
ივნისი – მომმკელი, ივლისი – ამნიავებელი, აგვისტო – მიირ-
თმევს ყურძენს, ენკენისთვე – მიაქვს კალათა, ოკტომბერი –
ქორით, ნოემბერი – ორკბილა ორთით თხრის მიწას, დეკემ-
ბერი – მთესველი, იანვარი – ნადიმობს, თებერვალი – თბება
ცეცხლაპირას ნაბდით.

ქრისტე აკურთხებს 4 მახარებელს.

მახარებელი მათე სწერს. ქვეშ მოჩანს შობა ქრისტესი.
ზემო მორთულობა მახარებელი ლუკა და ხარება: თითისტა-
რით ხელში ღვთისმშობელი, რომელიც უცქერის ანგელოზს.

სახარების წარწერა: „ქ. ესე სახარებაი მე იოანე სა-
პყარმან და მლოცველმან წმიდის დედუფლის თამარისამან
ვიოფლე წერით.“

სასახლეები და საყდრები იმოსება შესანიშნავ სამკაული-
თა და ჩუქურთმით. ფასდაუდებელი, – ხელოვნებიხ მხრივ, –
ხატები იჭედება ისე, რომ მათი ელვარება დღესაც აოცებს
მხილველს. ერთი ამისთანა შენახულა ანჩისხატის ტაძარში

ზედ-წარწერით: „ქ. ბრძანებითა ღვთივ გვირგვინოსანისა დიდის დედოფალთ-დედოფლისა თამარისათა მე იოანე ანჩელმან რკინაელმან ჴელვყავ საშინელისა ამის ხატისა პატივითა მოჭედად. მფარველ-მცველ არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა. მოიჭედა ჴელითა ბექასითა. ქრისტე შეიწყალე“. ამავე ბექას მოიხსენიებს ტყავზე დაწერილი ანჩის სახარების წარწერა: ულირს ოქრო-მქანდაკებელად“ (Опись, კონდაკ.).

თამარის ღვთის მოყვარეობამ გაამრავლა საქართველოში საყდრების ისეც მრავალი რიცხვი. საცა მიბრძანდებოდა, თუ საყდარი არ იყო, შენდებოდა ახალი. აზეულას (კოჯორის) ახლო მდებარე კაბენის საყდრის ჩუქურთმები და ხვეულები ხუროთ-მოძღვრების საკვირველებად ითვლებოდა მანამ მას არ დაანგრევდა ბარბაროსი ხელი ამ რამდენიმე წლის წინად. ასეთივე ხასიათისაა ბეთანიის სამკაულობაც და ზოგიერთ სხვა ტაძრებისა. საზოგადოდ, ოქროს საუკუნეს, რომლის უზენაესობას წარმოადგენს თამარის მეფობა, ქართული ხელოვნება და ხუროთმოძღვრება მეტად აყვავდა. სპეციალისტი კონდაკოვი განმარტავს, რომ კავკასიაში აგრედ წოდებული „ქართული ხუროთმოძღვრება" დაუბადიაო გონიერ საზრისს. ნათლად სჩანსო, რომ ხურთმოძღვრების ნამდვილი ნაშთები არსებობენ საკუთრივ საქართველოში, საცა ესეთი ნაშთები ან სომხურებთან შედარებით ერთდროულია და ან მათზე ნაადრევიო. იგივე მეცნიერი დედამიწის პირზე უპირველეს ადგილს უთმობს ქართულ ხვეულ ხელოვნებას.

ხატებისა, წიგნებისა და საცმელის სამკაულად იხმარებოდა მრავალნაირი თვალ-მარგალიტი. თამარის დროს სამე--ფო აივსო ამ გვარ ძვირფას ქვებით, ვინაიდგან წინანდელ მამაპურს მიემატა კიდევ დავლად წამოღებული და ან ძღვნად მოტანილი თამარისთვის. ზოგი ისეთი თვალი იყოო, რომ სიდიდით უდრიდაო ბატისა და ქათმის კვერცხს, მტრედის კვერცხის ოდენი კი იმდენი იყო, რომ ქორწინისა თუ დიდ ნადიმ-ზეიმის დროს მუჭა-მუჭა მოჰფანტავდნენ ხოლმე სტუმრებისა თუ ერის ძღვნად. (სამეფო საუნჯეთა და თვალ-

მარგალიტის შესანახად მონგოლების შემოსევის ხანაში დანიშნული იყო ლეჩხუმში მიუდგომელი გორაკის ხომლის გამოქვაბული. აქ ინახებოდა ფასდაუდებელი ოქროს ჯაჭვი სახელით სალმასური, იქვე იყო ერთი უზარმაზარი თვალი სახელით გვრდემლი და ერთიც ისეთი დიდი მარგალიტი, რომლის მსგავსი სხვა იშვიათად თუ ვისმე ენახაო. ესენი წილად ხვდა ლაშას ძეს დავითს).

თამარის დროს უკვე ცნობილი იყო 56 ძვირფასი ქვა.
აი რაოდენიმეს სახელები: სარდიონი (ბერძნ. სარდიონ, ლათ. სარდიუს), ტბაზიონი (ტოპაზიონ, ტოპაზიუს), ზმური (სმირნა), სამარაგდე (სმარაგდოს), იაკინთე (ᲘᲘᲐᲙᲘᲜᲗᲝᲡ). = იაყუთი, საფირონი (საპფიროს), იასპინი (იასპის) = იაშმა, ლიგვირიონი (ლიგვირიონ), აკატი (აქატეს.), ამეთვისტონი (ამედისტოს,

რუს. ამეტისტ), ძოწეული (პორფირ-ფერი), ოქროქუა (ხრი-
სოლითოს, ხრიზოლიტ), ბივრილი (ბერილიონ), ბირიტი, ფრცხი-
ლი (ონიკსიონ. რუს. ონიქს), ლიგვირიონი (მწვანე ფერისა),
ანთრაკი (ანდრაკს), ანდამანტი, ბალახში (რუს. რუბინ),
ალმასი, ლალი, ფირუზი, ზურმუხტი, სადაფი (რუს. პერლა-
მუტრ), სეიდლანი, ლაჟვარდი (ლაზურიკ), მარჯანი (კორალლ),
ბრილიანტი, ქარწბი (გიშრის ფერი ქვა), ბროლი, კაპუეტი
(მწვანე), მზივი, ცისნატეხი (აეროლიტ), სარდაკი (სერდო-
ლიკ), მარგალიტი, ქარვა და სხ. ეპიფანე, კვიპრელი, რო-
მელმაც შეადგინა ისტორია ძვირფას ქვებისა – **თვალთაჲ**,
ამბობს, რომ თვალი იაკინთე მოიპოებაო „საზღვართა ქართ-
ლისათა და გორგანეთს და ქვეყანასა მას კასპთასა“. ეს წიგ-
ნი „თვალთაჲ“ ითარგმნა ადრევე და იგი უკვე ჩვენ დავ-
ბეჭდეთ მეათე საუკუნის ქრისტომატიიდამ.

ერის სულიერ ძალთა ასამაღლებლად საკმაოდ განვითა-
რებული იყო მუსიკაც. ქართველები ძველადგანვე გალობა-
მუსიკის მოყვარენი იყვნენ. ერთხელ ბერძენთა ელჩები დი-
დის ამალითა და მწყობრ მუსიკით რომ მოვიდნენ საქართვე-
ლოში, მათ დაკვრას აღტაცებით ეგებებოდა ხალხი. გზა და
გზა საგალობელ წიგნებით კი სავსე იყო საქართველო მეათე

საუკუნითგანვე სასულიერო, საერო და სამხედრო კილოები,
ხმები და ჰანგები უკვე შემუშავებულ იყო და დამკვიდრებულ
იყო, აგრეთვე არსებობდა მრავალი საერო და სამხედრო სა-
კრავები. თამარისა და მის წინანდელ დროის წიგნებში მო-
ხსენებულია 65 სამუსიკო საკრავი. აი ზოგიერთის სახელი:

ავილი=ავლი (ესაია 5, 12; იერ. 48, 36). მას უდრის
რუსული „цевница“. „ვითარცა ავლი თხრიდეს გული ჩემი...,
ვითარცა ავლმან იოხროს“ яко цѣвница звящати .

ათ-ძალი, ათსიმიანი საკრავი. ბერძნულშია დეკახორდი,
რუს-ში 10-струнный. ჩახრ. 37: „ფსალმუნთა მთქმენსა შენსა
სასმენსა ათძალი ჰქონდეს ქნარ სიტყვა რეკად.“

ბარბითი (შოთა 178, 472). ქნარის მსგავსი საკრავი,
რუს. ЛЮТНИ.

ბობღანი (ფს. 80, 2.) ბერძნულსა და რუსულშია „ტიმ-
პან“. იხ. კიდევ 1 მეფ. 10-5.

ბუკი (შოთა 46, 405) სამხედრო საყვირი. ლათინ. bu-
cina, bucca.

დაბდაბი=დაფდაფი=დაფი (შოთა 1390). რუსი ბარაბან.

დაჲრა (გურმ. 225) იგივე ებანი, დაფი.

დუდუკი, სალამური. ებანი (ფს. 56,8; 80, 2. „განიღვიძე
ფსალმუნითა და ებნითა“; „აღიღეთ ფსალმუნი, დაეცით ბობ-
ღანსა საგალობელი სახარულევანი ებნითა". უდრის ბერძნულს
კითარა, რუს გუსლი.

ეჟვანი (შოთა 762; ბალავ. 50; გამოსლვ. 28, 33-34,
წყობ. 160). რუს. ПОЗВОНОКЬ (გამოსლ. 28. 33-34), по-
гремушка.

ზროხაკუდი, ერთგვარი საყვირია.

იობელი=იობელისანი, მოკეცილი საყვირი. იხ. სოფერი.

ნა (შოთა 178), იგივე ნავლი, ნობი (იხ.)

ნავლა სამუსიკო საკრავი, ბერძნ. ნავლა (1 ნეშტი 15, 16), საბათი – ქნარი.

ნესტვი=ნესუტისი (2 მეფ. 1. 34; რიცხ. 31, 6); 3 მეფ. 1, 34; ფს. 97, 6), პირით ჩასაბერველი საყვირი, რუს.

ტრუბა. „ნესტვითა ჭედილითა და ხმითა ნესტვისა რქისათა ჰღაღადებდით“; ისუნავ. 6, 3-4 – „შვიდთა მღდელთა აღეხუნედ შვიდნი ნესტუნი იობელისნი... დაჰბერონ ნესტუსა მას რქისასა“.

ნობი=ნობა, ნავლია (იხ.) შოთა 405: ჰკარით ბუკსა და ნობასა".

ორღანო (ფს. 150): „აქებდით მას ბობღნითა და მწყობრითა, აქებდით მას ძნობითა და ორღანოჲთა=„ხვალიტე Წეგო ვ ტიმპანე ი ლიცე, ხვალიტე Წეგო ვო სტრუნახ ი ორგანე" – ბერძნ. ორანო...

სანთური, ებანი, ქნარი. რუს. გუსლი.

საფსალმუნე (ესაია, 15-12), ქნარი, დასამღერებელი დასაკრავი, რუს. პევნიცა.

სოფერი (I ნეშტ. 15-28) რქის საყვირი. რუს. როგ, ბერძნ. კერატინოს.

სპილენძ-ჭური, სპილენძის ნაღარა. ქ. ცხ. 278: თამარ მეფე რომ დააგვირგვინეს, მერე „ჰკრეს სპილენძ-ჭურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილათა" და შეიქმნა ზათქი და ზეიმი.

სტვირი – ფსტვირი (ბალავ. 78; 1 ნეშტ. 15-28; 2 ნეშტ. 29-26), რუსულშია ხან „ციტრა“, ხან „ტრუბა“, „დუდკა“, „სვირელ“.

ტაბლაკი (შოთა 435, 1156, 1484), მცირე ნაღარა, რუს. ლიტავრა.

ტაბლი (ქილ. 92) საქორე ნაღარა ხის ქერქისა და ტყავისაგან გაკეთებული.

ფანდური – ფანტური (ამირან დარეჯ. 34, 1 ნეშტი 15-I6): „დაადგინენით მგალობელნი ფსალმუნითა, ფსტვირითა და საგალობელითა ნესტვითა და ფანდურითა და წინწილითა ხმითა მაღლითა და ხმითა სიხარულითა“. იგივეა ლათინური pandura. ფანდურება – pandurizare.

ფსტვირი (2 ნეშტი 29-26): „დადგეს ფსტვირითა და ნესტვითა, იწყეს გალობად... საყვირნი სტვირთათანა გალობდეს და ნესტუებსა სცემდეს“.

ქანარი (1 მეფ. 10-5), რუს-ში ტიმპან.

ქოსი (ვისრ. 14; შოთა 703, 1436), სჭილენძ-ჭური, სპილენძის ნაღარა; დიმპლიპიტო (თეიმ.)

ქოსნაღარა სპილენძ-ჭური, დიდი ნაღარა.
ქნარი (შუშან. ცხ. 188, ესაია 15-12; შოთა 1574; ჩახრ. 241, არფა, ლირა.
ღოროტოტო დიდი საყვირი, ბუკი.
ყვიროსტვირი (ვისრ. 28) კლარნეტი
ჩანგი (ბალავ. 78; ვისრ. 208; შოთა 101, 120, 472, 704) თითებით საკრავი სიმებიანი დასაკრავი.
ჩანგური – ჩანგი – ჩონგური.
ჩაღანა (შოთა 101, 704; ქილ. 69). ჩონგურის მსგავსი საკრავი, კასტანიეტკა. „გაბედითდა სიხარული, ჩაღანა და ჩანგი ტკბილი“; „სიმღერას ისმენდეს ჩანგისა და ჩაღანის პირით“.
წინწილი (ფს. 150; შოთა 46, 1100), კიმბალი ანუ ციმბალი, ლითონის ორი სიფრიფანა თეფში სატკრციალოდ. „ბუკსა ჰკრეს და წინწნლანი დაატკბობდეს ტკბილთა ხმათა“.
მწყობრი ეწოდებოდა ორკესტრს, დასი მგალობელთა გუნდს, ფსალმუნი ხმის ამაღლებას (ვოზგლას), ფსალმუნის აღება-დაგალობებას, სირინოზის ხმა მიემსგავსებოდა ზღაპრულს სირინოზების (სირენების) ტკბილ კილოს.
ფრიად საგულისხმიეროა მართლ მსაჯულების საქმე.
თანამედროვეების სიტყვით, თამარი იყო „სჯულისა ლარი, ქვეყნისა ლარი“ (69). „მსჯელო მსჯავრისა და სამართლისა (88), „თვით ბჭეა ბჭედი, მტკიცე ბეჭედი, მეწდე სიტყვათა სიმართლისათა“ (47).
მთელს საქრისტიანო ქვეყნებში უწინარეს დროითგანვე მოქმედებდა მოსე წინასწარმეტყველის კანონები „მეორე სჯული" და დაბადებისავე „წიგნი მსაჯულთა“. ამას შემდეგში მიემატა მოციქულთა დადგენილებანი, აგრეთვე მსოფლიო კრებების დადგენილება-კანონები. ეს დადგენილება-კანონები შეადგენენ ერთ უზარმაზარ წიგნს-ნომოკანონს, რომელიც

ძველათგანვე ითარგმნა ქართულად ქართველ მსაჯულების სახელმძღვანელოდ. ერთი ამისთანა უზარმაზარი წიგნი, რომელშიაც შეტანილია აგრეთვე რუის-ურბნისის კრების დადგენილებანი, გადაწერილია თამარის დროს. ამას გარდა, თამარის დროსვე მოქმედებდა ძეგლი ბაგრატ მეფისა, რომელიც ისეთი მოსამართლე იყო, რომ „მის მეფობაზე (უსამართლოდ) არა აფრინდა ყოველსა შინა მამულსა მისსა ერთიცა ქათამი“ (234). საგულისხმოა ამ ძეგლში შეტანილი მუხლები შესახებ ქალისა, ადამიანის პიროვნებისა, ურთიერთობის და სხ.
130. თუ კაცმან დიაცი აგინოს, 12 გლეხი დაუურვოს.
135. თუ კაცმან კაცს ცოლი წაუღოს, სრული სისხლი უზღოს.
140. თუ ცოლი დასნეულდეს, ქმარი ცოლის გვარსა არას ემართლების მისთვის, რომ მის ხელშიგა დამართებია.
165. რომელმან კაცმან ვინგინდანს მისი გვირგვინ-ნაკურთხი ცოლი წაუღოს და მოსტაცოს, სრული სისხლი

დაუურვოს.

შესახებ გლეხისა.

148. თუ უსამართლოდ პატრონმან ყმა გაძარცოს, 12 გლეხი დაუურვოს.

155. თუ გლეხნი გაიყარნენ, უხუცესსა ძმასა ან თავნი სახლი, ან ერთი ვენახი, ან უფროსნი ჭურნი საუხუცესოდ, სხუა შუა გაიყონ.

156. თუ მამა-შვილნი გაიყარნენ, შვილი მამულისა გაყოფასა არა ემართლების ამისთვის, რომე რა მამა მოკვდების, მამულსა შვილსა არას ემართლების. – მან სხვა მოიგოს მამის სიკვდილამდის.

168. ვინც ვენახი დასჭრას, ან ნაყოფიერი ხე, ან ყანა დათიბოს, წყეულ და შეჩვენებულ იყოსო, აგრეთვე ისიც, ვინც „ცეცხლი შეუდვას“ სხვის აგარას, მარანს, სახლს“, მოსახმარებელს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ წიკითხული ერთი მუხლი შესახებ იმისა, რომ ვიდრე მამა ცოცხალია, მის ქონებაში

შვილს მონაწილეობა არა აქვსო და „მამის სიკვდილამდის თვითონ სხვა მოიგოსო“, ეს იგეთივე წეს-ადათია, როგორიც დღეს იციან გერმანელებმა: რაკი შვილი წამოიზრდება, დაქორწინებენ და ცალკე დაასახლებენ, რომ თვითონვე გაისარჯოს, მოიგოს და იცხოვროს. ეს ფრიად გონიერ ადათად გვეჩვენება, რადგან კაცს ახალგაზდობიდანვე აჩვევს თვითმოქმედებას. ჩვენშიაც, როგორც სჩანს ბაგრატის კანონების ხსენებულ მუხლიდამ, ჯერ უწინარეს დროსვე ეს წესი განხორციელებული ყოფილა საქართველოში.

თამარის პაპის დროინდელ დადგენილებებში, რომელიც სახელმძღვანელოდ მიეცა საქართველოს ეკლესიას, არის ერთი მუხლი შესახებ ნეფისა და პატარძლის ერთურთან დაუსწრებლად ჯვარ დაწერისა მხოლოდ სანდო ვექილების დასწრებითა და მოწმობით. ამ კანონის ძალით, მაგ., ქუთაისში მყოფი სარძლო იწერდა ჯვარს თავის ტფილისში მყოფ დანიშნულზე, რომელსაც ჯვარწერის დროს მის მაგიერ გვერდით უდგებოდა მისი მდადე-ვექილი, და იმავე დროს მასვე (ქუთაისში მყოფ სარძლოს) გვერდით უდგებოდა მის ტფილისში მყოფის საქმროს მდადე-ვექილი. ამ გვარი კანონი დღეს არსებობს ამერიკაში.

სამეფოს მყუდროებას თამარმა მიაღწიაო არა სასტიკობით, არამედ ლმობიერებით. იგი მთელს თავის ცხოვრების დროს ხელმძღვანელობდაო დაბადების სიტყვით: „მშვიდთა დაიმკვიდრონ ქვეყანა და იშვებდენ მრავლითა მშვიდობითა“ (ფს. 36, 11).

მემატიანე ამბობს:

იგი „იყო შემხებელ ლბილობით,
და გამწურთნელ სიტკბოებით,
იყო მგვემ,ელ მოწყალებით
და შემრისხველ თანალმობით

აღვირი უწესოდ მკრთომელთა
და დეზი უდებთათვისა.

კანონი სირცხვილისა მოხუცებულთა
და კვერთხი რკინისა ჭაბუკთათვისა
კეთილ-მავალთა სიბრძნითა მცველი,
და მბორგალთა თვალუხვად მგვემელი.

სხვა მეფეები თუ დამნაშავეს „ჰკოდავდნენ“, ახეიბრებ-დნენ, თამარი ამისთანა სასჯელს არ მიჰმართავდა, იგი „კაცთა კოდვისა და მამკოდვისა, შეიწრებისა“ მომთმინო არ იყო. მეფობის განმავლობაში მას ერთხელაც არ უბრძანებია ვისმესთვის ტაჯგანაგის დაკვრა, ე. ი. გაჯოხვა. მაგრამ მას ერის თვალში მოეპოვა ისეთი მადლი და ახოვანება სულისა, რომ მთელი საბრძანებლისთვის მისი ღიმი შეიქმნა ალერსადაც და ზარ-ძრწოლადაც.

მღვდელს მთავარს, ყმას, მთელს ერს მიეცაო წესი ცხოვრებისა ისე, რომ გონებასაც ვერავინ კადრულობდაო. ქურდობა-ავაზაკობა ხომ ჯერ ისევ გიორგი მეფეს ამოეგდო სრულიად პირველსავე წელს თამარისთვის ტახტის დალოცვისა. მეფის ბძანებით შესდგა სახელმწიფო კრება (1179 წ.) რომელმაც დაადგინა ჩამოხრჩობა იმისი, ვინც ამიერიდგანიკადრებდა ქურდობა ავაზაკობას: სიკვდილი ჩამოხრჩობით მიესაჯებოდა ყველას, ვინც უნდა ყოფილიყო დამნაშავე, აზნაურსაც და არა აზნაურსაც. ბაგრატის კანონში კი სწერია (167): „რომელმანც კაცმან რაგინდარა მოიპაროს და გამოჩნდეს, ორნივე თვალნი დაეწვნენ და ანუ ხელ-ფეხი დაეჭრას“. ფრიად საგულისხმიეროა ქართლის ცხოვრების ერთი ნუსხა, რომელშიაც სწერია: „მპარავი, ავისმოქმედი აღარ იყო: თუ ნაპარევი ვინმე პოვის, კარსა ზედა მოიღის, დროშათა ქვეშე დადვის; ოვსმან, მთიულმან და ყივჩაყმან და სუანმან ვერ იკადრიან პარვა“ (ი. ჯავახიშვილი, ქ. ერის ისტ. 642). სჩანს, თამარის დროს ქურდობა-ავაზაკობა ქართველთა შორის სრულიად ამოვარდნილა და მისი კადრება ვეღარ შესძლებიათ თვით ოსებსა, ყიფჩაღთა და სხ. მთიელებსაც.

უსამართლოდ არ ეპყრობოდა მეზობელ სამეფოებსაც: ვერ ითმენდა რომელისამე მეფის მძლავრობას, არამედ სცდი-

ლობდა არსებული მათ შორის თანასწორობა, ურთიერთობა არ დარღვეულიყო. **ბჭედ ჯდა** შორის თავისა თვისისა და მეზობელთა მეფეთა: არა მიშვებად ბრძოლისა, არცა გარდადებად უღელსა მძლავრებისასა ურთიერთას. იგი სოლომონ-ბრძენ იქმნა მეფეთა შორის (337). ქართლის გარეშემო მდებარე სამეფონი წამებენო, თუ „რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ-სცა სამეფო თვისი, რაოდენნი განდევნილნი სამეფოდვე თვისად კვალად აგნა და რაოდენნი სიკვდილად დასჯილნი განათავი-

სუფლნა! და ამისი მოწამე არს სახლი შარვაშეთი და დარუ-
ბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა (კოსოგ-თა), კარნუ-ქა-
ლაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა
ცხოვრებასა ამის (თამარის) მიერ იყვნეს და მტერთაგან უზ-
რუნველობასა“ (336). მგოსნების სიტყვით თამარი იყო ერთ-
გულთა ფარად და ზურგად, შრომით რებულთა სიმტკიცის
კვერთხად მისაყრდნობელი (შავთ. 61; 63), ერთგულთა და-
მამაგრებელი (შოთა 1573).

მიექცა ყურადღება ქართულ კალენდრის გამოსწორების
საქმესაც. თამარის თანამოღვაწის იოანე შავთელის რედაქტო-
რობით გამოიცა შესანიშნავი ძეგლი შესახებ წელთ-აღრიცხ-
ვისა ანუ ქორონიკონისა. ამ შრომის შესწავლა-გაცნობის
შემდეგ აკადემიელსი ბროსე ამბობს: „ქართველებმა 1233
წელს უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცთომილებისა, რომელმაც
1582 წელს პაპი გრიგოლ XIII აიძულა შესდგომოდა კა-
ლენდრის შესწორებას“.

სამხედრო გზები მიჰყვებოდა სამეფოს ყოველ კუთხისკენ.
მტკვრის გაყოლება არზრუმისკენ, ალ-სურამიდამ ქუთაის-ფო-
თისკენ, არაგვით დარიალისკენ, რომელიც იღებოდა და იკე-
ტებოდა მეფის ბძანებით, აგრეთვე იყო სხვა გზები ვანისკენ,
კახეთისკენ. ეს გზები ჯერ ისევ თამარის პაპის დროს კეთილ-
განწესიერებულ იყო, ვინაიდგან მან „ქვაფენილ ჰყოო“ იგინი.

გზა-კვალის სიმსუბუქე-სიადვილემ ხელი შეუწყო აღებ-
მიცემას. ტურფათ დატვირთული ქარავნები მოდიოდნენ ბა-

ღდადიდამ და სხ. მიმართულებიდამ. ეგვიპტიდამ თამარს მოჰ-
ქონდა ალექსანდრიული ნაზი მატყლი ძაფად დასართავად და
მოსაქსოვად ძვირფას ანაფორებისა და საცმელებისა. თამარის-
თვის ქმრის მოსაწვევად ყიფჩაღეთს გაიგზავნა ტფილელი ვა-
ჭარი, რომელსაც, როგორც სჩანს, საქართველო-ყიფჩაღეთის
სავაჭრო და სამხედრო არაგვ-დარიალის გზა არა ერთხელ
ჰქონდა გავლილ-გამოვლილი თავის აღებ-მიცემის წარმოების
დროს.

სატახტო ქალაქი ტფილისი შეიქმნა უდიდეს შუაგულად
ქართველთ ცხოვრებისა და ვაჭრობა აღებმიცემისა

ქალაქი შესდგებოდა რამდენიმე უბნისაგან. აკროპო-
ლად ითვლებოდა მეტეხი, საცა თამარ მეფეს ჰქონდა სასახლე.
ქალაქის ამ მხარეს ერქვა ისნი. მეტეხს სხვანაირად ეწოდე-
ბოდა კალისი. ეს კალისი (კარისი) დაჰყურებდა მთელს ქალაქს,
რომელიც ბანის-ბანად შეფენილიყო მტკვრის მარჯვენა კიდეზე
ორთაჭალა-აბანოებიდამ სიონის გაყოლება, და ანჩისხატის
უბნით თავდებოდა ზედ სოლოლაკიდამ ჩამოვარდნილ ხევის
პირად. მეტეხის პირისპირ სოლოლაკის მხრივ წამოზიდულ
გორაკზე იყო სიმაგრე შურისციხე, აშენებული მე-IV ს-ში.
ეს ციხეც დაჰყურებდა ქალაქს და აბანოებთან ჰკეტავდა.მტკვრის
პირპირ მცხეთისკენ მიმავალ გზას.

ქალაქის ბინა-აგარაკები –კუკია, ვერა, სოლოლაკი, ორთა-

ჭალა შემკულიყო ბაღ-ვენახითა და წალკოტებით, ავლა-
ბრის ტყე სიგრილეს უგზავნიდა ქალაქს. დიდუბე ითვლებოდა
სანადიმო, სააღლუმო ადგილად. ქალაქის დიდებას შეადგენ-
და აქაური აბანოები. არაბთა მწერალი ალ-ისტახრი (930 წ.)
სწერს: „ტფილისის გარშემო ორ-რიგი გალავანია შემოვლე-
ბული, და სამი კარები აქვს, ქალაქი ფრიად აყვავებულია,
მდიდარი ხილითა და ნათესებით. მასში არის აბანოები და ამ
აბანოების წყალი ბუნებითვე ცხელია. აქედგან გააქვთ სავა-
ჭროდ თაფლი, ხორბალი, ხილები, ნაქსოვები, ბამბა და სხ.“
ტფილისში იჭრებოდა ფულიც.

არაბთა მწერალი ყაზვინი (XIII ს.) ამბობს: „ტფილისში

ქართველთა მეფენი სჭრიან ოქროს ფულს დინარს, რომელ-
საც იგინი უწოდებენ პერპერას. ყოველი პერპერა იწონს ერთს
მისხალს. ეს კარგი ფულია და მოკაუჭებული გამოყვანილ
ბისა“.

დამთენილა მრავალი ფული ზედწარწერით: ზემო პირზე
„თამარ-დავით“, მეორე პირზე: „დედოფალი მაღალხარისხო-
ვანი, დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა თამარ ასული გი-
ორგისა, შემდეგი მესიისა. ღმერთმან ადიდოს ძლევანი მი-
სანი“. პერპერას იხსენიებს რუსთაველიც (1413): „პერპარასა
დაფანტულსა ზედან სცვეთდენ ვითა ხიდსა“.

თამარის სასახლეს ასრე ამკობს მგოსანი:
„თუ ვუქო სრანი მე ამას რანი;
გალავანისა შემკულობანი,
მტილ-სამოთხენი თვალთ სამოთხენი,
ზედ ავაზანთა მექმნილობანი,
კართა სტოვანი – ერთა სტოლანი,
იპპოდრომისა განხმულობანი,
სახმრად ლანკანთა თანად პინაკთა
ბალახშნით ხედ ჰყვეს შექმნულობანი
ტახტ-საჯდომელნი მკამკამებელნი
მისაყრდნობელნი, ძნელსაცნობელნი
სამოთხით ნაძვნი თვით უნდობელნი.
ოქრო-ვერცხლებრივ, ბრწყინავს ცოცხლებრივ
კედელ-ყურენი ფიქლით ძერწილნი
ბივრილიონი, ლიგვრილიონი
ურთიერთობით შორის შთათხილნი.

უწყლო ადგილების სარწყავად ითხრება მრავალი რუ-
არხები, რომელთაგან ზოგს დღევანდლამდე შერჩენიათ მათ
გამყვან თამარის სახელი. „უხვედრს ვაშენე საყდრები, უწ-
ყლოსა წყალი გავიღე... ხაზართა თევზნი ბევრ-რიგნი ივერთა
წყალში შთავასხე“-ო (საქართ. ძველი დროის თავგადასავალი,
1897, გვ, 197).

თამარის ბძანებით ზემოხსენებულ ანტონი ჭყონდიდელს
სხალტბის წყაროდამ მილით გამოჰყავს წყალი შიომღვიმეს.

მანამდის აქაურობა უწყლობის გამო ირუჯებოდა და ახლა წყალმა არე-მარე კოხტა წალკოტად აქცია. რომ წყალს განუწყვეტლივ ედინა, თამარი წყაროს თავზე მილის მოსავლელად ამწესებს ორ მეკომურ გლეხს. ეს მილი მოსპობილა, თუმცა ლულები აქა-იქ კიდევ გვიჩვენებენ მის ძველ მიმართულებას.

ქალის მეფობამ ქალის კულტი, რომელიც ჩვენში ძველადგანვე პატივდებულ იყო ისე, რომ ქალის წმიდად მიჩნეულ მანდილის წინ ჩლუნგდებოდა თვით ბასრი მახვილიც გახელებულ მბრძოლისა, ვიმეორებთ, ეს კულტი თამარმა უფრო აამაღლა, მამაკაცთან დედაკაცი სრულად გაათანასწორა.

„თუცა ქალია ხელმწიფედ
მართ ღვთისა დანაბადია:
ლეკვი ლომისა სწორია
ძუ იყოს თუნდა ხვადია.“

ცხადია, აქ მგოსანი აღნიშნავს მაშინდელ საზოგადოების აზრს მამაკაცისა და დედაკაცის სამოქალაქო თანასწორობის შესახებ.

იმავე საზოგადოებამ იცოდა, რომ ადამიანის დამფასებელია არა სქესი, არა ჩამომავლობა, არამედ პირადი ნიჭი და პირადი ღირსება:

„ათასად გვარი დაფასდა,
ათიათასად ზრდილობა,
თუ კაცი თითონ არ არი,
ცუდია გვარიშვილობა!“

რადგან მზე სწორედ ეფინება და სწორად ათბობს ვარდსა და უბრალო ღილილოს, ამიტომ მზის ქვეშ მყოფ ყოველ ადამიანს თანასწორი უფლება აქვს დასტკბეს ცხოვრების შვენიერებით, სამართალი და წყალობა ყველას თან-ტოლად მიუკერძავად უნდა მიენიჭოსო, და გავლილმა მეფობამაც იცო-

და, რომ „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“.

ამ მხრივ თამარის სამეფოში სავსებით განხორციელდა მათე მახარებლის სიტყვები (მათე 5, 45, ურბნ. ნუსხა): „მზე მისი მიეფინის ბოროტთა ზედა და კეთილთა და აწვიმის მართალთა ზედა და ცოდვილთა“. სწორედ ესვე ევალება მეფე-ქალს მამისაგან:

„ვარდთა და ნეხვთა ვინათგან
მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა
შენცა ნუ მოგეწყინების“.

დაძმობა-დადობილება-დამეგობრობას საღმთო მნიშვნელობა მიეცა. სიტყვის მიცემა და მერე გატეხა არა თუ აუგად, არამედ დანაშაულობად ჩაითვალა. რაინდის სიტყვა სჯულზედ უმტკიცესი შეიქმნა. მეგობრის წყენინება ღალატად გამოცხადდა. საზეო სიყვარული დღესამომდე ფშავ-ხევსურეთში დაშთენილ წმინდა წაწლობად ჩამოყალიბდა.

„შენ არ გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა ფიცისა:
ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა“.
„მე იგი ვარ, ვინ სოფელსა
არა მოვკრეფ კიტრსა ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის
თამაშად და მიჩანს მღერად“.

თამარის მიხედულობით ქველ-მოქმედობა თვით ერის საღმთო მოთხოვნილებად გადაიქცა, ერის ზნეობა საკმაოდ გაფაქიზდა. გალმობიერდა ადამიანის სულ-გული. რუსთაველი მონების თავისუფლების შესახებაც კი უშიშრად ლაპარაკობს: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“... „მიეც ზოგი ხანაგათა (სასტუმროების), ზოგი ხიდთა გასადებლად“. სამეფოს შემოსავლის მეათედი უკლებლივ გადადებულიყო ღარიბ-ღატაკთა შესანახად. ამას გარდა თვით დედოფალი ყოველ დღე თავის პალატის წინ დიდძალ საზდოს ურიგებდა ყველა უქონელს. ასეთები თუ ავადმყოფობისაგამო

ვერ მოვიდოდნენ, მათ სანუგეშებლად თვითონ მიდიოდა: „განუმზადებდა მათ ცხედარსა და სარეცელსა“. მგოსანიც მოწმობს (შავთ. 63), რომ თამარი „თვალთა ბრმათა, თვით მზრდელი ყრმათა, მშიერთა პური, უსახლთ სართული“. ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ ღარიბ-ღატაკ დედ-მამათა გასათხოვარ შვილებს თამარი უბოძებდა ხოლმე სამზითვო საფასესაც: „მისცა ობოლთა და ქვრივთა კმა-საყოფელი მათი და ხელმწიფება განქორწინებად ობოლთა მათთა“. (ქ. ცხ. 279).

ყველა დიდ ხელმწიფეს გარეშემო მყოფი საზოგადოება თითქმის ყველგან ღვთის-სწორად, ღვთის მიერად სახავდა ხოლმე. ჩვენში ამისთანა შეხედულობას ემატებოდა კიდევ ის თქმულობა, რომ ბაგრატიონები არიანო დავით წინასწარმეტყველის ნათესაობით თვით ღვთის მშობლის მოგვარენი. ამიტომ მეფესა და მეფობას თამარმა თავის ღვთის-ნიერ ხელმწიფობით უდიდესი მნიშვნელობა მოუპოვა: სიგლებში, ეკლესიების წარწერებში მას „ღვთის სწორად“ იხსენიებენ, წმიდანად, ხოლო რუსთაველიც თავის თავს ვალად რაცხს თვისი უკვდავი ქმნილება დაიწყოს ამ წყობილით:

„რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვნა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, – გვაქვს უთვალავი ფერითა,
– მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.

ვიმეორებთ, თამარი სიცოცხლეშივე კინაღამ არ გააღმერთეს სიგელ-გუჯრებში, ეკლესიებისა და სახარებათა წარწერებში მას უკვე, როგორც ვთქით, იხსენებდნენ წმიდანად, ფშავ-ხევსურები ხომ მას და მის შვილ ლაშა გიორგის ნიშიჯვარი აუგეს და ყოველ დღე მას ევედრებოდნენ და დღესაც ევედრებიან, როგორც ღვთის სათნოს, წმინდანს.

თამარისავე მეფობამ დიდი ფასი დასდო ქართველთ რაინდობას შინ თუ სამზღვარ გარე ქვეყნებში. ქართველთა ვაჟკაცობის სახელი გაითქვა ყველგან სახელოვანი სალადინ

სულთანი სცდილობდა მალე დაეკმაყოფილებინა თამარის
თხოვნა, როდესაც ამან წინადადება მისცა შეღავათიანად

მოეპყარ მანდაურ ქრისტიანებს და 200,000 დინარად მომ-
ყიდე შენ მიერ იერუსალიმიდამ გატაცებული ჯვარი მაც-
ხოვრისაო.

აღმოსავლეთში ქართველთა ზაჰმი და რიხი ისეთი დიდი
შეიქმნა, რომ იერუსალიმში მიმავალ მლოცველთაგან მარტო
ქართველები განთავისუფლებულ იყვნენ ყოველგვარ ხარჯ-
ბეგარისაგან და შემდეგში მარტო ქართველთა მლოცველები
შედიოდნენ ამ ქალაქში შეიარაღებულნი და თავიანთ ეროვ-
ნულ დროშის გაშლა-აფრიალებით. არის ცნობა, რომ თვით
ალეპოს სულთნების ყოლაუზები მიუძღვებ-მიაცილებდნენ
ქართველებს წმ. ქალაქში და იქიდანაც გამოაცილებდნენ
ხოლმე საქართველოს საზღვარამდე (ე. იოსელიანი. საქარ.
ეკლ. მოკლე ისტ. 92; ი. ჯავახიშვილი ქართ. ერის ისტ.,
561).

„სახლთა ზედა აკროსტიხურად თამარის შესხმათა დას-
წერდეს;

ბეჭედთა, დანათა და არგანთა შეამკობდეს

და მათ ზედა თამარის ქებას დასწერდეს.

ყოველთა პირი ერთბამად მზა-იყვნეს, რათა ღირსი რამე
თამარის საქებურობისა სიტყვა აღმოთქვან.

ყრმანი, მემროწლენი განპებასა შინა ორნატთასა (ე. ი.
ხვნა-თესვის დაწყებისას) თამარის ქებათა მელექსეობდიან
(ქ. ცხ. 336).

ასე იყოო არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთ-
შიაც:

„ერაყს მყოფნი მეებნენი გინა მეჩანგენი თამარის შეს-
ხმათა მუსიკებდიან.

ფრანგნი და ბერძენნი ზღვასა შინა მენავენი ნიავ-კე-
თილობათა შინა თამარის კეთილობათა იტყოდიან".

მემატიანის „სიტყვის წყობას“ (ქ. ცხ. 338) და აგრე-
თვე ყველა ამათ ბანს აძლევდნენ თამარის კარზე მყოფი დი-
დი მგოსნებიც თავიანთ წყობილსიტყვაობით.

ამბობს შავთელი (2):

„შემოკრბით, ბრძენნო, ათინელთ ძენო,

თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა,

კრიტს, ალაბს, მაღრიბს, მაშრიბს

ჩინეთ ჩინეთსა, თარშის ქებულსა“!

ჩახრუხაძე (I):

„მო, ფილოსოფნო, სიტყვითა არსნო,

თამარს ვაქებდეთ გულისხმიერსა“!

შოთა (4):

„თამარს ვაქებდეთ მეფესა

სისხლისა ცრემლ დათხეული“!

ზემოხსენებულ დიდ-დიდ სულთნებს თავის კარზე ჰყვანდათ ჩინებული მგოსნები და ისტორიკოსები, რომელნიც საშვილი-შვილ ამბად სწერდნენ თავიანთ მფლობელების საქმესა და ნამოქმედარს. ერთმა მათგან ფირდოუსის წინადადება მისცა დაეწერა „შაჰ-ნამე“, ე. ი. ამბები სპარსეთის უწინდელ მეფეთა შეასხებ. ასევე მოიქცნენ თამარის კარის მოხელე – დიდი მგოსნებიც, შავთელი, რუსთაველი, ჩახრუხაძე. მათ ხოტბა შესახებ არა თუმარტო თავის ღვთისა სწორ დედოფალს, არამედ გალექსეს მისი ყოველი საქმეცა. ამათგან ზოგი რამ ცნობა უკვე მოვიყვანეთ თავთავის ადგილას. მათ შესახებ ვრცელი ლაპარაკი აქ უადგილოა. ვიტყვით მხოლოდ, რომ სამეფოს გაერთიანება-გაძლიერებამ გააღვია სამშობლოს სიყვარულიც. კავკასიონი მწვერვალებამდე მოირთო შვენიერ სამგოსნო ყვავილებით. წინად თუ „მზე აღარ მზეობდა ქართველისთვის, დარიც არ დარობდა დარულად“, ახლა დარმა იდარა, მზემ თანაბრად მოჰფინა მაცხოველებელი სხივი მთელს საქართველოს, რომლის ცა აწ „ყოველთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა, მოათოვდეს“. ეს ცა და მის ქვეშეთი მიწა-წყალი აწ სატრფიალოდ გაუხდა მამულიშვილობას. ამ მხრივ, გაშინჯეთ, რაბამ საგულისხმიეროა თვით უკვდავ შოთა რუსოფელის ამოძახილი: „მშობლური ტკბილი მოწყალე ცა,

წყალობისა მთოველი“! ამ მშობლურ ტკბილ და მოწყალე ცის ორგული და შემცოდე ღვთისაგან კარგს ნუღარას მოელისო, ბძანებს იგივე დიდი მგოსანი შოთა.

ასე რომ ბძანებდა, ამას თვალწინ ჰქონდა მეზობელი სახელმწიფოების სასულთნო-სამეფოების ბედი. გაზაფხულის სოკოსებ იბადებოდნენ, იზრდებოდნენ ეს სასულთნოები და რამდენიმე ათეულ და სულ ბევრ 100 წლის განმავლობაში ისევ იმხობოდნენ. ნახევარ მსოფლიოს მპყრობელ ღაზნელებმა ხალიფას შუა გაუყვეს მისი უფლება. ღაზნელები დასცეს სელჩუკებმა, ამათ ბოლო მოუღეს ხვარაზმელებმა, იმათ თათრებმა. მუჰამედ ხვარაზმშას, შლოსერის სიტყვით (111, 98), ეჭირა ნახევარი მსოფლიო და მოკვდა ისეთ სიღარიბეში, რომ სასუდარო ტილოს ფასიც არ დარჩა! მაგრამ იგივე დიდი ხელმწიფეები ებრძოდნენ ქართველებსაც, მერე უფრო გამეტებულად, როგორც ქრისტიანებს, მაგრამ სხვათა მომხარკავები, როგორც უკვე იყო ნათქვამი, ახლა თვით იქმნენ მოხარკულნი (ჩახრ. 10) და პაწია ერს არათუ ვერ მოუსპეს თავისუფლება, პირიქით ეს ერი უმეტესად გაძლიერდა, უფრო გადიდდა და იქცა იგეთ უშველებელ ღონის ზვავად, რომელიც დაბლა რომ დაექანება, შემუსრავს ხოლმე ყოველივეს, რაც ბუნებითვე არ არის ტინ-კლდეებრ მაგარი, მყარი. აი ამისთანა ძლევამოსილობას, ამისთანა „წყალობის მთოველ ცას“ შეჰხარიან თანამედროვენი, მგოსნები, ისტორიკოსები და არათუ მარტო ესენი, არამედ ამ საერთო სიხარულში მონაწილეობას იღებ-

დნენო (შავთ. 10) „ტომნი და ერნი, ყმანი და ბერნი“ და
მათთან ერთად თვით „მთანიცა და ბორცვნიც, მაღნარნიცა,
და ველნიც"! გაისმოდა ყოველ მხრით იმედიანი გალობა-ძახი-
ლი, რომ საქართველოს თავისუფლებას ჰპატრონობსო მეფე.

სიუხვედ ზღვებრი, სიმაღლედ ცებრი“.

და მას

„მთა ვერად სწორავსო არარატისა“!

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ თამარის სახელოვან მეფო-
ბის ერთი თვალსაჩინო მხარეც: დახმარება მსოფლიო ქრი-

სტიანებისა არა თუ მარტო ქონებრივად, არამედ სამხე-
დრო ძლიერებითაც. მართალია, თამარის ლაშქარს მხარდა-
მხარ არ უბრძოლია ევროპიელ ჯვაროსნებთან ერთად იერუ-
სალიმის განსათავისუფლებლად, მაგრამ მაინც მათთვის დიდი
შემწეობა აღმოუჩენია აღმოსავლეთ მაჰმადიანების ძლიერე-
ბასთან განუწყვეტელ ბრძოლით და მის დაბანდებით. თუ თა-
მარს ეს ფანატიკოსი ძალა მაჰმადიანებისა აქ არ დაებანდა,
იგი მთელის ძლიერებით ფეხქვეშ გასთელავდა ევროპიელ
ჯვაროსნებს და იქნება სრულიადაც ამოეგდო ყოველი ნიშანი
ქრისტიანობისა წმ. ქვეყანაში. რომ მართლაც მაჰმადიანობა
ქართველობას სთვლიდა ევროპიელების მომხრედ და პაპის
თანაშემწედ და იერუსალიმის მფარველად, ეს გამოსჭვირს
ეგვიპტის სულთნების ქართველ მეფეებისადმი მიმართვაში,
რომელსაც გადმოგვცემს არაბთა მწერალი ელკალკაშენდი
1418 წელს.

„განაგრძოს ალლაჰმა ბრწყინვალება მათის უდიდებუ-
ლესობისა, ხელმწიფის სახელოვანისა, დიდებულისა, მხნისა,
ძალ-გულოვანისა, უძლიერესისა, დაუცხრომლად მბრძოლისა,
ლომებრისა, ტახტთა და სკიპტრათა მპყრობელისა, თვისის სა-
რწმუნოების მტკიცედ მცველისა, ქვეშევრდომთათვის მართლ-
მსაჯულისა, ლაზთა მეფეთა შორის უაღმატებულესისა, ქარ-
თველთა სულთნისა, ზღვათა და ნავთსაყუდელთ საუნჯისა
და სკიპტრათა მემკვიდრეობით მპყრობლისა, რუმისა და ერა-
ნის ქვეყნათა მფარველისა, იონთა (ბერძნების) მპყრობელთ
შორის აღმატებით რჩეულისა, **ქრისტიანეთ** განმადიდებლისა,
იესოს სარწმუნოების დედაბოძისა, მესიანთ გმირთა ცხებუ-
ლისა, თვისის მსჯავრით **უწმინდეს სახლის იერუსალიმის)**
ამამაღლებელისა, ნათელ-ღებულთა კვარცხლბეკისა, რომთა
პაპის შემწისა, მაჰმადიანთ მეგობრისა, უმახლობელეს მეყვისთა
შორის უმშვენიერესისა, მეფეთა და სულთანთა უერთგულეს
მეგობრისა“.

მაგრამ თამარ მეფის ცხოველი დიდება შეუნახავს არათუ
მარტო უწინდელ სულთნების გადმოცემას, არამედ საქართვე-

ლოს ყოველს ბორცვსა და მაღნარს, საქართველოს ყოველის

შვილის მესხიერებასაც. თან ყოველმა ქართველმა იცის, რომ თამარისა და შოთას ღვაწლი არის ისეთი მადლი, ისეთი აკადემია, რომლის არსებობამ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, ვიდრე მოდლეინდელად დღემდე, შეინახა თავისებურობა ქართველთა ძლიერის კულტურისა და შეუნარჩუნა ერს სახელი პატიოსან რაინდობისა და წმინდა მეფურ დიდსულოვნობისა.

4 აპრ. 1916.

დამატებანი

ზეპირგადმოცემანი, ტექსტები

1. თამარის დედის სიზმარი და კასპიის დაპყრობაო*).

თამარის მეტი შვილი იმის მშობლებს არა ჰყვანდათ. თამარი ჯერ ისევ 12 წლისა იყო, როდესაც მისმა დედამ საკვირველი სიზმარი ნახა. მეორე დღეს დედამ შვილს უამბო: „წუხელ, საყვარელო შვილო, მეზმანა: ვითომ შენ მამიშენის ცხენზე იჯექი, მეფურად შემოსილი იყავ და ხელში სამეფო სკიპტრა და სფერო გეპყრა. მჯერა, მალე გახელმწიფდები. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ უფალმა შენს გარდა სხვა შვილი არ მოგვცა. ღმერთმა მაჩვენოს, შვილო, შენი ბედნიერება და დიდობა. იყავ მოწყალე, წყნარი, მართლმოყვარე, ღარიბ-ღატაკთა ნუგეშისმცემელი“. სიზმარი გამართლდა. სიკვდილის წინათ მამამ თავისი ქალი სამეფო ტახტზე დასვა და მეფობა დაულოცა. ამას შემდეგ ბევრი ხანი არ გავიდა, რომ თამარს დედ-მამა დაეხოცა. თამარი გახელმწიფდა და მთელი მსოფლიო დაიპყრა. თამარს ისა სწყინდა მხოლოდ, რომ მარტო კასპიის ზღვა იმის წინაშე ქედს არ იხრიდა. ამისგამო თამარი ძალიან გარისხდა და თავის ლაშქარს უბრძანა, მთელი კასპიის ზღვა ნამჯით მოეფინათ, ზედ ნავთი დაესხათ და ცეცხლი მოეკიდებინათ. აბა ლაშქარი როგორ არ გაუგონებდა თავის საყვარელ პატრონს. თამარის ბრძანება მალე სისრულეში მოიყვანეს. შეწუხდა კასპიის ზღვა, გალაღებული ქედი თამარის წინაშე მოიხარა და, ვითარცა მონა,

*) ივერია 1890, № 119; „საინგილო“, გვ.170.

ისე შემოეხვეწა ურჩობა ეპატიებინა! თამარი მოწყალე იყო. დანაშაული შეუნდო, ზღვამ მადლობა გადაუხადა და დიდი ხარკი თავსიდვა. კასპიის ზღვა თამარს ხარკად ყოველწლივ

აძლევდა დიდძალ ოქროსა, ვერცხლსა, გიშერსა, მარგალიტ-
იაგუნდსა და ცხენ-კამეჩს. ამის შემდეგ თამარი მოსვენებული
იყო თავის ტახტზე და განაგებდა მთელს ქვეყანას მაღრუ-
მიდგან მაშრუყამდის.

2. დაიღუპოს თუ ცუდი განზრახვით მოდის!

თამარის დროს გორის ბოძრცვი შეადგენდა კუნძულს
მტკვრის, ლიახვის და მეჯუდის წყლების შორის. აქ იყო სა-
შინელი მორევი. გარემო მხარე უღრან ტყეებით იყო შემო-
სილი. ჯერ ისევ გასათხოვარი თამარ მეფე მობძანდა სანადი-
როთ. ბინად ამოირჩია მთა გორისა. მონადირეები მიიფანტ-
მოიფანტნენ ტყეებში სანადიროთ, და პაშტა ხნის შემდეგ
დაბრუნდნენ დიდძალ ნანადირევით. მრავალი იყო მოკლული
ღორი, ირემი, ხოხობი და სხ. მხოლოდ მონადირეებთან არ
სჩანდა დედოფლის საყვარელი მიმინო. აათვალ-ჩაათვალიერეს
და დაინახეს, რომ მიმინო იჯდა გორის ბორცვის კლდის
გამოშვერილ ჭიუხზე. თამარმა ბრძანა: „ვინც მომიყვანს
მიმინოს, აუსრულებ რასაც მთხოვსო“.

ტბა-მორევი კი ღელავდა, ქშინავდა.

დედოფლის დავალების აღმასრულებელი არ ჩანდა. მაგ-
რამ უცბად გუნდიდამ გამოვიდა ვიღაც შვენიერი ჭაბუკი.
ფიცხლავ თავი დაუკრა თამარ მეფეს, დაეშვა გორისიდამ და
გადახტა მორევში, მძლავრი მკლავები და ფეხები შეათამაშა
და მარდად გასცურა. მიუახლოვდა ბორცვის ნაპირს, მიმინო
ხელთ იგდო და მღელვარებასვე თავი მისცა. აგერ გმირუ-
ლად მოხოპავს, მოდის, აგერ კიდეც მოაწია აქეთ ნაპირამდე.
ცოტაღა უკლია, ხმელს დაადგას ფეხი. თამარმა გაიფიქრა:
„პირობა დავუდე, რასაც მთხოვ, აგისრულებო, ხელი რომ
მთხოვოს!“ შეაჟრჟოლა. გულში შეევედრა ღმერთს: „თუ აგე-

თი განზრახვით მოჰყავს მიმინო, ღმერთო, დაღუპეო და მო-
რევს მიეციო.“ ბრძანა და წყალმა ჩასძირა გმირი ჭაბუკი.
ინანა თამარმა და ცოდვის მოსახდელად ეს კეთილი საქმე
ჰქმნა: ტბა-მორევი, რომელიც ყოველწლივ რამდენიმე კაცს
ახრჩობდა, ჩაუშო მტკვრის კალაპოტში და დასწკრიტა.
თვით ბორცვზედაც ააგო მაგარი გორის-ციხე.

3. ერის სულით ჩაესახაო თამარს ნაყოფი.
(გადმოცემიდამ „ირმის გაზრდილი“)

ჟინვანში, ამ მშვენიერ და ჰაეროვან ქალაქში, ნეტარებ-
დაო თამარი, ჯერ ისევ ქალწული, ტურფა და ნარნარი.
ყოველდღე საყდარში დაიარებოდაო და ისეთი მადლმოსილი
და წმიდა იყოო, რომ სიარულის დროს ფეხს არ აკარებდაო
ნიადაგს, ჰაერ-ჰაერ მსვლელობდაო. მხოლოდ ამ წმინდა და
ბრძენ ხელმწიფეს შვილი არ ჰყვანდაო, და რადგან თვითო-

ნაც გვარში ობლად ობოლი იყოო, მის შემდეგ სამეფოს უმეფოდ დარჩენა მოელოდა. ეს აწუხებდათ ყველას, დიდსა და პატარას, მთელს სახელმწიფოს. თვით მეფეს კი ქმრის შერთვა არ სწადდა და ზენაარისაგანაც ჩვენებით ნაუწყები ჰქონდა, თუ მამაკაცი მოგეკარა, სიწმიდე მიგეღებისო. შეიყარნენ სახელმწიფოს თავი კაცები გადასაწყვეტად კითხვისა: რა იღონონ, რომ მათს სათაყვანო მეფეს შვილი მიეცეს. იბჭეს, აიღეს-დაიღეს და ეს გადასწყვიტეს:

– სახელმწიფო საჭიროება მოითხოვს, მეფემ შეირთოს ქმარი და ამას დაამტკიცებს თვით ღვთის სამართალი, რომელი ღაღადებს: „და იყოს იგი ვითარცა ხე დანერგული თანაწარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცის ნაყოფი მისი ჟამსა თვისსა და ფურცელნი მისნი არა დასცვივეს, და ყოველივე, რაცა ყოს, წარემართენ მას“ (ფს. 1).

გადასწყვიტეს, მაგრამ გადაწყვეტილების მოხსენება მეფისთვის ვერც ერთმა ვერ იკისრა. ეგ დავავალოთო იმ სული წმიდით შემოსილ ბერს, რომელიც განდეგილად მოღვაწეობ-

სო სტეფან-წმინდის გამოქვაბულებში და თამარივით, სიწმიდის გამო, ჰაერ-ჰაერ დადისო.

ერთ საღამოს ბერი ეწვია თამარს, მოწლედ დალოცა და ჯვარი გადასახა. მეფე ხელზე ეამბორა მთიდან ჩამოსულ ასწლოვან მოხუცს, თან მოწიწებით მოიკითხა და უჩვეულებრივო წვევის მიზეზი ჰკითხა. მან ხელმწიფეს მიართვა ეტრატი, რომელზედაც დაწერილი იყო დიდებულთ გადაწყვეტილება. ამოიკითხა-რა მეფემ ფსალმუნის სიტყვები ნაყოფიერ და უნაყოფო ხის შესახებ, მყის იგრძნო დაორსულება, და მორცხვობის ალმური გადაეფინა სახიერებაზე. წმიდა ბერიც მიუხვდა, და რახან მისი მოციქულობის ჰაზრი უკვე დაგვირგვინებულ იყო, თაყვან-სცა და თავის გამოქვაბულისკენ გასწია.

შეწუხდა ძალიან მეფე ქალი. ეს რა მომივიდა, როგორღა ვეჩვენო ხალხს, როგორ ვიმართლო თავი წინაშე ღვთისა, რომელსაც ქალწულობის აღთქმა მივეციო. ჩაწვა ლოგინში და თავი მისცა მრავალგვარ დუმილ-გონებას, და ბოლოს ტკბილად ჩაეძინა. ძილში გამოეცხადა ბრწყინვალე ფრთოსანი ვარსკვლავი და მოახსენ:

– მიდგომილ ხარ ერის შენის სულის მობერვით. ჰშობ ძესა, რომელსა აღზრდის ნუკრის დედა. ხმა ერისა ხმა ღვთისა არს და ამიტომ შვილის გაჩენით ქალწულობა არ მიგეღება.

ფრთოსანი ვარსკვლავი გასრიალდა, ცის. ტატნობს გადასცილდა...

რომ გაიღვიძა, გათენებულიყო კიდეც. გონების თვალი გადაავლო სიზმრად ნახულს და მოინდომა შეემოწმებინა: ნახული უბრალო მოჩვენება იყო, თუ ღვთიური სინამდვილე. გადაიცვა ძოწეული, ოქრონემსული ქოშები ჩაიცვა და გაია-

რა, რომ ელოცნა ყოვლად წმიდა ქალწულის წინ. ნახა, მადლი სრულიად არ მოჰკლებია, ფეხს ძველებურადვე ნიადაგს არ აკარებს, ისევ ჰაერ-ჰაერ მჩატედ მსვლელობს. დავარდა ხატის წინ და მხურვალედ ილოცა. შემდეგ ცისკრის მოსას-

მენადაც წაბრძანდა დ ამ გამოსვლამაც შეამოწმა, რომ კვლავინდელი სიწმინდე არ მოჰკლებოდა.

ცხრა თვეზე ეყოლა ვაჟი, დაბადებითვე მსგავსი ბრწყინვალე ვარსკვლავისა, ერი ცოტა არ ახარა მის დაბადებამ, ეკლესიებმა ცოტა წირვები არ გადიხადეს მის ასაღორძინებლად. წლის განმავლობაში შვება, ლხენა არ დალეულა სასახლეში, არც მთელს სამეფოში.

ყრმას უკვე გამოევლო სიჩჩოების ხანა, უკვე ფეხი აედგა, რომ გადიამ ჟინვნის სამეფო ბაღში წაიყვანა სასეირნოდ ხეივნების ბოლოს ფართე ჯურღმული იყო და იქ ამოჩუხჩუხებდა ცივი ანკარა წვარო. გადიამ ყრმა ზევით დასტოვა და თვითონ ჩავიდა, რომ წყაროდამ დაელია. წუთიც არ გასულა, რომ წყურვილი მოიკლა და ამოირბინა, მაგრამ ელდა ეცა, – აღარსად იყო მეფე-ყმაწვილი. ეძახა, ეძება, გადასინჯა ყოველი ბუჩქი და ხის ძირი, მაგრამ არსაიდამ ჩქამი არ მოესმა. ამასობაში მოიჭრნენ სასახლიდამა თუ მთელი ქალაქიდამ ყველანი. შეიქმნა ერთი ორონტრიალი, ზათქი, შიში-ვიში, სულ ამაოდ: მიწამ პირი ქმნა და ჩაყლაპა ტახტის მემკვიდრე, თუ მზემ მაღლა აიტაცა, ვერა გაიგეს-რა. დაძმარებული თამარ მეფე დაბრუნდა შინ და სამეფოსთან ერთად იწყო გლოვა.

გადიოდნენ დღეები და თვეები. დაკარგულს ეძებდა ხალხი ტყესა და ღრეში, მაგრამ სანუგეშო ამბავი არავის მოჰქონდა. თამარი კი მაინც ჰსასოებდა, რომ მისი საყვარელი შვილი დაღუპული არ იყო, და ამ სასოებას უორკეცებდა ის ხმა, რომელმაც სიზმარში გაანდო შენს ნაშობს ნუკრის დედა გაზრდისო.

წელიწადი მიწურული იყო, რომ თვით თამარი თავის დიდებულებით წაბრძანდა ყრმის საძებნელად. მოიარეს ერთი ტყე, მოვლ-მოჩხრიკეს მეორე და შევიდნენ მესამეში. მამაკაცნი ყველანი კაი მონადირენი იყვნენ და გზა-გზა ბევრ ნადირს ხოცავდნენ. თამარსაც თან ახლდა კარის მონადირე განთქმული ვაშკაცობით. იარეს საკმაოდ ამ ტყეში. უცბად თამარის მხლებელმა მონადირემ ირემს თვალი მოჰკრა შორს და მყის

მოიმარჯვა შვილდ-ისარი. ის იყო უნდა ეტყორცნა, რომ თამარმა აუკრა: მის თვალმა კარგად გაარჩია, რომ დედა ირემს სწოვდა მოჩიტებული ყმაწვილი. თამარს ფეხი ჩაეკეცა და გული წაუვიდა. ვიდრე მას გამოაბრუნებდა მხლებლის მიერ პკურებული მთის წყაროს ცივი წყალი, შორი-ახლო მავალებმა მოჰგვარეს შველიც და ყრმაც. საყვირის დაყვირებამ შე-

მოჰკრიბა ყველანი. სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დაბრუნ-
დნენ შინ. ყრმის მაწოებელი ირემიც მოჰყვებოდათ სრულიად
უშიშრად, როგორც ერთი რამ შინაური.

მეფემ შვილი გადასცა დიდებულებს აღსაზრდელად, ხო-
ლო დედა-ირემი დააბინავა თავის წალკოტში, და გასცა ბრძა-
ნება: „ჩემის მეფობის დასასრულამდი ჩემს სამეფოში არა კაცს
არ შეეძლოს ირემზე ნადირობა და ირმის მოკვლაო“.

გადმოცემა იმასაც განმარტავს, როგორ მიიჩქმალა ჩჩვი-
ლი ყრმა სამეფო წალკოტიდამ: იგი იქიდამ გაიტაცაო და
ტყეში გადააგდოვო ერთმა სასიძოთაგანმა, რომელსაც გამე-
ტებით სურდაო თამარის ცოლად შერთვა, მაგრამ იმედი გა-
უცრუვდაო და ჯავრის ამოსაყრელად ამ უდიერ ზომას მიჰმარ-
თავო, ხოლო მერე თვითონვე შეინანა და თავი მოიკლაო.

4. დატირება კუბოში მდებარე თამარისა.

(იოანე ბატონიშვილის ხელნაწერიდამ*)

გარდაიცვალა დიდი მეფე ღირსი ხსოვნის თამარ გმირად.
ტფილისს იქმნა შეჭირვება არა ლხინი, გარნა პირად. შექ-
მნეს გლოვა საშინელი, იცეს თავსა დანა-პირად. გახდა ამბავი
ყოველს საქართველოს. შემოკრბნენ სრულიად იმერნი, ამერ-
ნი, ლეკნი, ოსნი, ჩერქეზნი. იწყეს ყოველთა ტირილი, რი-
გით შევიდიან სრასა და ზოგნი ტირიან გარეა. იწყეს პირვე-
ლად ტირილი ქართლელთა ენა-წყლიანთა, ჩარიგებითა ჩოქებით.,

*) საქართ. ძველი დროის თავგადასავალი გამოც. დ. ღამბა-
შიძისა: ქუთაისი 1897.

მერე მოვიდნენ იმერნი ძველ ჩვეულების გვარითა: მარცხნივ
და მარჯვნივ თავადნი, ჩოქი ჰქნეს მორიგებითა, წინ აზნაურ-
თა კრებულნი; ტირიან ხმით შესაზარითა, კანდელაკ-მგალო-
ბელნი და უტევენ მოთქმას ზარითა. მოსთქმენ: „მეფეო კე-
თილო, ტკბილად მშობელო ერთაო, სად წახველ იმერთ დი-
დებავ, მოწყალე ყმათა ბერთაო, აწ რას გვიპირებ, რას გვი-
ზამ მონათა ყმათა შენთაო!..ვაჲ თუ შენს უკან უცხო თესლთ
მახვილი გვცენ მსობელნი!“ იმერნი ადგნენ, გაბრუნდნენ ტი-
რილ თავ-პირის ცემითა. ჩოქით მოვიდნენ მესხ-კლარჯნი,
თაყვანი სცეს, მოსთქვეს ზარითა: ‘ჲე მპყრობელო ხელმწი-
ფეო, ბაგე ვით შენი დადუმდეს! შენთა მონათა ხმა გვიყავ,
მტერთ ბრძოლა გაგვიადვილდეს... შენს უკან ვიქმნათ საწ-
ყალნი, ვსტიროდეთ ამას ზედიზედაო“... შევიდნენ კახნი მე-
ფის პალატს, სად კუბო იყო დებული, ოქრო-ვერცხლით შემ-
კული, თვალმარგალიტით ვსებული. კუბო ოქროსა ტახტსა
ზედან ზედ იყო დადგინებული. როს კახთ იხილეს, ჩოქი
ქმნეს, მოსთქვეს: შენთა ყმათადმი დიდებავ და მათო ნებიერო,
მხნეო, ძლიერო, მოწყალევ, ბრძენ ჭკუით, მეცნიერო, რად
არ მოგვიგებ პასუხსა, შენ ძლიერო ზეციერო! ‘ჲე თამარ მე-.

ფეო, ისმინე, მართლობის ბურჯსა ასულო, მხნეო, ობოლთა
გამზრდელო! არ ისმის შენი ხმა ტკბილი, გმირო ცისკიდეს
გასულო!.. მოდგნენ თუშ-ფშავ-ხევსირნი. როს განიცადეს კუ-
ბო ოქროს ტახტსა დებული, შეჰბღავლეს: „რა არს ესა, რა
არს? იქნება მეფე ძილად წევს... იყავით დაწყნარებული, ნურ-
ვინ ყაყანებთ, დაჩუმდით... რად არ ასდგები, ბატონო, შენ
არ ხარ ჩვეულ ძილისა, ამ სიგრძედ შენი ტახტს წოლა ჩვენ
არ გვახსოვს გმირისა, მოვსულვართ შენნი ერთგულნი, არ
მხსოვნი შენგან ძვირისა!.. თუ მოსულა მტერი ვინმე, ადე,
გვიყავ მოუბრობა, ჩვენ შევებათ, მათ ვერ გვიყონ ჩვენთა
მკლავთა დაცაზრობა! რაზედ გვიწყრები, ხელმწიფევ გმირო
და გმირთა შობილო! არ გაგვიძღვები თათრებზე?.. ვცეთ
მტერთა ხმალი ლესილი, იდონ მალამო სალბილო! აწ ვგრძე-
ნით ცოცხალ აღარ ხარ, აღარც გიყვარვართ ყმანია! რად

დაუტევე ეს ტურფა სახლი მეფეთა! გვითხარ, ვის მიგვეც ერთ-
გულნი, ვის უდგას შენი ხმანია! ამდროს შეგვმართე ღალატი,
ჩვენ ვართ ომისთვის მზანია". მოიხადეს ქუდები, შემოიხსნეს
იარაღი, იწყეს მოთქმა საშინელი... შემდეგ მოსთქმიდიან ხმასა
მთიულნი ფანდურით: საწყლად ტირიან: ვაჲ, ჩვენო ძმანო, ხევ-
სურნო ციხისა ამღებნო, აწ ვინა გვიყოს თამარის მაგიერობა!..
ღმერთო, რად წაგვართვი მეფე, ჩვენი მოწყალე ხელმწიფე,
ვაშკაცი ჩვენი მეფეო... მშვიდობით თუშთა იმედო, მშვიდო-
ბით ფშაველთ მოყვარე, მშვიდობით ხევსურთ საუნჯე, მშვი-
დობით არაგველთ სძალო, მშვიდობით ერთობლივ გიორ-
გიელთა მეცხვარ-მწყემსთ წინამძღვარო... ფანდურზე ლექსით
მისტიროდნენ.

თამარ მეფის ანდერძი. *)

ანდერძი ნახეს მეფისა
თამარის დატოვებული:
ჰქმენითო სამნი კუბონი
თვალ-ოქროთ გამშვენებული,
ერთი დამარხეთ მცხეთასა,
ერთი ვარძიას დებული,
მე დამმარხეთო გელათში,
არ მყონ თათართა ვნებული.

სულთან ნუქარდინს ჯავრი შჭირდა თამარისა, შემოსთვალა:

ოდეს მოკვდება მეფეო,
ქართველთა წინამძღვარია,
მაშინ წავალო: სულტნმა
ვაოხრო ქართველთ მზღვარია!
სადაც დამარხვენ მეფესა,
უქმნა მის საფლავს ძვრანია,

*) ნუსხა იხ. წიგნაკში: „საქართველოს“ ძველი დროის თავგადა-
სავალი, გამოც. დეკ. ღამბაშიძისა. ქუთაისი 1897.

ცოცხალს ვერ ვუყავ რაც მწადდა,
მკვდარსა ვყოფ შენასვარია!
მოესმა ესე ამბავი
მეფეს ცოცხალსვე სვიანსა.
თვითცა ჰხედავდა შვილსა
თვისებ ვერა განგებიანსა:
„ჩემს უკან თუ სულტანსა
ომი ვერ უქმნან ხლმიანსა!
იქმნება ბილწმან რაც უთქვამს,
მიქმნას მე გვირგვინიანსა!“
ამას ფიქრითა უბრძანა
მათ კუბოთ გაკეთებანი:
„სამს ალაგს დაჰფალთ შორი-შორ,
ვერ მიქმნან ცეცხლის გზებანი!"
მყის აღასრულეს ბრძანება
და ჰყვეს მეფისა ნებანი:
ერთი მუნ დაფლეს, ერთი მუნ:
მტერთ ვერ ქმნან შეფის ძებნანი!"
თვით დაეწერა მეფესა
თვისის ხელითა ნაწერი,
აქ ქვანი პირქვე დასდევით,
საფლავს ვერ ნახონ ნაწერი.

თამარ მეფის თქმული (იქვე, 195):

როს ნაჭარმაგევს მეფენი
შვიდნივე პურად დამესხნეს,
ყიზილბაშ, ოსმალს-არაბნი
საზღვართა გარეთ გამეხსნეს,
ხაზართა თევზნი ბევრ რაგნი
ივერთა წყალში შთამესხნეს,
ამ საქმისა ხელქმნელსა
აწ მკლავნი გულსა დამესხნეს.

1. თამარ მეფე სახალხო პოეზიაში.

ა.

საქართველოს დედოფალი,
დედა ქართლისა თამარი,
სიმშვენიერით მოსილი,
ამომავალი მზის დარი,
დავით სოსლანის მეუღლე,
რომელს უმშვენა მან მხარი, –
დიდუბეში იქორწინა,
სადაც რომ საყდარი არი,
ნადიმობა გაუმართა,
მოიწვია თვისი ჯარი:
ასი სული ცხვარი დაკლა

და ორასი ნიშა ხარი,
ლურჯი სუფრა გაუშალა
იქნებოდა ასი მხარი,
ქვრივ-ობლებსა უწყალობა
ოქრო, ვერცხლი დიდი, ძალი.

ბ.

ა. თამარ მეფე და ხონთქარი
მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა. ..
ზღვაში ჩაუშო ხომალდი,
ზედ ალმასები დაჰკიდა,
ზედ დასხა ქართველთ ლაშქარი,
მრავალს წყალობას დაჰპირდა.
ბ. თამარ დედოფალი მივხვ
ქებული კიდის კიდემდე
ზღვაში ჩავუშვი ხომალდი,
ხმელეთი ჩემსკენ, მოდგევი
არზრუმსა დავსდევ ბეგარა,
ისპაანს ხარჯი ავიღე.

<u>111</u>

ამდენის საქმის მოქმედმან
ცხრა ადლი ტილო წავიღე.
ბ. უბისს ავაგე საყდარი,
უწყლოსხ წყალი ვადინე,
ისპაანს დავსდევ ბეგარა,
სტამბოლს ხარაჯი ავიღე,
თეთრს ზღვაში რკინა ჩავაგდე,
ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე.
ცხრა ადლი ტილო წავიდე.

ბ. (სვანურიდამ).

თამარ დედოფალ შობრძანდა.
თხემს ეხურა ზუჩი,
ყურებს ჰქონდა საყურე,
თვალები ჰქონდა იაკინთის,
კბილები ჰქონდა ბრწყინვალე,
ყელზე ება იაშმი,
გარე ეცვა აბჯარი,
შიგნით – ატლასი,
მხრებზე სამხრეები,
წვივებს საწვივეები,
ფეხთ ემოსა წუღები,
ცხენს იჯდა ქვიშა-ფერს,
უნაგირი მოჭედილი,
მყარისა ოქროსი,
საძუედ ჰქონდაკაპარი,
აღვირად ოქროს ჯაჭვი,
საგულედ ოქროს ბუშტები.

თამარ მეფე სამეგრელოში *)

ძლევამოსილი თამარ მეფე ერთხელ სამეგრელოს ივლიდა. სოფ. ჯვარიდან დაბრუნებული, მოსასვენებლად დაბინავდა ეხლანდელ ჭალენჯიხას ახლოს. მეფის მხლებელთა შორის ერთ ღვთისმოყვარე დიაკვანი ერია, – გვარად თვალთვაძე. მოსვენების შემდეგ დედოფალი და მისი ამალა წასასვლელად რომ მოემზადნენ, დიაკვნის ჯორი ვერ იპოვნეს. დიდხანს ეძებეს; თამარ მეფე დაბრუნებას ჩქარობდა სამეფო საქმეების გამო, ჯორის უნახაობას ღვთის რისხვას აწერდა. ამ დროს მათხოვარი შემოვიდა. თამარს, ჩვეულებისამემბრ, უნდოდა დაესაჩუქრებია, მაგრამ გლახა კრძალვით წადგა მეფის წინაშე და მოახსენა: „ჯორი, რომელსაც თქვენი მხლებლები დაეძებენ, „ჭე დიხა (მიწა)“ „ჭე წყარი (წყალი)“ რომ არის, იქ ძოვს, ვიცანი, აქაური არ იყო, და მივხვდი, თქვენს მხლებლებს ეკუთნოდა; მინდოდა გამომერეკა, მაგრამ ჯორი ადგილიდან ვერ დავძარიო. თამარ მეფემ მაშინვე გაგზავნა ჯორის მოსაყვანად კაცები, მაგრამ ისინიც ხელ ცარიელნი დაბრუნდნენ. მეფემ ბრძანა, ეს ნამდვილი სასწაულია. წაბძანდა თითონ, დაასო ჯვარი იმ ადგილას, სადაც ჯორი სძოვდა; უბრძანა დიაკვანს თვალთვაძეს: აქ დარჩი და ოსტატების მოსვლას დაუცადეო. შემდეგში აქ ეკლესია აეშენებინა, დიაკვანი თვალთვაძე ღვდლად აკურთხებინა და უბძანა ქრისტიანობის განმტკიცებისათვის იშრომე და იღვაწეო.

ხალხის თქმულობით, ეს ტაძარი პირველი იყო იმ კუთხეში და დიაკვანის შთამომავლობა სულ მღვდლები და დიაკვნები იყვნენ. მართლაც, ამ გვარში ყოველი ოჯახი დღემდე ცდილობს შვილიდამ შვილიშვილამდე ერთი მღვდელი მაინც გამოზარდონ და ამითი თამარ მეფის მიერ რვაას წლის წინათ ნაბრძანევი დღესაც წმიდაც აასრულონ.

---

*) იხ. „საქართველ“" 1917 № 13, ჩაწერ. მარიამ ფუ-

მათხოვრის ნათქვამი „ჭე დიხა“ და „ჭე წყარი“ შემდეგში გადიქცა „ჭე-დიხათ“, რაკი ეკლესია ააშენეს და მისი გალავანი ძველებურ ციხეს ჰგავდა. ციხე კი მეგრულად ნიშნავს „ჯიხას“, ასე რომ „ჭე დიხას (მიწა)“ მაგივრად მეგრელებმა სთქვეს: „ჭე ჯიხა“. ტაძარი გადაჰყურებს ჭალებს, სადაც იშლება მდინარე „ჭე-წყარი“ და უთუოდ ამით აიხსნებაო, რომ თანდათან „ჭე-ჯიხას“ მაგიერ ამ სოფელს სამუდამოდ დაერქვა სახელი „ჭალენჯიხა“, ე. ი. ჭალები და ციხე. მართლაც, საამო სანახავია აქაური დაფენილი ჭალები და ზემოდან ამაყად გადმომყურალი ძველი ციხე-ტაძარი, ანუ მეგრულად ჯიხა.

3. თამარ მეფე მგოსნების დახასიათებით.

ა. იოანე შავთელი (XII საუკ. მწ.)

ა. შემოკრბით, ბრძენნო, ათინელთ ძენო,
თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა,
კრიტს, ალაბს, მაღრიბს, ეგვიპტეს, მაშრიყს,
ჩინეთ ჩინეთსა, თარშის ქებულსა!
ძე ადამისა მსგავსად ამისი
ვისცა ეხილვონ, მამცნონ, სად არი?.
ღმერთმან სამოთხით მოგვცა სამოთხით
ეთერ ბრწყინვალე მზეებრ სადარი.
აღმოსავლეთით და დასავლეთით
სამხრით ჩრდილომდის ჰპოონ, სად არი
ზესკნელს ქვესკნელით და გარესკნელით
უკანასკნელით უფსკრულ სადარი?..
ბ. შესამოსელნი, შესამკობელნი
გმოსიან ტანსა ოქრო-ნემსულნი,
გვირგვინ-სკიპტრანი, ბისოს-მიტრანი
ძოწეულით თანაშექსულნი.
გაქვს-ღა პორფირთა, შთაცმა პოდირთა,

სამარაგდონი ერთგან ექსულნი
დიადიმითა დიადი მითა
ზეგარდმო გაქვს წშიდად ექ სულნი.
გ. გვირგვინოსანსა, პორფიროსანსა
უხდების პყრობა სკიპტრისა ხელსა
ჟამი დილისა განასდილისა
გაბრწყინვებულ ჰყოფს წყვდიადსა ბნელსა...
მე თუ კვლავ გაქო, ვიცი კვლავ გაქო
სხივთა ნათელი გვამსა უხრწნელსა.
დ. წყლად გთქვა ნილოსად უსასყიდლოსად,
სამოთხით ჩვენდა ქანდაკებულად.
ოქროდ ოფასად ძნიად საფასად,
ყოვლად ყოვლითურთ ბიწ-შეუხებლად;
თვალად ალმასად – გავნოს ალმა სად! –
საფუძველ ზღუდედ წახნაგებულად.
ე. ეგრედ ინახის შორით ინახის
ვით მზე სამყაროს მანათობელი,
მთვარის მშვენებით, ცისკრის მთენებით
სხივ-მკრთოლვარებით მკამკამებელი,
ედემს დარგული სამოთხის ვარდი,
ციერთ უმაღლე ქვეყნის მპყრობელი
გვამცნებს სრულებით ღვთისა სრულებით
ჩვენთვის მარტივად სჯულისმდებელი.
ვ. მზე მთოვარითა, ცა – ვარსკვლავითა
შუქნი მიუხვამ მის ელვისათა.
მამის ძედ არი სამგზის ნეტარი
მეტრფე საქმეთა სახელისათა:
თვით ბჭეთა ბჭედი მტკიცე ბეჭედი,
მეწდე სიტყვათა სიმართლისათა.

ერთა შემცველი, მტერთა შემწველი,
თანად შიშითა სასჯელისათა.
ზ. ალვისხე ტანი მსგავსად შემტანი
აქვს კოწოლ დაყრით კვიპიროზისა

115

დასწვავს სრულობით ჯავარ სრულობით
მზეთა საკმილად ეშვი ეგზისა
ზ. ვარდო ფურჩვნილო ცვრით განბანილო,
ნერგო სვიანო დავითიანო!
ვინ კისკასია, სუნნელ კასია!
ბალასნად კმოლავ და ვით იანო!
თ. ტურფად შვენება, გამოჩვენება
თქვენი დააჭნობს ყოველთ ყვავილთა.
გიჴმობ ენა მით „სწავლის ე ნამით
წყლად წყაროდ მრწყველად ბორცვთა და ველთა.
ახალო რომო, შენთქვის თქვეს, რომო
უფროს იქმნესო მყოფთა ყოველთა.
ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა,
სად რომ დაჰკრძალვენ წმიდათ სხეულთა.

ჩახრუხაძე (XII საუკ. მწერალი).

ა. თამარ-წყნარი შესაწყნარი,
ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი
მზე მცინარი საჩინარი,
წყალი მქნარი მომდინარი.
მისთვის ქნარი, რა არს ქნარი,
არსით მთქნარი უჩინარი,
ვარდ-შაბნარი შამბ-მაღნარი,
ღაწვ მწყაზარი შუქ-მფინარი!
ბ. გხმობ, თამარ, მზესა უმზესად ზესა
მით, რომელ უცხო ხარ სახილველი!
უკლებლად სათნი, გცისკრობენ ღაწვნი,
გტურფობს მოხედვა, ბროლ-ვარდობს ყელი
გაქვს არსთა წყალი – თვით მე გეწყალი, –
მშვიდი და წრფელი მოსახვეჭალი;
განცვიფრდეს არსნი ხმამაღლა მზახნი
ამას იტყვიან: „ჰე საკვირველი!
„თუ არს მთოვარე, რად მზეობს არე,
რად არაოდეს შეიქმნა ბნელი?
ანუ თუ ელობს, რად დანთქმა გვღელობს?

116

გ. **შოთა რუსთაველი** (XII საუკ. მწერალი).

თამარს ვაქებდეთ მეფესა...
მიბრძანეს მათდა საქებრად
თქმა ლექსებისა ტკბილისა:
ქება წარბთა და წამწამთა,
თმათა და ბაგე, კბილისა,

მით მიჯრით მიწყობილისა

დ. **არჩილ მეფე** (XVII საუკ. მწერალი).

როს თამარ დიდი ხელმწიფე
სულ ხმელთა პირსა ნათობდა,
სხვათა მნათობთა უმჯობე
მზესა მით ეკამათოდა,
ბროლ-შინა ერთათ შეთხზნილი
გარშემ გიშერი სათოდა,
მძლეველი შორეთ მეფეთა,
დამამხობელი მათოდა, –
იმხედრა ჰუნეს მეფეთას,
აღვირი იპყრა ძლიერად,
მან ტახტი ხელმწიფობისა
შეუმკო ხმად მის მიერად,
გაბრწყინვებული გაჰშვენდა
სფერო უღრუბლო აერად,
დაიპყრა შვიდი სამეფო
ლიხ ამერითურთ იმერად,
თორმეტს წელიწადს სიბრძნითა
საშეფოს გაარიგებდა:
ურჩს შეიპყრობდა ერთგულთა
სვე-ბედით აამაღლებდა,
სარდლებს უჩენდა ლაშქართა,
ერთს ამირ-სპასალარებდა,
მშვიდი მშვიდთ პატივს უპყრობდა,
ამაყთა დაადაბლებდა.

<u>117</u>

მოესთლო ქება სამოთხის,
სურნელთა სურნელობანი,
მას მოეფუტკრა ვარდისა
დაცვარულ მობუტკობანი,
მცენარეობა ყვავილთა,
ასფოთელ ნარგისობანი.
ივლიოს ველის შვენება,
სიტურფე, ნამორფებანი.
აჩინა ყოვლი მოხელე,
მის მის პატივსა უპყრობდა
წინმდგომობისა პატივი
ვის ჰქონდა, ვინ წაუსწრობდა,
ამპარტავანთა ღრუბელი
გაჰქარდა, ვეღარ ავდრობდა
აწცა ისმინე სამზღვარი
საით სადამდი იპყრობდა:
პონტოს ზღვით გურგენის ზღვამდი,
სპერიდგან დარუბანდამდის
ყოვლი კავკასნი, – იმერნი
ამერნი, – ხაზარეთამდის,
მთით გელაქუნით ჩრდილოთ კერძ

მპყრობელი სულ ყივჩაყამდის.
ვაის-ვაება მომირთე
უმისოდ სული ამომდის!

ე. **ანტონ კათალიკოზი** (XVIII საუკ.)

ქალი მამრთა წილ, მჴნეთა მშობელთა დიდთა
ნაცუალ საყდრის მპყრობ, არ ბედნიერობა არს,
მაგრამ დავითის თუ სადმე არა ნაკლ
გამოჩნდეს ქალი ყოველსა შინა საქმეს
კეთილ შემთხუჱვა ვინა ზევდების აქა.
ასულთა შორის დავითიანთა თამარი
სოლომონითნი მსგავსებანი ყოველნი

ყოვლისფერნა: მამრთ წარემატა მდედრი,
შუჱნიერ ქმნილი შინაგნით და გარეგნით
ქრისტეს თვისება ქრისტებრივ ამკო მადლით.
სოლომონითი სიბრძნე აქა ჰპოვო შენ
მისებრ სიმდიდრე სიბრძნის ნაყოფნი მისნი
ქრისტეებრ მადლი, ცხებულება უფლისა,
შუჱნიერება გონების მუდამ მზობა
პირუჱლთა თვისთა უმეტესი განბრძნობა.
იტყვიან ძველად სემირამიდას ვისმე
მეფასა ვისმე ცოლსა ნინის მეფისას,
კვიროსის უმძლევს ალექსანდრეს უდიდესს,
პროპონტოს კიდით მმფლობს კიდედ ინდიას,
შუჱნიერ მდიდარს, უმდიდრეს ძლიერებით,
არამედ სხუას ვისმე მდედრსა ესგუარ დიდებით
ცოლსა ქსერქსისა, დედასა არტაქსერქსისასა,
ხოლო მცირისა კუალად კვიროსისსა
კვიროს დიდისა საყდრისა დედოფალსა
შვილთა მბრძანებსა ნებისაებრი თვისისა,
კუალად ეგვიპტის მეფასა კლეოპატრას,
მოხსენებულსა იოსიპოსის მიერ,
ძალითა დიდსა, წინააღმდგომთა მძლესა;
კუალად კესარის დედასა ანტონიას
გაიოსისსა სარაცხსა თქმულთა თანა, –
ესენი, რაცა ჰშუჱნის ქმულთა მსახურთა,
ესგუარნი იყუნენ: ოდენ კუალებრ ნაცხადნი:
გუშინ ჩნდენ და დღეს განქარდენ, დასცხრენ ყოფით,
მაგრა თამარის საქმენი სჩანან ღუთის შორის,
ხოლო ნიადაგ განგრძელდეს უცუალებელ:
არა დავიწყდეს გარეშემოთა ჩუჱნთა,
ბრძენთა ბერძენთა, სომეხთა, სირთა, სპარსთა;
დიდება მისი სადიდებელი ღვთისა,
ხოლო ქართუჱლთად არ სამართალ არ ხსოვნა.
საქმეთა ბრძნისა მეფეის თამარისთა.

ესე ემსგავსა მარიამს, დასა მოსესს,

დებორას კუალად, ივდითს, ესთერს და სხუას
კეცის ჭურითა მომკულელს აბიმელექის,
ანნას ლოცვითა თუთისადმი აღმვლენელსა
სხუას კუალად მხილუბლს ანნას ანგელოსასას.
მარიამს, რომელ მოსცა ღმერთმან ერსა მძღუან
დებორას, რომელ ამან სხუა ვინ სისარა
ლაშქრითა დასცა ნუქარდინ ლოცვითარე
იალ იქმნა, რამეთუ მას მანაი
ჯუარი განმსჭუალა, აკვდინა, დასცა მძლავრი.
კუალად დებორებ მსჯელი რჩეულის ერის
იუდითისებრ მხსნელი განსაცდელთაგან
ესთერებრ ძელსა უხილავის ამანის.
მოშმთებლი, ხოლო ერთა დამცუბლი მათი,
ლოცვის აღმყვანი მომღე თხოვის სრულ-ყოფის.
კეცის ჭურითა ძლიერი აბიმელექ
ხალიფა დასცა მდედრმან მამრი ანაზდად,
ესე იგი არს არა-სწორ მეცნიერებით.
კეცის ჭურს შინას ღმრთივის მეცნიერებით
ეკლესიანი ამკუნა, ვვრცელა მეფობა.

3. **გრიგოლ ორბელიანი** (1803-1883).

ა. ვარსკვლავად გვინათს სახე ნათელი
თვალნი სიამის გამომაცენნი
სარო – ტანადი, ნაზად მრხეველი,
თითნი ნარნარად ბროლის ნათალნი!
ვითარცა ღმერთა შვენიერების,
ქველმოქმედების, სახიერეიის,
ვით ტრედი მადლის მშვიდი და წყნარი, –
ეგრეთ შვენებით მოვალს თამარი!
სხივ-ცისკროვანი მისი გვირგვინი
უპყრავს დიდებას და სათნოებას;

წინაშე მისსა ძლევა და მუზნი
განადიდებენ მისსა დიდებას!
მის დროშას მოსდევს დიდი ორბელი,
შოთა უკვდავი, ბრძენი ჭყონდიდი,
მხედართ-მთავარი დიდი მხარგრძელი
და გამრეკელი ლომებრ გულადი!
თამარის დროშა გაშალეს...
შეკრბა დიდუბეს ლაშქართ:
კახი ფარ-შუბით, **თუში** ხმლით.
ფშავ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი
მკლავით ძლიერით **ქართლელი,**
ვით ციხე ბურჯი მაგარი,
ოსი ფეხ-მარდი, **მთიული**
ბრძოლაში შეუპოვარი.
მესხი სწავლითა ქებული,
გმირი **იმერი** ზრდილობით
და მშვილდოსნობით აფხაზი,
გურულ-სვან-მეგრი მკვირცხლობით!
თამარი ლოცავს ჯვარითა,

ჯარს ამხნევს გულის უხვობით;
გული მეფისა ზღვა არის,
უსაზღვრობა წყალობით.
გალაშქრდენ, მისწვდნენ კარნუსა,
ერთის შეტევით მილეწეს!
ლომებრ მისცვივდნენ სინოპსა,
მის ციხე ზღვაში გარდაგდეს;
განვლეს არეზი, თავრიზი,
ყაფლანქუ გარდაიარეს
და მტერი გაოხრებისა
ღვთის რისხვად ყაზმინს დასცეს!

ბ. თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში.

შენს წმიდას სახეს,
შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვან-ცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!
მიხარის, – გიმზერ,
ვწუხვარ და გიმზერ!
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვგრძნობდე
ჩემის სამშობლოს სულით დაცემას!
ყვავილოვანი
წალკოტი შენი
შენის დიდების სხივ-მოკლებული,
აღარა ჰშვენის,
აღარ გვიბრწყინვის,
შავ-დროთა ძალით ფერ წახდენილი!..
და ვით წასულსა
სიზმარსა ტკბილსა,
მზეს დიდებულად ჩასვენებულსა,
ვიგონებთ შენს დროს,
გული გვიმაგროს,
სრულად არ წავმწყდეთ ცის შემრისხავნი!..
ხნით დამაშვრალი
დაღონებული,
შენადვე, მეფევ, მოველ ვედრებით:
მოხედო ბედკრულს
შენს სატრფოს მამულს,
და ჯვარით შენით აკურთხო კვალად.
შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი

და დადგეს ერად სხვათ ერთა შორის.
წშიდით საყდარით,

ენით მდიდარით
სწავლისა შუქით განათებული!
ზნე ამაღლებით,
ძლევის დიდებით,
სამშობლოს მიწის სიყვარულითა!
და გიგვიცოცხლდეს,
რომ კვლავ მოგვესმეს.
სიტყვა ქართული რუსთაველისა.
რომ განვიღვიძნეთ,
სულით განვახლდეთ,
და გაჰქრეს ბნელი უმეცრებისა!..
... მარამ ცად თვალნი
გაქვს მიქცეულნი
და მე ვეღარ მცნობ გულ შემუსვრილსა,
დამცირებულსა,
ხმა-მიღებულსა
ბედ დაკარგულის ივერიის ძეს!..
ეჭვით აღვსილსა,
უსასოდ ქმნილსა,
გულ-უიმედოს გაუხარებელს
... ვა თუ რაც წახდეს,
ვეღარა აღსდგეს,
ვეღარ აღყვავდეს ახლის შვენებით!?
და რაც დაეცა,
ის წარიტაცა
შავმან ყორანმან, ვით უმწე მსხვერპლი!?
... ჰე ცრუ სოფელო,
დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერ უცვლელ?..
დიდება ჩვენი
ცად სხივ-მიმფენი

ნუთუ ესღა გვაქვს – ვხედავ რასაცა?
დაყრუებულსა,
გზა-შეუვალსა
უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს.
სად სახე მეფის
დიდის თამარის
სჩანს ძველს კედელზე გამოხატულად!..

რ. ერისთავი (1876 – 1899)

გარდაიცვალა თამარი,
ჩაესვენა ქართლის მთვარე,
უბედურსა საქართველოს
დღე დაადგა დიახ მწარე:
ერი იგლოვდა შავ დღესა,
დასტიროდა დიდი, მდარე,
ავედრებდნენ იმის სულსა
და სდიოდათ ცრემლი ცხარე.
გაქრა მთიები მზე თამარ,

მთლათ საქართველოს მფლობელი,
„რკინის-პალოდგან“ შავშეთით
გურგანის ზღვამდე მყრობელი,
ერთგულთა ჯილდოს მიმცემი,
ურჩებთა დამამხობელი,
დედა და მეფე ქართველთა,
ლაშა-გიორგის მშობელი.
ქალ-ვაჟი დარჩა ნეტარსა,
მეტი არ ესვა შვილები
ლაშა-გიორგი, რუსუდან
ტურფანი, კვალად ზრდილები.
მათ დაუტევა მოყმენი
მასთანვე გამოზრდილები,
ერთგულნი, გამჭრიახენი
და ჭირში გამოცდილები.

სამეფო დარჩა ძლიერი,
კარგებთან დასადარია,
ეკლესიებით შემკული
იყო მთა და ბარია;
სასწავლებლებით ბრწყინვალეს
ჰყვანდა მრავალი ჯარია.
იმათთა მოპირდაპირეს
ერთხელც არ გაუხარია!..
ცხოვრებით, ქალაქებით
სამეფო იყო მკობილი,
ნავთსაყუდელნი გემებით,
ნავებით გამოწყობილი,
დიდება თამარ მეფისა
მეფეებს ჰქონდა ცნობილი:
ზოგნი აძლევდნენ ხარკებსა
და ზოგი იყო ძმობილი.